

# საქართველოს ჟურნალი

400 გვერდი

დრ. ანდრეას

დამფუძნებელი

ნაგებობა

საქართველოს

დამფუძნებელი

საქართველოს

ფონდი

საქართველო:

ბაზა სანჯორი



№ 2(17)

# ანა კალანდაძე – 100

## მოდით ნინო მთებით

*„ხოლო მე დავმთი ეკალთა შინა ვარდისათა,  
რამეთუ ვარდი და ნუში ყვაოდა მას ჟამსა“.*  
ნინო



ლურჯ მწვერვალებს  
ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა...  
და, როდესაც ბარში ვარდნი ყვაოდნენ,  
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა  
და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ...  
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა  
და ფარავანს ტბასა ზედა ძრწოდა ქარი...  
მოდით, ნინო მთებით მოდით  
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...  
თოვლის მთებით ჰკვირდებოდა უცხო მგზავრი, –  
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?  
მწყემსსა ჰკითხა: რომელია ქართლის გზაი?  
მწყემსმა უთხრა: საქართველო არის ესე...  
მიეძინა... ერთ ნალკოტში მიეძინა  
და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილეს; ო,  
ეს ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?  
„ნუ გეშინინ!“- მიუგებდა იესო...  
გაეღვიძა... ნუთით იგრძნო მშობლის სევდა,  
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?  
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა  
და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ...

## პანანინა რტო ვარ

მეფერება მზე ალერსის მთოვარს,  
ვარდისფერად ცამან ჩამომთოვა...  
მე მიგალობს, როდი მიმატოვა,  
თოხიტარა, პანანინა რტო ვარ...  
ქარი მარხევს და ყვავილებს მაცლის,  
ყვავილს მომწყვეტს, გაიტაცებს მინდვრად...  
დამიყვავე, ქარო, ნუ ხარ მკაცრი:  
პატარა ვარ, მოფერება მინდა!  
მითხარიო: როგორ, როგორ ვანდო  
საიდუმლო აშარსა და მსტოვარს?  
მებაღეო, ნუ დამტოვებ მარტო,  
მეშინია, პანანინა რტო ვარ!

# „სოფნაშ უჯი“

ნოემბერი

ადგილობრივი მკვლევართა და მკვლევართა კავშირის გამოსავალი

2024 წელი

## ს ა ხ რ ე ვ ი

<b>პოეზია</b>	<b>იუბილე</b>
ქეთევან ნათელაძე..... 2	ნანა ჭიჭინაძე გივი სიხარულიძე-80 სიხარულის დესპანი.... 39
<b>პროზა</b>	<b>კუბლიცისტობა</b>
ეკატერინე ფავლენიშვილი ბენდენიანი ..... 4	თემო ჭახნაკია ქეთევან წამებულის სახე-კონცეპტი ქართულ პოეზიაში..... 40
<b>პოეზია</b>	<b>სესილია ერაგია</b>
ლაშა გვასალია ..... 7	რეზო ჭეიშვილი – „მუსიკა ქარში“ ..... 45
<b>პროზა</b>	<b>თარგმანი</b>
ჯემალ მებრიშვილი გაუცხოება ..... 10	ალფრედ ჰენშეკე..... 47
<b>პოეზია</b>	<b>იუბილე</b>
ვალეკო სამუკაშვილი ..... 15	მარიკა პოპიაშვილი ალექსანდრე შავერზაშვილი – 105 ..... 51
<b>პროზა</b>	<b>ნანა ჭიჭინაძე</b>
ანა ერისთავი ალაპი ..... 18	„საქართველოს ბულბულს“ დავინყება არ უნერია..... 53
ჭალარა ბავშვი ..... 20	<b>ხელოვნება</b>
<b>პოეზია</b>	<b>ნაზი ბალხამიშვილი</b>
ოთარ ფალიანი..... 22	ილია ნიშნიანიძე-ღვანლმოსილი ხელოვანი... 56
ნათელა ქურციკიძე ..... 25	<b>ნანა ჭიჭინაძე</b>
<b>დედოფლისწყაროს ისტორიიდან</b>	„ოტელო“ – ნიჭიერების საფილდაო ქვა..... 58
გიორგი ვარამაშვილი პეტრე კურიშკოს მკვლელი – გაბრიელ ცისკარიშვილი ..... 26	<b>პროზა</b>
<b>საპავშვილო გვირდები</b>	<b>სესილია ერაგია</b>
ნატო ყატაშვილი ..... 28	ომეა თქვა – „დავმარცხდი“ ..... 59
<b>კუბლიცისტობა</b>	ბებო ..... 61
გიორგი გოგოლაშვილი, თამაზ ხმალაძე მე დროსა ვტირი..... 29	<b>ხელოვნება</b>
	<b>ლალი მებრიშვილი</b>
	ორი ფშაველის შემოქმედებითი საღამო საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში..... 62

ალმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვახსენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორს ქალბატონ დოდო ხუნაშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი:  
გიორგი ნატროშვილი

ალმანახის ქუდის ავტორი:  
სერგო ქართველიშვილი

გარეკანი გაფორმებულია:  
მანანა სულაშვილის ფოტოთი და  
ნოდარ ლაშქარის ნახატებით

ქეთევან ნათელაძე

რთველი

ახლოს გრძნობ ზამთარს, რომლის გულშიც  
 სინათლე არ ჩანს,  
 რა იცის შენზე და რა უნდა მოგიყვეს თოვლმა,  
 არსად მთავრდება ეს სიზმარი, რომელშიც დარჩა,  
 ლურჯი სანდლები და სექტემბრის  
 მცხუნვარე თრთოლვა.

ცის ვარსკვლავებით უეცარი ანთება გშველის  
 ვინც გულს წურავდა, ფოთლებივით ქარს  
 ატანს ნაღველს,  
 ვინც შეიყვარა, ვისაც ერთხელ ჰქონია რთველი,  
 ვინც ოცნებებში გადაჰყავდა მწყემსების ნამღერს.

დგახარ ამ ცის ქვეშ, მაყვლოვანში, სამყაროს სძინავს,  
 ჩამქრალა მთვარე, თითქოს ცასაც მოედო ობი,  
 ის შემოდგომა სავსე იყო ვნებით და ლზინით,  
 ყურძნის სურნელით, თავსბრუსხვევით,  
 ნანატრი თრობით

და ბრმა ცისქვეშეთს უფოთლებო შემორჩე ვინძლო,  
 და ოცნებებიც გადაიქცეს მდუმარე ლოცვად,  
 ყველა გრძნობისგან გაშიშვლებულ ხეებს ხომ იცნობ,  
 ისინი არსად არ მიდიან, ზამთრდება როცა...

რა დრო გასულა, რაც ამ ხეებს ზამთარი ათოვს,  
 შენი ჩრდილი კი დავიწყებულ ამინდებს ელის,  
 ვინც მზეს უმღერდა, ის არასდროს იქნება მარტო,  
 ვინც შეიყვარა, ვისაც ერთხელ ჰქონია რთველი.

\*\*\*

ბევრი ხნის შემდეგ ბნელ ოთახში როცა შედიხარ,  
 იმ ბნელ ოთახში, რომ გაფრთხობდა  
 დიდი თვალებით,  
 და გაშინებდა განაპირა, ბნელი ოთახი,  
 თავისი უხმო ლამეებით, იღუმალებით.

იქ ალბათ წესით მოჩვენებას უნდა ეცხოვრა,  
 გაფიქრებაზეც ბოროტს ჰგავდა ყველა სიკეთე,  
 ვინ იცის, გვერდით ჩაუარე ალბათ რამდენჯერ  
 და ოდნავ მოხსნილ კარიდანაც ვერ შეიხედე.

არც საკმარისად მხნე იყავი, არც საკმარისი,  
 და განცალკევდი და სარკის წინ დარჩით შიშვლები,  
 შენ და უკვდავი და ვერასდროს ვერგანდევნილი,  
 მაგრამ დროებით ჩახშობილი შენი შიშები...

საკუთარ თავსაც მერამდენედ იწყებ თავიდან  
 გზაჯვარედინებს დაშორდი და რა ვერ ისწავლე?  
 ახლა რიდასი გეშინია? დრო ხომ გავიდა?  
 შენი შიშებიც შეიცვალა, შენც შეიცვალე.

ბევრი ხნის შემდეგ ბნელ ოთახში როცა შედიხარ,  
 სულ სხვანაირი, უცნაური შიში იელვებს,  
 რომ შეხვიდე და მოჩვენება იქ არ დაგიხვდეს?  
 რომ შეგერჩეს დიდი, უფერული სიცარიელე?



სერაფიმეს ტაძარი

დრომ ხსოვნის ლამაზ ზაფხულებს ვერ  
 წააყარა ნაცარი,  
 მისი მზისფერი კედლები, მისი სარკმელი ერთი  
 მიყვარს და სულ მეყვარება – ყველას აქვს  
 თავის ტაძარი,  
 ის ერთადერთი ტაძარი, სადაც შეიცნო ღმერთი...

რა დაავინყებს ან ხელებს, ან თვალებს  
 დღეებს ჩავლილებს  
 იმ ტაძარს სერაფიმესი მდგარს  
 უკვდავების ზღვარზე,  
 მაცხოვრის ხატთან ოცნებით სადაც  
 ვანყობდი ყვავილებს,  
 ღმერთთან მიტანილ ყვავილებს მინდვრის  
 სურნელით სავსეს.

ჩემი პატარა ტაძარი, ჩემი ოცნების ტაძარი,  
 ჰგავს ლურჯ ნაძვებში შეხიზნულ ყველაზე  
 წმინდა მღვიმეს,  
 შენც გენატრება, შენც გახსოვს? შენც  
 აღარ დაგვიწყებია?  
 ტაძარი სერაფიმესი, ტაძარი სერაფიმეს...

დრომ ხსოვნის ლამაზ ზაფხულებს ვერ  
 წააყარა ნაცარი,  
 ნათლის სვეტივით ანათებს, ქრიან ქარები როცა,  
 რაც უნდა ბევრგან ილოცო, ყველას აქვს  
 თავის ტაძარი,  
 ის ერთადერთი ტაძარი, სადაც ისწავლა ლოცვა.

ისეთი რაღაც

იქნებ არც კი ღირს ეს ძიება, გაივლის იქნებ,  
 რაც ღირს ცხოვრება, ჩემს აღქმებშიც შეიძენს  
 იმ ფასს,  
 ვთხრი ჩემს სურვილებს, ჩემს ოცნებებებს,  
 სიზმრებს და ფიქრებს,  
 რომ მათ სამარხში მივაკვლიო ყველაზე ძვირფასს.

არ ეკარება გრძელ ღამეებს წამითაც ძილი,  
 თვალებს მნათობთა სარკისებრი ნათება მიწვავს,  
 ხან მტვერს გადავწმენდ ძველ შეგრძნებებს –  
 ჩამომდნარ ჩრდილებს,  
 ხან მრავალნაირ დავინწყებას გავაცლი მიწას...  
 ხან აღმოჩენის ახლოს მყოფი სიცხადე მზაფრავს,  
 ხან ეს სიშლეგე მუდმივ ძებნის აღმიძრავს ეჭვებს,  
 ვთხრი საკუთარ მეს, როგორც თხრიან

ძველისძველ საფლავს,  
 რომ მკვდარ წიაღში მიაკვლიონ აღმასის ბეჭედს.  
 ზოგჯერ ამაო მოლოდინი მიშხამავს წამებს,  
 და მაინც განძის შეუპოვარ მძებნელებს ვგავარ,  
 იქნებ სიყვარულს, იქნებ იმედს, ან ასეთ რამეს...  
 რომ ჩემში ერთ დღეს გადავანყდე  
 ყველაზე მთავარს.  
 მიჰყვება მთვარე ქარებისგან შერისხულ აღმართს,  
 ხეებში ღამის მდინარება ჩამდგარა მუქი,  
 ვთხრი საკუთარ მეს, რომ ვიპოვო ისეთი რაღაც,  
 რაც აღმასივით დამაბრმავებს თავისი შუქით.

### ფოთლები

მზე ჩრდილავს ტოტებს ქარისგან დევნილს,  
 ცხოვრებაც მსგავსი სიშლეგით გვცდიდა,  
 თითქოს სამყაროს აწყდება ნერვი,  
 როცა ფოთოლი ვარდება ხიდან.

ჩვენც ფოთლებივით ქარდაქარ ვცხოვრობთ,  
 რა დაგვაინყებას, რამდენჯერ ვევენეთ,  
 რა აგონდებათ ნეტავი ბოლოს  
 ფოთლებს სიკვდილის უმწეო მძევლებს.

არ იხსენებენ? სიმწვანეს დიდრონს,  
 ზაფხულის ტყეში ჩაქცეულ არილს,  
 რაზე ფიქრობენ ფოთლები იმ დროს,  
 როცა მიწისკენ უჭირავთ თვალი.

როცა დეკემბერს მოჰყვება თოში  
 და ყოფნის ბოლო საათებს დათვლის,  
 ვინ მოინატრებს მათ სურნელს თოვლში,  
 ვის ეხსომება შრიალი მათი...

და მოლოდინში უდროო ავდრის,  
 ყოველი სიტყვა ქცეულა ფიცად,  
 რადგან ერთ დღესაც, პირისპირ ზამთრის,  
 ჩვენც ფოთლებივით ვიქცევით მიწად.

### მოხუცები

(ბებუის და პაპის ხსოვნას)

შეხედე ხეებს, ამ მაღალ და უხვჩრდილა ხეებს,  
 აქ ისხდნენ ხოლმე მოხუცები, ჰყვებოდნენ ლაღად  
 ამბებს ჩადენილ გმირობებზე, მოგებულ ომზე,  
 თავიანთ ღარიბ ბავშვობაზე და რაზე აღარ...

გაუკრთებოდათ ზოგჯერ ხმაში ეჭვი და შიში,  
 თითქოს წარსულის ინვევდნენ ლანდებს,

აქ ისხდნენ ხოლმე მოხუცები, ამ ხეთა ჩრდილში,  
 ილიმოდნენ და დიდ ბავშვებს ჰგავდნენ.

ხეების ჩრდილში რახანია არავინ არ ჩანს,  
 თითქოს იფარავთ მუდმივი ნისლი,  
 მათ ველარ ვხედავ და ყურს ვუგდე  
 ფოთლების შრიალს,  
 ამ ხმაში მათი ჩურჩულიც ისმის.

\*\*\*

დღეები ხმელი ფოთლებივით ხელში გეფშვინება,  
 სავსე ხარ ძველი წერილებით, მკვდარი ფიქრებით,  
 იცეკვე, ვიდრე გადაილო წვიმამ მუსიკის,  
 იცეკვე ცეცხლთან, ვიდრე აქ ხარ, ვიდრე იქნები...

ჯერაც უთქმელი ლოდინების შენში მზე დნება,  
 ქარს მთელი ცივი შემოდგომა შენთვის მოჰქონდა,  
 იცეკვე, ვიდრე საკუთარ ჩრდილს ისევ ენდობი,  
 ერთი ნამდვილი და ხანგრძლივი ცეკვა ოლონდაც!

როცა გზას წამი დასასრულის სუსხით შეფერავს,  
 ალბათ იმ ხანგრძლივ ცეკვის შუქი  
 უნდა გემოსავდეს,  
 ასე ცეკვავდა მთელი ღამე ცეცხლთან პეპელა,  
 რადგან იცოდა, მოკვდებოდა მზის ამოსვლამდე.

### ზაფხული

ყველა სეზონი ყოფილიყავ, ნეტავ ზაფხულო,  
 შორს წამიყვანდნენ შენი ველები,  
 დაღამებამდე წამეკითხა შენს მწვანე ჩრდილში  
 ბრეხტი, ვერლენი.

ყველა სეზონი ყოფილიყავ ნეტავ, ზაფხულო,  
 მოვლებოდა ბოლო მოლოდინს,  
 შენი ღრუბლების – საყვარელი ლურჯი ბატკნების  
 მწყემსად გყოლოდი...

ყველა სეზონი ყოფილიყავ ნეტავ, ზაფხულო,  
 ვნებისამშლელი დღევაგ ზღვისპირის,  
 მონატრებული მომეძებნა შენი ბილიკი,  
 შენი ნისქვილი.

ყველა სეზონი ყოფილიყავ ნეტავ, ზაფხულო,  
 არ ვიცი, შენებრ კიდე ვინ მგავდა,  
 რადგან მიყვარდა შენი სულით, შენი სისავსით  
 ვინც კი მიყვარდა.

ყველა სეზონი ყოფილიყავ, ნეტავ ზაფხულო,  
 მონამლული ვარ შენი ისრებით,  
 ზამთრის ყველაზე უსახო და ცივ ღამეებში  
 შენ მესიზმრები.

ჩამსახლებია ყველა ფიქრში შენი სახელი,  
 მე შენით ვცოდავ, შენით ვმარხულობ,  
 ოცნებისა და სიყვარულის გამომსახველი  
 შენ ხარ ზაფხულო!

## ეკატერინე ფავლენიშვილი

## პანდენიანი

ვუძღვნი უახლოესი მეგობრის –  
გია აფციაურის ხსოვნას.

მთელი ცხოვრება ტკივილს მალავდა და, რაც უფრო მალავდა, მით უფრო ამზეურებდა. ოთხი წლისა იყო, მამამ ოჯახი რომ მიატოვა და სხვა ქალთან წავიდა. ახსოვს, როგორ ენატრებოდა მამა. რამდენიმეჯერ მდინარის პირას ქვიშაში ჩაჯდა, მიიხედა-მოიხედა, თავი რომ მარტო დაიგულა, იდაყვები მუხლებზე ჩამოიყრდნო, თავი დახარა, ხელები ყურებზე შემოიწყო და ხმამაღლა იტირა, ცრემლის წინწკლებით მორთო ქვიშა, სახლში კი თვალმშრალი დაბრუნდა. სულ ბალდი იყო და მაინც ხვდებოდა, დედასთან მოსაზომი რომ იყო ამ მონატრების სიმძაფრე. დედა დღისით საქმეში იყო თავნარგული, ღამით კი ცრემლიან ბალიშში. სარეცხის გასავლებად წყაროზე გასული, ისიც თავჩახრილი ტიროდა და ავი სიზმარით წყალს ატანდა ცრემლებს. იშვიათად, როცა თავს ვეღარ ერეოდა და ცრემლს ვეღარ აკავებდა, ხელახლა ავლებდა უკვე დავლებულ სარეცხს, მერე კი სარეცხთან ერთად წურავდა თვალებს და სახლში ისიც თვალმშრალი ბრუნდებოდა.

სკოლაში ბიჭებთან დამეგობრდა. თავადაც ბიჭობდა უკვე. მათ ოჯახებში მამებს ხვდებოდა და გული რაღაც გაურკვეველი გრძნობით ევსებოდა. მონატრებაზე მძიმე იყო ეს განცდა, მონატრებაზე მტანჯველი და მთანგველი. პატარა დის მიმართ მზრუნველობის გრძნობა გაუძლიერდა. კრუხივით ეფაფრებოდა მართლაც წინილასავით პატარასა და უსუსურს. მდინარის პირას ისევ ხშირად გადიოდა, ისევ ქვიშაში ჯდებოდა, მაგრამ აღარ ტიროდა, პატარა დანით გრძელ ჯოხებს თლიდა, ისრებს ამზადებდა მშვილდისთვის, ისე ღონივრად ხმარობდა დანას, იმსისქე ნათალებს აძრობდა, თითქოს ისრებზე იყრიდა ჯავრს, არადა ისრებს ამზადებდა ჯავრის საყრელად.

დასრულდა ისრების ხანაც. მოვიდა სიჭაბუკე. დღე და ღამე ვარჯიშობდა, სიმძიმეებს ეწეოდა, ისევ ემზადებოდა ჯავრის საყრელად. გათავხედდა, თანატოლებსა და უმცროსებს ჩაგრაგდა, უფროსებთანაც დააპირა შეტოტება, მაგრამ სინდისი არ უშვებდა. ზოგჯერ გული მოსდიოდა ამაზე და საკუთარ თავს უსუსურობას საყვედურობდა, მაგრამ ვერასოდეს თქვა ბოლო სიტყვა ასაკით უფროსთან. მის დას სათოფედ არ გაჰკარებია სოფლის არცერთი ბიჭი. მათ ჭიშკართან ზედმეტი ხმაურითა და ლანძღვა-გინებით ვერავინ ჩაივლიდა. თუ ვინმეს ჩხუბი ეწადა, მოშორებით ჩხუბობდა.

ბოლო ზარის შემდეგ თანაკლასელთან იყო სტუმრად. მაგიდასთან ისხდნენ და კონიაკს წრუპავდნენ.



– გაიცანი, ეს ჩემი საუკეთესო მეგობარია, – ნარუდგინა მასპინძელმა ქალაქელ ბიძაშვილს. ისე წამოდგა ფეხზე, არც გაუაზრებია. იდგა ასე, დასჯილი ბავშვივით, მოხარული ჯინსითა და შელეთი დაყენებული ქოჩრით, ვიდრე სკამისკენ არ მიუთითეს.

სკოლა რომ დაამთავრა, დედა და დაც მასთან ერთად წავიდნენ ქალაქში. დედას ბიჭის მარტო გაშვებაც აფიქრებდა და აღარც სოფელს ჰქონდა მათი რჩენის ღონე, ცხოვრება უკვე ირეოდა, იშლებოდა ქვეყანა და არავინ იცოდა, ვის მოიყოლებდა ნანგრევებში. დედამ წვრილმანი ვაჭრობა დაიწყო, ბიჭმა ქუჩისკენ გაიწია. იქ უფრო იოლი იყო ცხოვრება, ურთიერთობები, თავის დამკვიდრება. იქაც იყო დაპირისპირება და პირველობის ამბიციები, მაგრამ ჯგუფური. მარტო აღარ იყო, ბიჭებთან ერთად კი სიკვდილზე წასვლაც ეიოლებოდა. ერთმანეთში გაყოფილი და გასაყოფი არაფერი ჰქონდათ, გულიც კი. თითქოს ერთი გულით ფეთქავდა ქუჩის მთელი ეს ჯგრო. უფრო ხშირად მასთან იყვნენ ბიჭები. დედა ამბობდა, ოღონდ თვალით გხედავდეთ და გინდა, სულ აქ იცხოვრეთო. არეული იყო თბილისი. ყველა სიბნელიდან უმისამართო ტყვია ტყვრებოდა. ვისაც რა ჰქონდა, მასთან მიჰქონდა. დედა ნავთქურაზე ხალისით ამზადებდა საჭმელს, უხაროდა, ამ ბნელ, დამშეულ და გათოშულ ქვეყანაში ცხელ კერძს რომ აჭმევდა ბიჭებს. მაინც სულ აქ ვართ და ბარემ „დედას“ დაგიძახებთო, – უთხრეს და ხუმრობით „დეს“ ეძახოდნენ. დედა ხომ შვილების ასაკისას ისედაც ყველას „შვილოს“ ეძახდა.

მამა თითქოს მიავიწყდა. საძმომი უმაგალითო ერთგულება, სიყვარული და თავდადება ნახა. ძველი ბოღმა რომ გულში ადგილს იკავებდა, ის ადგილი ბიჭებისთვის სჭირდებოდა, ჰოდა, უცერემონიოდ გამოუძახა გარეთ. დამსუბუქდა. იერი შეიცვალა. ქუჩურად ჩაიცვა – ჭიპამდე ჩალელილი პერანგი, გრძელი პლაში, ორი ზომით დიდი, უხეში ფეხსაცმელი. სიბნელეშიც მზის სათვალე ეკეთა

და თავზე ბენდენა ჰქონდა ნაკრული. ბენდენაზე ადამიანის თავის ქალები ეხატა. არასოდეს არავის ებოდებოდა. მამა ხომ სულ ცალ ფეხზე ეკიდა. უცნობებს ეშინოდათ მისი, გზის მეორე მხარეს გადადიოდნენ. თვითონაც ელაზლანდარავებოდა გოგოებს, მალიმალ წინ გადაუდგებოდა რომელიმეს და უბოდებოდ ჰკითხავდა სახელს, მაგრამ ხელი პერანგის გახსნილი ღილებსკენ გაურბოდა და სანამ ან სახელს ეტყოდნენ ან წყენით აუვლიდნენ გვერდს, უკვე შეკრული ჰქონდა. ელაზლანდარავებოდა გოგოებს, მაგრამ ვერასოდეს იმეტებდა ასაგდებად, თავისი და უდგებოდა თვალწინ.

ერთხელ, შებინდებისას უკაცრიელ ქუჩაზე სტვენით მიდიოდა, საბავშვო ბაღის გამოსაშვებ საღამოზე რომ ამღერეს, იმ სიმღერის მელოდიას უსტვენდა უკან თავგადაგდებული. სწრაფი ნაბიჯით გასცდა უცხო გოგო. მალევე ბიჭები გასცდნენ არეული სახეებითა და მიბნედილი თვალებით. არ მოეწონა ვითარება. გოგოს სახე გაიხსენა. თითქოს შიში ედგა გოგოს თვალებში. მიბრუნდა და ბიჭებს ფეხდაფეხ გაჰყვა. უცებ დაავიწყდა ბავშვობის მელოდია. მიდიოდა გოგო, მიჰყვებოდნენ ბიჭები და ისიც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ბიჭებს. გული აუჩქარდა. რას გახდებოდა მარტო, მაგრამ მაინც ბოლომდე გაიბრძოლებდა, მოკვდებოდა და გაიბრძოლებდა. გოგოს უკან არ მოუხედავს, დროს არ კარგავდა უკან მოხედვაზე, არ დაუნახავს ბენდენიანი, თორემ უარესად შეშინდებოდა. კარგა მანძილი იარეს. გოგო ისე უცებ შეეფარა სადარბაზოში, ბიჭებმა ტემპი ვერ შეანელეს, მერე კი აღარც შეანელეს. რამდენიმე წუთს სადარბაზოსთან იტრიალა. მშვიდობა იყო. მობრუნდა და უმისამართოდ გააგრძელა ყიალი. იმ ბნელ და უკაცრიელ უცხო უბანში რალაც უხაროდა.

დრო გადიოდა. ერთხელ, მოცალეობისას, წამონოლილმა, თავქვეშ ხელებამონყობილმა და ჭერზე თვალმიმტერებულმა უცებ გადაწყვიტა, წასულიყო და მამა ენახა. კაცი იყო უკვე. კაცურად მოუნდა მამასთან ლაპარაკი. არავისთვის უთქვამს. წავიდა.

მამამისი ერთ დროს ცნობილი მეცხვარე იყო, მისი ფარებით გადათეთრებულიყო სოფლის ფერდობები. მიდიოდა. ძველი ბალღამი წვეთ-წვეთობით ბრუნდებოდა და მშობლიური გულის კუნჭულებისკენ იკვალავდა გზას. მთელი გზა სათქმელს უყარა თავი, არც ცოტა ჰქონდა დრო და სავალი. ათნაირად მოასწრო სათქმელის მოკაზმვა და ისევ დასადავება. პასუხი უნდა მოეთხოვა მდინარის პირას მრავალგზის დანიწკლული ქვიშის გამო, ღონივრად ნათალი ისრების გამო, ახალგაზრდობაში დაბერებული დედის გამო. ხან ხმამაღლობა დააპირა, ხან ორი სიტყვის თქმა და სამუდამო დამშვიდობება.

კითხვა-კითხვით მივიდა და უბოდებოდ შესხნა ნახევრად მოღიავებული კარი. კუნძზე გამხდარი, ასაკოვანი კაცი იჯდა და ბასრი დანით ღონივრად

თლიდა ბარის ტარს. გარშემო ყველაფერი უადგილოდ ეყარა და მოუწყობელ კარ-მიდამოში მაინც ის იყო მათი სამუდამო ადგილი. ეზოში ბაღლები დარბოდნენ. დაიბნა. იცოდა, რომ დაძმები აქაც ჰყავდა, მაგრამ ვინ და რამდენი, ზუსტად არ იცოდა. არასოდეს არავისთვის უკითხავს რამე. აქა-იქა მოსისინე ენების წვერებიდან წამოკრეფილი ამბები იცოდა მხოლოდ. ბერიკაცი მძიმედ წამოიმართა, მუხლებზე დაგროვილი ხის ნათალი რეზინის ჩექმების განიერ ყელეებში ჩაუცვივდა, უხეშად გაჩორკნილ ხის ტარს ჩამოეყრდნო და ბიჭს მიაჩერდა. ერთმანეთი თვალებით იცნეს. ორივეს სისხლი მოანვათ თვალებში და გული საყლაპავში ამოეჩარათ. რამდენიმე წამს ხმა არ ამოუღიათ.

– ესეც ახალგაზრდა დაბერებულა, – გაიფიქრა ბიჭმა და გული მოფონების ნაცვლად უფრო მოეკუმმა.

– რამხელა გაზრდილა, კაცია უკვე, – გაიფიქრა მამამ.

იდგა მამა ცალი ხელით ბარის ტარს ჩამოყრდნობილი და ცალით დონიჯშემოყრილი. მხოლოდ ჯერ კიდევ ამართული დგომით თუ ინიშნებდი, რომ არც ისე ასაკოვანი იყო, როგორც თვალს ეჩვენებოდა. შეუძლებელი იყო მის თვალებში ცხადად რამის ამოკითხვა, რადგან ყველა გრძნობა ერთად დაუფლებოდა – სიხარული და ტკივილი, სიამაყე და სინანული, შიში და იმედი. არც ბიჭის მზერაში იკითხებოდა რაიმე ნიშანდობლივი. აქაც ერთმანეთში ათქვეფილიყო მრისხანება და თანაგრძნობა, შურისძიება და შენდობა. იდგა დაბნეული. გზად დალაგებული არცერთი სათქმელი აღარ იყო გზიანი. თვალებით თუ ფიქრით ეძებდა სიმდიდრეს, რომელიც არსად ჩანდა, არც ის ბედნიერება ჩანდა სადმე, რისთვისაც მიატოვეს.

მარჯვენა გაუნოდა მამას. კაცმა უხმოდ ჩამოართვა ხელი. ეს იყო პირველი და ბოლო შემთხვევა მის ცხოვრებაში, როცა უფროს კაცს პირველმა გაუნოდა ხელი. როგორღაც თავისთავად, დაბნეულობისაგან მოუვიდა ესაც. მამა გონს მოვიდა, შეიპატიჟა და ცოლს სუფრის გაშლა უბრძანა. ქალი უხმოდ დატრიალდა და ისე მიიტანა სუფრასთან, რაც ებადა, რომ ქმრისთვის თვალი თითქმის არ მოუცილებია, რაიმე უხმო დავალება არ გამოემეპაროსო. ბიჭი მიხვდა, დიასახლისს არაერთხელ რომ დანთხეოდა თავზე მიტოვებული შვილების ბოღმა. სამი-ოთხი ქვაბი ერთდროულად თუხთუხებდა, მაგრამ ნახევრად ბნელ ქოხში ყველაზე მძაფრად მაინც სიღარიბის სუნი იდგა.

ათი წლის ძმა გააცნო მამამ. ბაღლი მორიდებით აეტუზა წინ და როგორც კი გაათავისუფლეს, შვებით გავარდა თანატოლებში.

დიდხანს არ მჯდარა. ზრდილობის გამო რამდენიმე ლუკმა გაღეჭა, დაილოცა, სამჯერ თითო ყლუპი წინწანაქარი მოსვა და ადგა. სალაპარაკო არ ჰქონდა, არც მოსაგონარი, არც განსასჯელი და

ალარც სახმამაღლო.

ქალაქის გზას დაადგა. რატომღაც დაღლილი იყო, ეგონა, სახლამდე ვერ მიაღწევდა. სოფლის ბირჟაზე დაელოდა ქალაქისკენ მიმავალ ტრანსპორტს. ბაღლები ჯგროში ის ძმა დაინახა, ცოტა ხნის წინ რომ გააცნეს. ბავშვს ბირჟისკენ არც გამოუხედავს, ილღიაში ბურთამოჩრილი მისდევდა ბიჭებს და ხმამაღლა ელაპარაკებოდა:

– მალე მიყიდიან ბუცებს და ხო მათამაშებთ დიდებში?

დაუძახა. ბავშვი ჯგროს გამოეყო და ბურთიანად მიადგა ახალგაჯნობილს. ბიჭმა ჯიბიდან მსხვილი კუპიურა ამოიღო და გაუნოდა.

– ვირიშვილო, აჰა, ბუცები იყიდე!

ბავშვი გაოგნდა. ვერ გაიგო, ლანძღავდნენ თუ სწყალობდნენ.

– გამომართვი, – ხელში ძალით შეაჩერა ფული და ოფლიანი ქოჩორი აუჩერა.

ქალაქში დაბრუნებულმა ისეთი სიცარიელე იგრძნო, თითქოს ბოღმით ცხოვრება ერჩია, თითქოს მიზანი დაკარგა. ეუცხოვა ეს განცდა.

ოცდაორი წლისა იყო, აფხაზეთის ომი რომ დაიწყო. მძიმე ამბები მოდიოდა ფრონტიდან. ჯერ სიცილი დაავიწყდა, მერე კი ლიმილიც. სამხედრო კომისარიატში მოხალისედ მივიდა. მაღალჩინოსანმა სათვალის ზემოდან გამოხედა, თავიდან წელამდე ჩაათვალიერა, ფეხებამდე აღარ ჩასულა, ისევ თავისკენ აუყვა და თვალებთან გაჩერდა.

– თქვენ აპირებთ ბრძოლას?

– მამენტ რატომაც არა, ტო? – ტანი რამდენიმეგან გადატეხა ბიჭმა და ისევ საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა.

რამდენი ჰქონდა ნაფიქრი ომზე, მაგრამ რაც იქ დახვდა, ბოლომდე ვერასოდეს წარმოიდგენდა. ცა, ზღვა, ხმელეთი და ადამიანი ერთმანეთში იყო ათქვეფილი. სანამენე მეურნეობიდან გაქცეული მაიმუნები დამფრთხლები დარბოდნენ და ხეებიდან ხეებზე ხტებოდნენ. ერთ-ერთი საშინელი შეტაკებისას შენიშნა, რომ სანაპიროზე ტუიას მოზრდილი ბურქი ცახცახებდა. იფიქრა, დაჭრილი იქნება ვინმეო. მტერი ძალიან ახლოს იყო, მაგრამ მაინც გახობდა იმ ბურქამდე. გადასწია ტოტი და რას ხედავს, ტოტზე პატარა მაიმუნი ზის და შიშისაგან ცახცახებს. არც უფიქრია, ისე სტაცა ილღიაში ხელი და უბეში ჩაისვა. მაიმუნი ისე იყო შეშინებული, გამეტებით ებლაუჭებოდა და მკერდიდან ღერა-ღერა აგლეჯდა ბენვებს. იმავე დღეს ფეხში დაიჭრა. მაიმუნი თბილისში თან წამოიყვანა. მსუბუქი ჭრილობა ჰქონდა, მალე მოუშუშდა და ისევ წავიდა. მაიმუნი დედას დაუტოვა. მეზობლის პატარა ბიჭებმა გვარდიელის ფორმა შეუკერეს მაიმუნს, – ესეც აფხაზეთში ნაბრძოლიაო, – წელზე ქამარი გაუკეთეს. უვლიდნენ და გვარიანადაც ერთობოდნენ.

იმ დღეს უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა იყო. აუარებელი ხალხი ეყარა ირგვლივ. გვამების გატანაზე

არავინ ცდებოდა, მხოლოდ დაჭრილები გაჰყავდათ ნვალებით. მეგობარი მძიმედ დაუჭრეს. ბინდებოდა. ტყვიები ანათებდა ქუჩებს. გაიქეციო, – უთხრა მეგობარმა. უშენოდ არსად წავალო, – უპასუხა. ცდილობდა, გაეთრია დაჭრილი სამშვიდობოს. – ვერ გაიგე, რა გითხარიო? – ბოლო ძალის მოკრებით უღრიალა უფროსმა მეგობარმა. – შენ ძმობას ვფიცავარ, არ დაგტოვებო, – თან დაჭრილს მიათრევდა და თან მარცვალ-მარცვალ დაშლილ სიტყვებს სცრიდა სიმწრისაგან დაკრეჭილი კბილებიდან. ზედ დააკლეს. თავში მოხვდა ტყვია და იმ მეგობარზე ადრე დაიღუპა.

საფლავის ქვისთვის ერთი სერიოზული ფოტო ვერ იპოვეს ბიჭებმა. ყველა სურათზე ან ხელში სიგარეტით იყო, ან ღვინით სავსე ჭიქით, ან სასიმღეროდ შეყრილი კოპებით. ერთმა ისიც კი თქვა, პასპორტის სურათი დავახატვინოთო. დედა ყველა სურათს ინუნებდა, აბა, რომელი სურათი ჰგავდა მის შვილს?! ბოლოს ერთი შეარჩიეს, რომელიც თვითონ უყვარდა ძალიან. მზის სათვალე ეკეთა და თავზე ჩონჩხებიანი ბენდენა ჰქონდა გაკრული. საფლავთან ბიჭებმა დაიფიცეს, დედას არასოდეს მივატოვებთო. იმ დღეებში „დედას“ ძახილი როგორ გაუსერიოზულდათ, ვერც კი გაიაზრეს.

\* \* \*

წლების შემდეგ ბიჭის საფლავთან ორი უცხო კაცი გაჩერდა.

– ეს ბენდენიანი მასტი ნახე, ტო, რა ახალგაზრდა დაბრედილა. ჩვენი გოდაა, – თქვა ერთმა.

– წამალში წავიდოდა უეჭველი, – დაასკვნა მეორემ.

ბენდენიან მასტს მზის სათვალე ეკეთა და თვალები არ უჩანდა, თორემ საფლავის ქვიდანაც მიხვდებოდნენ უცნობები, რომ ასეთ თვალებს მხოლოდ სიყვარული აქრობს.

\* \* \*

მამის მოპარტახებული ეზოს ღობისძირა ჭინჭრებში ერთი უადგილო ადგილი უშნოდ გაჩორკნილ ხის ტარსაც ეპოვა. ისე გაშავებულიყო, ბარის პირი და ბელტის ამოღება არ ღირსებოდა მინიდან. სამაგიეროდ, იქ, ბიჭის სამუდამოდ მიტოვებული ძველი სახლის სხვენში ისევ საგანგებოდ იყო ადგილმიჩენილი ღონივრად გათლილი ისრების შეკვრა. ამოად შემართულიყო, არც მას ღირსებოდა მოზიდული მშვილდი. აკი ერთად შეკრული ისრების კონა ღონიერმა მეფემაც ვერ გადატეხა, როცა ისინი ერთობისთვის იდგნენ მხარდამხარ. ამ ისრების კონას კი რა დამართნოდა?! გამხმარ-გაკენწრებული სათონედ გამზადებულ ფიჩხს დამსგავსებოდა. ერთი მკათათვის მზელა უნდოდა, რომ თონესავით გახურებულ სხვენში ცეცხლი წასდებოდა და ისევე უკვალოდ ჩანავლებულიყო, როგორც ყველა საძიები თუ ნაძიები შური ამქვეყნად.



ლაშა გვასალია

ახლოა ღმერთი...



მარტო ვარ ახლა, ეს ნიშნავს, რომ ვისმენ შენს სუნთქვას, და სიმარტოვით უსასრულო ქარაფებს ვერთვი, სიმშვიდე სიბრძნის დედააო, – წინაპარს უთქვამს, მგონია ხელით შეეხებები – ახლოა ღმერთი...

ღუმს შემოდგომის მოყვითალო-ველი და ყანა, სისხლამომშრალი ჩამოკრთება ფოთოლი უხმოდ, მომანვდის სანთელს საქვევრნათლოს დედა და თანაც, დიდს და პატარას ღვთისმშობელის ხატთან მოუხმობს...

არ იცდის დრო და მრავლდება იან ფიქრთა დარები, თუ ყურს მიუგდებ მიწისეულ ზეცის გალობას– იჩემებს სიო, შორეული დარდი – ქარები კენწეროებზე მონათლავენ შთამომავლობას...

დაგულდა ღვინო, ამოიკრა ლავაში თონემ, ამოხრიალდა ტყე-ველიდან ქშენა მშიერი, ვაცალოთ ცოტა, მოიკრიბოს სოფელმა ღონე, და ნახეთ მერე მზედ ქცეული ხმა ბედნიერი...

ვდუმელობ ისევ, მოიმედედ შენ დამრჩი ერთი, ჩემო მარადის გვერდზე მდგომო, მშობელო ღმერთო!..

ჯგუზურიასი ვიყიდე ნიგნი (ძველი რვეულიდან)

ჯგუზურიასი ვიყიდე ნიგნი: „შუადღის კარი“, კარგი ჰქონია სიტყვა და რითმა, პოეტურ ქარით – წერს: თუ თორსაში ვით დაჰქროდა უბელო ცხენით და მთვარემ როგორ მოანათა სასიზმრო ძღვენი... წერს სიყვარულზე, სინანულზე, ბაბუ სვიმოზე, და ეკლესია ვით იმშვენებს

ფრთათერ მიმოზებს... ნაბურღოვალი ალაგიდან ლურჯად იები – ესხივებიან გაზაფხულებს რია-რეებით... ესმის სიტყვა და სიყვარულის აშენებს ტაძარს, თვით უკიდია, შენც გიკიდებს ყაყაჩოს ხანძარს... არჩევს ლობიოს, თოხნის ყანას და ვენახს ფურჩნის, ხან მსუბუქია სიოსავით, ხან – მძიმე, ურჩი... შინამოს არსში გახვეული ანით, ჰოეთი, არის ლექსების მეგულძალე ნაღდი პოეტი... კვლავ თავს იგიჟებს აფრენილი ხევიდან ქარი, ჯგუზურიასი მახარებს ნიგნი– „შუადღის კარი“!..

ჩვენ ორმა...

თანდათან ქვიშისფერს დაიკრავს მინდორი, დგება შემოდგომა – საშველი არ არი და შორს ზღვებს იქით, მინდა რომ ჩვენ ორი გაფუყვით ქარებს და რაც არი, ის არი –

დავტოვოთ ჩვეული მიწა და დროება და შევყვით სტიქიონს სასრულში ბოლომდის, რომ ხორცს სულის ცა ოცნებად მოეხას, აჯობოს ზღაპარმა ჩვენს დაღლილ მოლოდინს...

მე გთხოვ, შენ ნასვლას ველარ წყვეტ ვერაფრით, სურვილი, ძვირფასო, თანდათან გაცივდა და ამას ყველაფერს ტკივილი შევარქვი ცოდვები მარადი – თანმდევი ჯვარცმოდან...

თანდათან დაიკრა ლეგა მზე მინდორმა,  
ყანების ლომური ირხევა ფაფარი,  
სხვა თუ ვერაფერი, მინდა რომ ჩვენ ორმა –  
ერთურთში ვიპოვოთ სამყო და საფარი!..

### და დარჩა ნატვრა...

ეს დღეებია ვერ დავწერე ერთი სტრიქონიც,  
სული ვარსკვლავებს შეხიზვნია, შთენილი მარტო,  
და პოეზია – გარდმოსული ცით სტიქიონი,  
ამოუთქმელი რამეების ფერებზე დარდობს...

რა სიყვარული, მოჩვენებად იქცა ყოველი,  
დამალულია ძალა სიტყვის, ოცნება წრფელი,  
ვდგავარ გიჟივით მართალი და მზისგან მოველი  
გამითბოს არსი, შემომსალტოს ბარჩხალა ხელი...

სულ მოლოდინი, სულ ოცნება, სულ ეს და სულ ის,  
ამ ვაი-ვიშში გაიღია დრო და სავალი,  
ცხოვრებამ ვერ ქნა, ვერ მოირგო სიკეთე სრული  
და დარჩა ნატვრა ობოლივით ჩუმი, ალალი!..

### ფიქრი დავკარგე ...

თვალეები შენი – ცა – სილურჯის წრფელი გენია,  
ჩემი არსის და სიყვარულის სწორფერებს ეძებს,  
სადღაც შორს, მთებს იქით რომ დასასრულია  
და იმ სასრულში საღრუბლეთის ნაგვრილ ველობზე,  
სადაც ღამის და სისხამეთის სხივნი ნათობენ  
და ნისლოვანი საჯანლეთი ოცნებას გაშლის,  
სადაც ღმერთივით უსასრულო ფერთა ნათელში  
მოლოდინების კენჭები ტოტზე დარობენ...  
იმ ტოტზე, სადაც სულს ეძინა ბაბუაჩემის,  
სიმთვრალის გამო, რომ ვერასგზით განეგრძო გეზი,  
და შეფალკლული მთვრალეური შებინდების თაღს  
თავშალებში გადაეხვია ცა და ხმელეთი...

ფიქრი დავკარგე, ჩემი მჭლე და კეთილი ფიქრი...  
მე ზღაპრებიდან ამოზრდილი ვარ ოდისევსი,  
ჩემი სულია – მზის სხივი და ტანია – მთვარე,  
დავეძებ სიკვდილს, რომ გავიგო სიცოცხლის ფასი

უშორესი და უმტკიცესი სასრულის დამლევს...  
აქ ყველაფერი ცის და ღრუბლის ამარა რჩება,  
მარგუნე, ღმერთო, შენი არსის იმედად ყოფნა,  
რომ ცაჩამოქნილ სიყვარულის ელეთ-მელეთში  
სიკვდილზე განცდას გავუთენდე სიტყვის გაფრენად!..

### ვერლიბრული შეღამებით...

შემოგვიტიეს ხელოვნურმა  
გაზაფხულებმა,  
შემოდგომური გვაკლია სევდა,  
ნამდვილი სევდა,  
წრფელი ცრემლივით,

დიადი და არამღვრეული,  
მართალი ცამდე,  
სულივით შემძლე აღმაფრენების...  
სიყვარულად და გახარებად  
შემოფარგლული,  
მოსავალივით დიადი და  
მსუყე მზესავით...  
თუნდაც დაღლილი, მუხლმოკვეთილ  
მწველი სხივივით,  
მკვდრად გადასული უსასრულო  
ქიმზე სევდების...  
შემოგვიტიეს ხელოვნურმა  
გაზაფხულებმა, შემოგვიტიეს!..

### უიმილო და აბელასტური...

კრიახებენ ქათმები – მერედა იკრიახონ,  
მზე ადგას მილეული თვალკიდულა ახოს,  
გააყრუა მატარებლის ჩიქ-ჩიქმა არე-მარე,  
გლახი ადგამს ქედზე სამყაროს ნიშა ხარებს...  
როგორ მიიქცევა ნელა დღეთა რია-რია,  
წუთისოფლის ქვევრში არაფერი ყრია...  
ეს ჩიტებიც ნეტავ ლურჯულებენ რატომ?  
სალოცავში თედოს უხიციანა კატომ...  
ასე მიდის ყოფა უსასოოდ ნელა,  
რაც არ უნდა ვკრთოდეთ, დავიღვევით ყველა,  
სასრულია მართლაც სრულყოფილი ერთი,  
სიკვდილისნინ ვგონებ თვალს შეგვაველებს ღმერთი...  
ვღუმელობდე ვინძლო, რას გაუგებ ყოფას,  
ერთ ღიმილად არ ღირს – არყოფნაც და ყოფნაც,  
მიუყვება გზანვრილს უსავათო ბედი  
და იმღერებს ერთხელ ბოლოხმაზე გედი!..

### გლახს...

შენს ბებერებიან  
დაღლილ ხელებს ვენაცვალე,  
შენს ალალ მზერას,  
ღმერთის ძალუძს რომელსაც რჩენა,  
სოფელი მიტომც-  
ქალაქებზე ველარ გაცვალე,  
და ვუსაძირკვლე ფიქრთა ჩემთა  
გლახური რწმენა...  
შენს ალალ მზერას და  
დაღლილ ხელებს ვენაცვალე!..

### თიბათვე ქართლში...

(ჯემალ ინჯიას)

ჩამოიფერთხა თიბათვემ ბუქი  
ყვავილების და ხატი ციერი –  
ვერცხლად მოფენილ ქალაში შუქით  
ისე კარგია და მშვენიერი...  
ეს სათვალმზერო სხივად გროვდება,

ფერებს გიჟივით გაფუთამამდი,  
მართლაც საოცრად საღამოვდება –  
ვარსკლავებით და მთვარე – თამადათ!..

**პაპაჩემო...**

როგორ გაუძელ ამ შურიან  
ცა და მიწიეთს,  
ასე კეთილი საქმეები  
ვით მოითავე?  
იქნებ სიკვდილთან  
ისე ახლოს დასეირნობდი,  
ვერ შემოგბედეს ყია-მყრალმა  
მედროვეებმა,  
მტრობით და ღვარძლით გაეთელათ  
შენი სივრცეთი,  
ის ნისლოვანი საგულისოც  
სიმღერ-ლილინით  
და მთვრალ-ზარხოშით გადავლილი  
ხავერდოვნები...  
ტარიელივით მიდიოდი დარეჯანისკენ,  
ავთანდილობდნენ შენი გულის  
დღე-დღეითები...  
ამონათებულ იმედივით  
ილიმებოდი  
და სრულდებოდა ხორციელი  
შენი მყოფობა...  
სული?  
ო, სულმა იცის საკურთხევით  
მადლ-მსწრაფელობა,  
დაიარება უგზო-უკვლოდ  
ბედუინივით  
და ტოროლდება ღამეული  
გამოსიზმრება  
დასრულებული საზღაპრეთის  
სიუჟეტივით!..  
ვით გაუძელი, ჩემო ბაბუ,  
ამ შურის ქაოსს,  
ვით ამოსვეტე ხრიალიდან  
ანი და ჰოე,  
სიტყვაკაზმული ყოფიერი  
სამშვენიესების  
გადარჩენად და სამომავლო  
შემოთენებად...  
არადა, სოფელს შენ უწოდე  
ფილოსოფია  
უმარტივესი წრფელსახებით  
გამზევებული!..  
ნეტავი იმ დროს,  
ბრძენო კაცო, როცა მარტივი  
ერქვა ღირსების პატიოსნად  
გადათენებას!..  
ეჰ, პაპაჩემო!..

**სიცხადით ზღაპრის...**

ნამომყევი,  
თუ გნამს ღმერთი,  
ვეუბნები ცას ხმის თრთოლვით,  
სამეუფლოდ,  
არა ჩემთვის,  
გარეთ ყრუობს ბინდი თოვლით...  
ბრონეულებს ნაეყინათ  
ზაფხულისპირ ყვავილები,  
ნამომყევი,  
ყრიან გზები  
სულ მგზავრებით დაღლილები...  
ნამომყევი,  
აგვისტოს თოვლს  
გაქცევია მდუმარება,  
ინთებიან თბილ მიწიდან  
ყვავილები ნება-ნება...  
ნამომყევი,  
შესევია სამგელეთი  
შემკრთალ წნორებს,  
ისეთია ზამთრის სხივი –  
სიკვდილის მზეს მოგაგონებს...  
ნამომყევი,  
მთვარის გული  
გატეხილა, როგორც მჭადი  
და სრულდება ზღაპარ-ზღაპარ  
ეს ავყია წელიწადიც!..

**ჰორიზონტები...**

ჰორიზონტები ირწევინან,  
ცათა კრებული  
დუმს სილურჯეში ნაშარბათალი,  
და სითბო სულის მზით დაწყებული  
ბოლავს სტრიქონთა მწველი ლადარით...  
თან მივეჩვიე მომქანცველ ცრემლებს,  
არ ჩანს დუმილი – ფიქრის ბატონი,  
ღლიან ყვავები ოცნების ხეებს,  
სიტყვები ზეცით საგუმბათონი  
ამოიმართნენ შორი ქედებით,  
ალალები და ასე ზანტები,  
სხვაგან მიდიან გუთნისდედები  
სისხლიან გზით და ჰორიზონტებით,  
სისხლიან გზით და ჰორიზონტებით,  
ჰორიზონტებით... ჰორიზონტებით!..

## გადინდებიან ჩემი არსიდან...

სულ მგონია, რომ ეს ხეები,  
ჩემი მკერდიდან ამოსულები,  
ჩემი სულით რომ შრიალებენ  
ფოთლით და ფოთოლ,  
ერთ დღეს იტყვიან უარს ყოფაზე  
და თვალკაკაბა ნაკადულივით  
გადინდებიან ჩემი არსიდან...  
გაფრინდებიან წეროებივით  
წაიგრძელებენ ფოთლოვან კისრებს,  
არდაბრუნების დასტურად კიდეც –  
დაგვიტოვებენ ხმელ ტოტის ტოტებს...  
მე შევმფოთლები და ვიდარდებ  
იმაზე, მზეო,

რომ ველარ გავფენ სველ სულს ვერსად,  
დამიობდება თეთრი პურივით,  
გახმება ყველა ძარღვი და ფესვი  
ჩემი ნატვრის და ჩემი ოცნების,  
ხეებზე ფრთონით აყვავებულნი  
ღმერთებს რომ ჰგავდნენ...  
ჩემს მკერდ – მუცელზე ამოსული  
ხეების დარდი –  
გადამეზარდა უძილობის თეთრ კაემანში...  
და მეშინია, უფალო, იმის –  
არ გავხდე თავად სიკვდილი ჩემი...  
ვერ გადავიტან წეროებივით  
ჩემი ხეების სხვაგან გაფრენას!..

## ჯამალ მახრიშვილი

## გაუცხოება

სოფლის კარგა ზევით, ტყიანი მთების ილ-  
ლიაში დაბინავებულმა მონარევეებმა<sup>1</sup> დღიური  
საქმიანობა მოითავეს. ქალებმა ფურები დაწვე-  
ლეს და სამას ოცი ლიტრი რძე ბალონებში გად-  
ანურეს. ხვალ დილით რაიკენტრიდან მათი  
ბიზნესპარტნიორი ვალიკო დოფურიშვილი „ცის-  
ტერნიანი“ ავტომობილით ამოვიდოდა და ორივე  
– ამ საღამოს და ხვალ დილით – მონანველს თა-  
ვის ბინაში რუმინულ ყაიდაზე გამართულ ყველის  
საწარმოში წაიღებდა.


შეთოფიარალებულმა ღამის მენახირეებმა  
დაწველილი ძროხები და მშრალი საქონელი ისევ  
ახლო იალაღზე წაირეკეს, გვიან ვახშობამდე  
კიდეც რომ წაეძოვებინათ. მეტხანს კი ვერ ბე-  
დავდნენ – შემოჩვეული მგლები აღარაფერს  
ეპუებოდნენ!.. ზოგიერთი ძალღი ბანარალებით  
მიმავალ ნახირს ჩვეულად აედევნა.

დროდადრო გაისმოდა დამწყვედული ხბორე-  
ბის სევდიანი ბლავილი. ჰაერში რძისა და ახალი  
ნეხვის სუნი ტრიალებდა.

დასაღამოხანდა. საქმემოთავებულები ქალები  
თავიანთ ვაგონწინ, ვინ რაზე ჩამომჯდარიყო და  
ერთ-ერთი მონარევე – მენახირის, ჯერანას კილ-  
ვით ენას იფხანდნენ.

– ნეტავი რაღას უცდის ეს ჩვენი სიძებატონი,  
რატო საცოლესკენ არ დაეშვება?! – კვიმატურად  
იკითხა თავდანებებულმა ზაირამ და ჯერანას  
ქონის სიახლოვეს, პანტაზე გამობმულ შეკაზმულ  
ცხენს აღმაცერად გახედა.

1 მონარევე – ვისაც ვინმესთან ერთ ბინაში ჰყავს ცხვარი ან  
სხვა საქონელი შერეული.



– ალბათ, დახშირბინდებას უცდის, – დამცინ-  
ავი გამოსარჩლებით მიუგო ერთ-ერთი მენახირის  
გასათხოვარმა ქალიშვილმა, ელიკომ, ჯერანას  
უყურადღებობა გულს რომ უკლავდა, – სოფელს  
სალაპარაკო ხომ არ უნდა მიეცეს?!

– სალაპარაკო, თორემ არ იციან, რაც არი  
მეგი! – ტუჩები აიბურცა გასათხოვარმა თუ უკვე  
შინაბერად ჩათვლილმა ვარდიკომ, – არ მესმის,  
სხვის დანაგდებ ქალში რა ნახა იმისთანა, ასე  
თავგადაკვლით რომ...  
– იჰ, არ იცით მეგი?! – ყველაფრის მცოდ-

ნესავით წამოიწყო ამინებებზე დაქვრივებულმა მანცომ, – ერთი გადაიტრიალებდა თვალებს!.. ფეხს ფეხზე შემოიგდებდა და... კაცებს ხო მეტიც აღარ უნდათ!..

– მართლა?! – დაკითხვებით ისე ამოსცდა ახალბედა მწველავს, მაიკო ჭრელაშვილს, რომ ყველას თავშეკავებით გაეცინა. მერე მოულოდნელი დუმილი ჩამოვარდა.

– ალბათ, მეგისთანაც დაილაშქრებ, არა?! – ქალების ნაბჭობს იმავე ვარდიკომ ხელად კუდი გამოაბა.

– ვინა, ჯერანა?! – ვარდიკოს ნათქვამი მანცომ მაშინვე გააგებით გადაატრიალა, – მეგი თავისთან დააღამებინებს კი არა, თითოსაც არ დააკარებინებს – მარტო საპამპულოდ სჭირდება! ეს უბედური კი თავისით ვერაფერს ხვდება!

– რას იზამთ, სიყვარული ბრმა ყოფილა, ქალებო! – წინამასწარა თინიკო სიტყვით ვითომ სიყვარულს ექომაგებოდა, მისი კილო-გამომეტყველება კი გესლიანად დასცინოდა წმინდა სიყვარულსაც, მის მონამორჩილებსაც...

ჭორიკუდაობით გართული ქალები მონამიანებული მხრებითა მიხვდნენ, უკვე შემოღამებულიყო. ვიშვიშით წამოიშალნენ უფრო თბილი ზედა ტანსაცმლის დასამატებლად და ვახშმის თადარიგის დასაჭერად.

\* \* \*

ჯერანა საერთო ვახშამს არც უცდიდა – კუჭი გუშინდამ მონარჩუნებული ცივი ხინკლებით მოიტყუა. ახლა კი თავისი ქოხიდან თვალდაჭერილი, მოუთმენლად უცდიდა ქალების აშლას, რათა რახრახა „დვიჟოკით“ მთელი სადგომის გადაკამკაშებამდე მოესწრო წასვლა!

ყველამ ისედაც იცოდა, თითქმის ყოველდამ ასე ცხენდაცხენ სოფელში რისთვისაც დაიარებოდა, მაგრამ ასეთი იყო მისი წარმოდგენა – უნდოდა სხვების თვალმოუკვრელად გაუჩინარებულიყო!

ჯერანა ფიქრით უკვე მეგისთან იყო, გახუნებულ მწყემსურ ზურგჩანთაში კი ერთმანეთის მიყოლებით თითქოს თავისთავად ლაგდებოდა რაგინდარა პარკებში გამოკრული ზღმარტლი... ჯიკა<sup>2</sup> ... ხის სოკო... ასკილი... დაწნული ყველი<sup>3</sup> ... ძახველი... ჩაყვითლებული პანტამსხალი... კუნელი... დამბალი ხაჭო... ყოლო... ფმატი...

ქალები თავიანთ ვაგონში რომ შელაგდნენ, ჯერანამ სავსე ზურგჩანთა მოიკიდა და მოკლე ტყავუჭქვეშე პატრონტაში შემოირტყა. პაპისეული დასალტული ორლულიანი კი უნაგირთან ჰქონდა ჩაკრული. ერთხელაც, მეგისთან რომ დაუხანდა,

აქეთობას, სოფლის ერთ-ერთ მოსაბრუნში გზაარეულ მგელს შეეფეთა! აფრუტუნებული ცხენიდან უმალ ჩამოხტა, ამოაძრო სავსე თოფი. დაუჩოქა, დაუმიზნა, ესროლა, გააგორა! ხვადი მგელი აღმოჩნდა, საგლეჯი კბილები კაცის საჩვენებელ თითზე გრძელები ჰქონდა!.. გამოყვანილი ტყავი მეგის მიართვა!..

ჯერანა გარეთ გამოვიდა, ქოხი გადარაზა. ფარდულში დადგმულ თავნება „დვიჟოკს“ ვასიკო თავისებურად უკირკიტებდა – მალე იქაურობა გადანათებოდა! ლასტის წნელსა და ნიჩბის ტარებზე ნაშუადღევს წასული ბიჭებიც უკვე მოხმაურობდნენ... ცხენი ახსნა და ჩაგრეხილ ბილიკზე აკრეფილი ნაბიჯით ჩაუძღვა.

სანამ გორის ზურგს არ გასცდნენ და არ ჩაუვაკდათ, შეჯდომა არც უფიქრია. ორწყალთან კი ცხენი გააჩერა და ზურგჩანთა ისე ამძიმებდა, უნაგირზე ძლივს შედვა. ცხენი მაინც ისეთი შეუპოვრობით მითოხარიკობდა, პატრონი გუნებაში ღიმილს ვერ იკავებდა, თან მთელი გზა თავს უჭერდა – არ გამეოფლოსო!..

მალე ოხერხევს შემოსცდნენ და ლამეში ჩამყუდროებულ სოფელში შევიდნენ. უკან მოიტოვეს ჯანგირაანთ უბანი და დაიარების ორლობეც გალიეს... ყველგან ძაღლების დაულალავი ლაფლაფი მიაცილებდათ...

ცხენი დაბარებულივით მიადგა ნაცნობ ხირხალს, თავისით გაჩერდა და მოუთმენლად შეიხვიხვინ-შეიფრუტუნა. ჯერანა ჩამოქვეითდა. საძროხესთან დაბმული ძაღლი გაავებით აყეფდა, მაგრამ მალე თვინიერ ნკმუტუნზე გადავიდა.

ქვითკირის ორსართულიანი სახლის განათებულ დერეფანში მეგიც გამოჩნდა. ბალი გადმოჭრა და სათივე-საძროხის ხირხალი გაალო. ცხენმა მაშინვე წაიფთქვინა და ქალს აღელვებით ჩაუხვიხვინა, თან შუბლით წახახუნებაც მოუნდომა, მაგრამ ჯერანამ ლაგმის ტარი გადუნკაპუნა და დააოკა. ცხენი ქალს მაინც მოუთმენლად შეჰხვიხვინებდა.

ახლაც კაკლის ხესთან მიდგმულ, ჯეჯიგადაფარებულ ტახტთან მივიდნენ. ჯერანამ ზურგჩანთა მოიგდებინა და მეგის შეაჩერა.

– უიმე, რამსიმძიმეა! – შეიცხადა ქალმა, – მხრებს რაზე აწყვეტინებ?!

– რა ვიცი...

დერეფნიდან გამონამკრთალი, ხეხილის ტოტებით აჭრელებული შუქის ფარდაშიც ილანდებოდა, ქალმა მძიმე ზურგჩანთა როგორი წვალეზა-წვალეზით წაილო შინისაკენ.

ჯერანამ ცხენი დაბურულ თხილნარს ავშარით გამოაბა, ლაგამი ნაჰყარა და გარსაკრები დაუბოშა. თოქალთოს ქვეშ ხელიც მოუფათურა – ხო არ გაიოფლაო! თან გამაბრუებლად ეყნოსებოდა მეგის მიერ დანატოვარი სუნამოს სუნი. ბაკიდან

2 ჯიკა – ახალი ყველის ფაფა.

3 დაწნული ყველი – ჩეჩილი ყველისგან დამზადებული წნული (გასახმობად და შესანახად).

ხამუშ-ხამუშ მოისმოდა ამოცოხნით გართული ძროხების ნაფშმუილება.

მეგიც მოვიდა და ისევ მოიტანა უცხოური სუნამოს სუნი. მიკეცილ-მოკეცილი ზურგჩანთა ტახტის თავსასთუმალთან მიდო და ახლა ფარდულისკენ გაესწრაფა. ყურნაცქვეტმა ცხენმა კვლავ მოუსვენრად ამოიფრთხვინა და მიმავალ ქალს ნელანდებურად აუხვინებინდა.

– ბევრი არ გინდა! – დაადევნა ჯერანამ დ ტახტზე დაეშვა.

მეგიმ სპილენძის ძველებური ტაშტი გამოიტანა და ახვინებულ-ატოკებულ ცხენს სხარტად დაუდგა. მერე მივიდა და ჯერანას გვერდით მიუჯდა. ცხენმა ქერს სულ ხრამახრუმი აუყენა.

– შენ? – უნიროდ იკითხა ქალმა, – გემშიება!

– რანაირად?! – თითქოს ითაკილა კაცმა, – ფერმიდან არ მოვდივარ?! დედაშენი როგოა?

– ხან – ასე, ხან – ისე!... წნევა სულ უთამაშებს!

– მამა?

– ძლივს აუდის საქმეებს!.. დღესაც ორი მანქანა პრესი მარტომ შეაკოკოლავა!

– მემრე, მევლუდა რას აკეთებს – მამას არ ეხმარება?

– მევლუდა!.. ეგ ლუდის ყლურწვასა და ცოცხით მოგვილ ძმაკაცებსაა გადაყოლილი!.. მაგისმა ურიგმარიგობამ დედა უარესად დაასწეულა!..

მძიმე ღუმილი ჩამოუვარდათ. სოფლის ძაღლების გაუთავებელი ღავლავე თითქოს აქარწყლებდა მათი ნაუბრის მნიშვნელობას.

ჯერანამ ქალს მხარზე ხელი გადასდო და ხმა დაიდაბლა.

– აბა, როგოა ჩვენი ნათქვამობა?

– იჰ, რა ვიცი! – ნათხოვარი ხმით ჩაუჩურჩულა მეგიმ და კაცს მხრიდან ხელი ჩააღებინა.

– რალა „რა ვიცი?!“ – კილო გაირბილა ჯერანამ, სულ რომ არ უთაკილნია ქალის მიერ მხრიდან ხელის ჩაღებინება, – თუკი შევერთდებით და... ჩემთან ამოხვალ, შენც ჩვენი მონარევე გახდები!.. მაშინ თქვენს საქონელსაც სულ იქ ავრეკავთ და მამაშენიც მოისვენებს!.. სხვა არა იყოს რა, როდემდე უნდა იხადოთ ამოდენა სანახირო?! სულ რამდენი სული გყავთ?

– ცხრა... შვიდი... არა, არა, თერთმეტი!

– რატო მაგრე ურევ? – ჯერანა აღერსგარეული ხმით შეუწყრა, – სულ რამდენი გყავთ, ეგეც არ იცი?

– იჰ, რა ვიცი! – მეგის რალაც თავარიდებით ჩაეცინა, – დეკეულ-მოზვრებიანად, მგონის, თოთხმეტი!

– ჰოდა, ამოდენა საქონელს დევნა-შენახვა არ უნდა?! – საქმიანად განაგრძო ჯერანამ, – ერთი-ორი მენველი ფური თავიანთთვის დაიტოვონ, რასაც მამაშენი სანაშენოდ გადაარჩევს, იქ ვიყოლიოთ, რაც არა და დაყიდეთ! თან ისიც...

ჯერანას უცებ სიტყვა გაუშრა, რადგან მოეჩვენა, მისი ნალმა-უკულმა ლაპარაკი მეგის გონებას სულ არ სწვდებოდა! გარინდებული ქალი ისე იჯდა, როგორც ენამოუდგმელი და ზედვე ეტყობოდა, ფიქრები სხვაგან დაუქროდა! ამის მიუხედავად, რაკი სათქმელი არ ასვენებდა, გადანყვიტა, გულის ღარღლი ბოლომდე ამოეყარა.

– იქ მარტო შენ ხო არ იქნები – შვიდი-რვა სხვა ქალიცა გყავს!.. ერთმანეთს ხელად შეეთვისებით!.. ე წველა კიდე გეხერხება!.. თვეში შვიდას-რვაას ლარზე გამოხვალ – ფული არ არი?! ეგრე უმუშევრად შინ როდემდე უნდა იჯდე ან... დრო არ მიდის?! იმ შენს ძმაუასაც მოსწყინდება გარე-გარე სიარული, ჭკვაში ჩავარდება... დაცოლშვილიანდება...

– უჰ!

– შენც... მშობლებს შვილიშვილები ხო უნდა აჩუქოთ!..

ჯერანამ მოულოდნელად სათქმელი ჩაიცოხნა, მაგრამ უცებ ისეთ კილო-კავზე ჩაუნიავა, თითქოს მეგისთვის რალაც საიდუმლოს თქმევენება განუზრახავსო.

– ის კიდე ხო არაფერს გეუბნება?

– ერთი გაბედოს! – ან რალა უნდა მითხრას – მეორე ქალი შეურთავს და გორში გადასახლებულან!

ორივემ ენა დაიდუმა. კაკლის ტოტს შემჭნარი ფოთოლი ცინგლივით მოსწყდა და მეგის კალთაში ჩაუვარდა. ქალმა ფოთოლი აილო და განზე მიაგდო.

ჯერანამ მოჭრით ახლა ეს იკითხა.

– სხვა მთხოვნელები ხო არ აგიჩნდნენ?

– უჰ!

– მშობლები რას გეუბნებიან – თანახმანი არიან?

– თანახმანი რომ არ იყვნენ, ამ შუალამისას აქ გამომიშვებდნენ?!

– მაშინ მაიტა და ეს საქმე გავათათო! – ხახაგამშრალი ჯერანა სიტყვებს ძლივს აგებდა, – თუკი... მაშინ მაგ სახლს სულ დავანგრევე და... გიგოლა შემპირდა: როგორსაც მეგი მოინდომებს, ძმაკაცობის ამბავში სულ უკაპიკოდ აგიშენებთო!.. სახერხზე მომუშავე თანაკლასელები არიან და – თქვენ ოლონდ საშველი დაიყენეთ და რაც რამ ხემასალა დაგჭირდებათ, ჩვენზე იყოსო!..

ჯერანა ჩადუმდა. თითქოს ერცხვინებოდა სათქმელის გამომზეურება.

– ღმერთმა კეთილი ყურით გაიგონოს და იქნებ ჩვენი პატარა ფერმაც დაგვეარსებინა!.. მევლუდასაც შევიამხანაგებ და გამოვასწორობ!.. ანდა, ყველ-კარაქის სანარმო გავხსნათ!.. შენ ოლონდ...

– ვნახოთ!

– ამას რალა ნახვა უნდა – ერთმანეთს პირვე-

ლად ხო არა ვხედავთ?!

დუმილი თავისთავად ჩამოვარდა – ორივეს პირი აეკრა. ბაკიდან დროდადრო ნეხვის ბასტანი მოისმოდა.

ჯერანა თითქოს მამლების პირველმა ყვილი-მა შეაგულიანაო, თავისი ეკლისებური სანუხარი ენიდან უნებურად მოსწყდა.

– ი შენი დაქალი, როზა, რომშია თუ იტალიაში?

- იტალიაში.
- იქიდან ხშირ-ხშირად გირეკავს ხოლმე?
- შენ საიდან იცი?
- ვიცი!.. ჩიტმა ამბავი მომიტანა!
- იჰ, რეკოს, რამდენიც უნდა!.. დაქალს დარეკას ხომ ვერ ავუკრძალავ!

– არა... მე როდი... მე იმას კი არ ვიძახი... – ჯერანა სიტყვებს ერთმანეთს ველარ აბამდა., – შენ როზას აყოლა რა ხელს მოგცემს-მეთქი! ის...

– მერე, ვინ ამბობს, რომ..

– არა, მაგრამ... – ჯერანამ შემდეგი სიტყვები ველარ გამოლევს და საქმეზე გადავიდა. პატრონტაში შემოიხსნა და გვერდზე მიაგდო. ქალს მოეხვია და ტახტზე ისე გადაანვინა, მიკეცილ-მოკეცილ ზურგჩანთას სასთუმლის მაგივრობა გაენია. თან კაბა გადახადა.

მეგი კალმახივით გაფართხალდა და რალაც მონაზვნურად წათქვა.

- უჰ, აბა, ეს რა არი?!
- შენ არ იცი, რაც არი?!
- ოჰ!

პატარა სოფელი უცებ მამლების პიანინოს დაემსგავსა – ყოველი მხრიდან შემაგულიანებელი ყვილი მოისმოდა!.. გასაკვირი იყო კაკალზე მიდგმული ვინრო ტახტის სიმკვიდრე – მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელ არ დაუხვნებია, არც თვალთმაქცური ქრატაქრუჭი გაუბამს...

ცხენს სულ მოესუფთავებინა ტაშტი და ტახტის ბინადრების გასაგონად შეკავებით ჩაიხვიხვინა – კიდე მინდაო!

– რა იყო, შე საიამნევ – ერთი არ დაგვაცდი?!

ორივენი წამოსხდნენ. ჯერანამ ისევ შემოისარტყლა პატრონტაში. მერე აიმართა და თავისი ცარიელი ზურგჩანთა მხრებზე მოირგო.

– მეგი, მე ახლავე უნდა გავბრუნდე უკან, ხვალ უთენებლივ ვარ ასადგომი – უფროსს მთებში იჯარით ასაღები საილალო საძოვრების გასასინჯად მეც მივყავარ და, ალბათ, ერთ კვირაზე მეტხანს ველარ ჩამოვალ!..

ორჭოფული დუმილი ჩამოვარდა. ჯერანამ სათქმელი დაისრულა.

- ჰოდა, შენ კიდე პასუხი მოიფიქრე და... ოლონდ ჩაკრულ-ჩამოკრულად არ გინდა – სათქმელი პირდაპირ მითხარი!
- გასაგებია.

ჯერანა ახლა ცხენს დაუტრიალდა. ლაგამი ისევ ამოსდო, გარსაკრები ხელახლა მოუჭირა და ავშარის დაკეცილი თოკი უნარგირს ჩააკრა. თოფსაც შეუმონმა მდებარეობა.

მეგიმ ხირხალი გაალო და ცხენ-კაცი სევდიანად გაატარა.

– აბა, შენი იმედი მექნება! – ჯერანამ ქალს ჩახვევით აკოცა, მერე ცხენს მოაჯდა და ქვა-ლორლიან ორლობეს ჩაქჩაქით გაუდგა. ლობეებს მომწყდარი უბნის ძაღლები ყეფა-ყეფით მიაცილებდნენ.

\* \* \*

ჯერანას თავისი გამოყრუებული სახლ-კარისკენ ავლა ფიქრადაც არა ჰქონია, მაგრამ ასაბრუნთან ცხენმა თავისი გეშით გადაუხვია და ისიც აღარ შენინაალმდეგებია. ლაგამმიშვებული ცხენი თავის ქნევით მიადგა ხის დაბალ ჭიშკარს და შეჩერდა. ოლონდ არ დაუხვიხვინია – აქ ქერით გამასპირნძლებას არავისგან ელოდა!

ორლობის ორივე მხარეს, მეზობლების აივან-დერეფნებიდან და საძროხეებიდან იმედიანად გამოკრთოდა ელექტროსინათლე, სასაფლაოს დამსგავსებულ მათ ეზო-ყურეში კი შუქის ამნათებელიც აღარავინ იყო! ან ვილა იქნებოდა: დედ-მამა დიდი ხნის წინათ დაეხოცათ... სადესანტო ნაწილში მომსახურე უფროს ძმას საბრძოლო წვრთნისას პარაშუტი არ გახსნოდა და – სადღაც ჟოდინოს მიდამოებში სამხედრო წესით დაეკრძალათ!.. მომდევნო, ასევე უფროსი, დანვრილშვილებული ძმა მარნეულშია ჩასახლებული და აქეთ გამოსახედადაც ველარ იცლის!.. სამ ძმას ერთადერთი უმცროსი და ჰყავდა – უნივერსიტეტის სტუდენტი, ფიზიკის ფაკულტეტის მეორე კურსის ფრიადოსანი! მაგრამ... იანვრის ყიამეთში ნააბანოებს, დაქალისთვის ხათრი ველარ გაეტეხა და სტუდენტულში გადმოსაბარგებლად ეშველა! ჰოდა, მაშინ გაციებულიყო და ტვინის ანთებამ მოიდნო! მერედა, რანაირ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ! ეეჰ!.. თვითონ? როგორც ერთ-ერთი მონარევე, სულ ამ საქონელს არის გადაყოლილი – დრო კრამიტის გასასწორებლად თუ გამოძებნა ხოლმე!..

გაუცხოებულ კარ-მიდამოს მომრიდებელივით თვალმიშტერებულმა ჯერანამ იგრძნო, მამა-პაპეულ სამყოფელს შემომდგარ სიბნელეში მათი ჯილაგის სანიშნო ამბები და შემთხვევები იყო შენახული, რასაც თვითონ თუ არ გადასცემდა თავის შვილებსა და შვილიშვილებს, დავინყებას თავისთავად მიეცემოდა და ამქვეყნად მათი სახსენებელიც გაქრებოდა!

ულალატო მონარევემ უეცრად იმედიანი გულის ბგერა იგრძნო!.. ყველაფერს ეშველება!.. მეგი ერთგულად გაუნევეს უღელს, და!..

ჯერანამ თავჩაქინდრული ცხენი ქუსლების მოჭერით შეაფხიზლა და მთებისაკენ გასაბრუნებელ დახვეულ გზას გამოუდგა.

\* \* \*

მწველავ ქალებს გადაუდებელი საქმეებისთვის ხელი მოეთავებინათ და ფანჯატურქვეშ, სანიავოზე თავშეყრილნი, თან კალთამოშლიფებულეები, ერთმანეთს პირიდან სიტყვებს გლეჯდნენ. ამის მიზეზიც გასჩენოდათ!

– ეს ჩვენი ჯერანა ძველებურად ველარ ჯეირანობს! – ნიშნის მოგებით წამოიძახა თინიკომ, – გახედეთ, გახედეთ, სად...

– როგორღა გინდა იჯეირნოს, – პირიდან სიტყვა გამოაცალა ზაირამ, – რაც საცოლე იტალიაში ნაუვიდა!

– არ კი ნაუვიდა, გაეპარა! – ჩაასწორა მანცომ.

– შეიძლება ასეც ითქვას! – დამცინავად განმარტა ვარდიკომ, – სოფელში ლაპარაკობენ...

– ი როზას იქიდან უბძანებია, – კილოს დაუნია ზაირამ, – შენ ოლონდ ჩამოდი და...

– როზა ვინ არი? – მოუთმენლად იკითხა მაიკომ, თუმც პასუხი არავის უღირსებია.

– ამას კიდევ მეგის ჩარჩოიანი სურათი თავით უკიდა!

– უკიდა და ეკიდოს! ამისთვის მეგი იქიდან მანქანის ფულს გამოუგზავნის!

– მანქანის ფული, არა ჭირი!... მობილური შეუცვლია და ამას ნომერსაც არ ატყობინებს!

– ფუჰ, ის ქალია!

– აბა, ჩვენა ვართ ქალები – ვსხედვართ აქა და წლითინლობით ამ გუზუმბათის მთას გავეყურებთ!.. აი, დაიცადეთ თუ...

– ჰმ, ბიჭს აიძებდა, მოულოდნელად კი... ერთი გააგებინა, ეს აქ რა დღეშია!

– ოჰ, თუ გაიგო, რას ამბობ, ლოყებს შემოიკანწავს!..

ქალებმა უეცრად შეწყვიტეს ლაყაფი და აიშალნენ, რადგან ცხენით მომავალ მონარევეთა თავკაცს შორიდანვე შეასწრეს თვალი. თათარა აბალიშვილი ვერ იტანდა მწველავების უქმად სხდომას. საქმეც რომ არა ყოფილიყო რა – ფერმაში კი საქმეს რა გამოლევდა! – რამე მაინც უნდა გამოენახათ და ეტრიალათ!

\* \* \*

გაზაფხული გაშუალებული იყო. ერთი კვირის შემდეგ მონარევეები საზაფხულო იალაღებზე უნდა ასულიყვნენ. რამდენიმე მენახირის გარდა ყველანი ბინაზე ფუსფუსებდნენ, თათარას განკარგულებით წინდანინ გასაგზავნ ბარგს არჩევდნენ და კრავდნენ.

ქალების ვაგონიდან გამოვარდნილი ვარდიკო

თავისიანებისკენ შლეგიანივით გამოიქცა. წინ გამოშვერილ მობილურ ტელეფონს თან ისე იქნევადა, როგორც ერთადერთ უტყუარ მოწმეს.

– ახლა ეს კი იყო, მთვარისა ქაცანაშვილმა დამირეკა, – ვარდიკო ამოუსუნთქებლივ ქაქანებდა, – ერთი კვირის წინათ იტალიაში მეგი... მეგი იტალიაში გათხოვილაო!!!

ყველამ შეწყვიტა თავისი საქმიანობა და ოთხი თავდაყბაული ბოძის მკვრელ ჯერანას გაუშტერეს თვალები.

– ეგ სოფლელების ნაჭორი იქნება! – გესლიანად ჩააკერა ელიკომ.

– არა, არა!.. მეც ასე მეგონაო – მთვარისამ! – ვარდიკო ისეთი ცქლაფიცქლუფით განაგრძობდა ლაპარაკს, თითქოს პირში ცხელ-ცხელი კარტოფილი ძალად ჩაუდვიათო, – მაგრამ გუშინ ფოსტის წინ კაციელი ძია შემომხვდა და მილოცვა მიიღო!!!

– ვიზე გათხოვილაო, – გულგრილად იკითხა ზაირამ, – იტალიელზე?

– არა, არა, პორტუგალიელზეო!.. ზიზომ მითხრაო, თაფლობის თვის გასატარებლად ქმარს ესპანეთში ნაუყვანიაო!..

ქალების ენის ჭარტალით თავისი ყველაზე საიმედო მონარევე-მენახირის გესვლას აბალიშვილმა დაუსვა წერტილი. უცებ პირმკვახე გამომეტყველება მიიღო.

– თავისი საქმისა ყველამ თვითონ იცის! – ჯმუხად დაბეჭდა და ბიჭებს საქმიანად გაუგრძელა, – ეგ დიდი ქვაბებიც აქ რაღად გვინდა?!.. გადაბით, დილაზე ცხენებს ხურჯინულად გადაკიდეთ და ეგენიც ზევით გაატანეთ!

ხოხმიკად შეკრული ალაჩოყის ბოძები ჯერანამ ზევით ასატან ბარგთან გაანვინა და აბალიშვილთან მივიდა.

– ცოტა ხნით სოფელში ჩავალ... მალევე ამოვბრუნდები.

– ნადი, კაცო!

ახლო საძოვარზე გაშვებულ, დადუშაყებულ ცხენს ჯერანამ დუშაყი ახსნა და თავის ქოხთან მიიყვანა. შეკაზმა და დადუმებულ თანამოსაქმეებს წინ გაუტარა. გზის გადასამოკლებლად ახლაც ჩაგრეხილ ბილიკზე ჩაუძღვა და მალე ჩაჭფარდნენ კიდევ.

– ვაი, შე უბედურო, შენა! – რომელიღაც ქალმა თავი მაინც ვერ შეიმაგრა.

ორწყალთან რომ ჩაივაკეს, ჯერანა ცხენზე მაშინღა შეჯდა. ცხენი ჩვეული დაუდგრომლობით მოთოხარიკობდა, რაკი ეგონა, ახლაც...

ისედაც შეთხელებული სოფელი უფრო დაცარიელებული გამოჩანდა – ხალხი საგაზაფხულო სამუშაოებზე იყო გასული!.. ჯანგირაანთ უბანი რომ გაუნახევრდათ, დაიქვეითა, სადავე დაიმოკლა და მოლოდინით აღელვებულ ცხენს



ისე წაუძღვა.

ნაცნობ ხირხალთან რომ შეჩერდნენ, ცხენ-მა თავისებურად შეიხვიხვინა. ბედად კაციელიც ღობესთან ყოფილიყო ჩაცუცქებული – ჩვილ ხბოს დგომას თუ გავლას ასწავლიდა! ცხენის შეხვიხვინებისთანავე ხბოს თავი მიანება და აიმართა.

ღობის იქით-აქედან ყოფილი სასიმამრო და სასიძო ერთიმეორეს უცხოებევით შეაშტერდა.

ჯერანამ კრიჭა ძლივს გაიხსნა.

– მართალია?

კაციელს თვალეზი დამნაშავესავით ალმაც-ერად წაუვიდა.

– მართალია.

ცხენმა ხელახლა შეიხვიხვინა და თავის ქნევას მოჰყვა – ვერ გაეგო, ხირხალის გაღებას რატო უგვიანებდნენ და ის ქალი ქერით არ უმასპინძლებოდა!

ჯერანამ ცხენს ლაგამი მოსწია და ორღობეში აცაბაცად წაუძღვა. გაუარეს ღვინიაშვილების ეზო-ყურეს, უკან მოიტოვეს სოფელი და შიშველი გორის ფერდოს შეუდგნენ. მზე ახლა ზურგიდან ანათებდა და საკუთარი ჩრდილი წინ ბედისწერასავით მიუძღვებოდა... თავის ყისმათს შერიგებული ცხენი ახლა ბავშვევით მიჰყვებოდა.

გორის ზურგზე რომ შეიმალა, შედგა და სოფელს შემოუბრუნდა. უცებ მოეჩვენა, თავით ფეხებამდე ხევდებოდა ვერასოდეს წარმოიდგენდა, მშობლიური მიდამო თუ შეიძლებოდა ასეთი აუტანელი გამხდარიყო...

\* \* \*

ჯერანა საზაფხულო იალაღებზე აღარ წასულა. იმ ერთი კვირის განმავლობაში პირწმინდად მიყიდ-მოყიდა თავისი საქონელი, ცხენ-უნაგირი... მწყემსური ვარაუდით, რაც იქ დასჭირდებოდა, შეკრა და დერეფანში დაილაგა... კარს ახალმოდური კლიტე დაადო, სარკმლები კი სქელი ლარტყებით ჯვარედინად დალუსმნა... მეორე დილით ნაქირავეები „რაფით“ თავისი ბარგი-ბარხანა თბილისში ჩაიტანა და შემნახველ საკანში ჩააბარა. მერე თავიანთი უნახველი შორეული მოსადევარი<sup>4</sup> იპოვა და მათი დახმარებით გლდანის განაპირა კვარტალში ოთახნახვერიანი, გაურემონტებელი ბინა იყიდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი გაიკითხ-გამოიკითხა, საჭირო კაცებს ოქროს აბები გადააყლაპა და მეეზოვედ მუშაობა დაიწყო...



ვალიკო სამუკაშვილი

**ღრუბელი ვარ**

გული მღერის სიყვარულის ხმაზე, ტკბილად კვნესის გაზაფხულის ქნარი, ღრუბელი ვარ, გამოკრული ცაზე და არ ვიცი, სად წამიღებს ქარი. ხან მთის კლდე ვარ, დაუშლელი მარად, კუმტად გავცქერ ხეობების სიღრმეს, გაქვავებულ გულს ყინული ფარავს ვერ ვიხსენებ ბავშვობას და სიყრმეს. ხან წყარო ვარ ანკარა და ცივი, გულს ვუხარებ ძენის ჩაშლილ რტოებს, ჩემთან ახლოს ხობობი რომ ყივის, გაფრინდება, ნალველს შემატოვებს. გაზაფხულის ფერი მიყვარს მეტად, ვარსკვლავებით შეჭედილი ზეცა, გზად ვიარე მარტოსულმა, კენტად, ტანზე ხშირად სევდის ჯვალო მეცვა. გული მღერის სიყვარულის ხმაზე, ტკბილად კვნესის გაზაფხულის ქნარი, ღრუბელი ვარ, გამოკრული ცაზე და არ ვიცი სად წამიღებს ქარი.

**შუნი**

(ტყის მცველის ნაამბობიდან)

წვიმს, გაზაფხულის საოცარი იგრძნობა სუნი, ხეების ფოთლებს ასველებენ წვიმის წვეთები, მოულოდნელად გვიმრიანში გამოჩნდა შუნი,

4 მოსადევარი – იგივეა, რაც ნათესავი.

თავანუელმა მიიღბინა წყალთან ფეთებით.  
ელდანაცემმა წყაროს წყალი უცებ დალია,  
ჯერაც შემკრთალი გამოვარდა აქეთ მდელიზე,  
ჯიხვს აქ რა უნდა გამიკვირდა მოხუცს ძალიან,  
არვესთან ერთად რად არა წევს მთებში თეოზე.  
თოფის ზათქებმა წამოშალეს ჯიხვები ალბათ,  
მსხვილი ტყვიებით არვეს მკერდი უწყალოდ  
ფატრეს,

სისხლით შეღებეს ნამიანი ფერდობის კალთა,  
ბევრი უწყალოდ ჩაანარცხეს მდინარის  
ფლატეს,

შუნი გაექცა უწყინარი მოძმეთა ჟღერას,  
შიშმორეული უცნობ ბილიკს ჩამოყვა თავქვე,  
ალბათ, ვერ გრძნობდა, რომ მიღბოდა ეული,  
კენტად

და არ ესმოდა, როგორ მწარედ ყიოდა მართვე.  
დამფრთხალი შუნი ტყესთან შედგა, ცოტა  
დამშვიდდა,

იქვე მოუნდა დასვენება და მოდუნება,  
კლდეებში ნაშობს ბარად მოსვლას განა რა  
რჯიდა,

თუ არა ბოროტს ნაზიარი კაცის ბუნება.

### მთვარის ათინათი

ისე შემოვიდა,  
არც კი დამეკითხა,  
სანოლზე დამხედა,  
ჩუმად ჩაიცინა,  
ასეთ სიყვარულზე  
არსად წამეკითხა,  
მთვარის ათინათმა  
ჩემთან დაიძინა  
ვერსად გავიკითხე მისი ხასიათი,  
იქნებ, გულჩვილი და  
გრძნობების დამყოლია,  
დილით მოვიკითხე  
სადღაა ათინათი,  
ადრე ამდგარა და  
ლამეს გაჰყოლია.

### წყაროსთან

ნეტავ, ერთხელ კიდევ მასვა  
შენი ცივი წყალი,  
ერთხელ კიდევ დამანახა  
შენში მთვარის ნავლი,  
ვარსკვლავები ჩახატულნი  
ჯადოსნური ყალმით,  
მომასმინა იავნანა  
შენი ჩანგის ძალის,

ნეტავ, ერთხელ კიდევ მასვა  
შენი ცივი წყალი.  
ნეტავ, კიდევ ერთი ლამე  
გავათიო შენთან,  
ლამის წყვდიადს რომ აკრთობდეს  
ორი გულის ფეთქვა,  
სიყვარულის სადღეგრძელო  
საზანდართ გვეთქვა,  
ნეტავ, კიდევ ერთი ლამე  
გავათიო შენთან.

### ბედს მოვდექ

მთაში ხეობას ვენვიე,  
ჭალას მზის თვალი ახარებს,  
ბედს მოვდექ, ვერ მოვენვიე,  
ის კი დამცინის, ხარხარებს.  
ვერ მოვამორე ნალველი,  
გრძნობებს სათუთად ნახარებს,  
ბნელში მიქრება სანთელი,  
ბედიც წყვდიადში ხარხარებს.  
ვინრო ბილიკზე მივდივარ,  
ხრამი მომყვება ცალ მხარეს,  
ვეგრძნობ, ბენვის ხიდზე ვკიდივარ,  
ბედიც ხრამს გაღმა ხარხარებს.  
ცეცხლი მოედო მაღლა მთას,  
ხევებმაც ნისლი აჰყარეს,  
უკან ვბრუნდები, სხვა რა ვქნა,  
ბედი მე, რას გამახარებს.

\*\*\*

კაკლის ჩეროში ვწევარ,  
თვალს ვერ ვაშორებ ცას,  
დღეს მე ფიქრების ტყვე ვარ,  
შორს წამიყვანენ მწამს.  
მზე გადინვერა, იქით,  
მოეფარება მთებს,  
გადავიღალე ფიქრით,  
სიო მიწნავს თმებს.  
მწუხრი ედება ირგვლივ  
გაშლილ მინდორს და მთას,  
ჩემს გულს სიმშვიდეს მივგვრი,  
ლამემ რაც უნდა თქვას.

### პატარა ქალო

იმ დღის შეხვედრა ჩემთვის  
იყო სულისშემძვრელი,  
როგორ ვერ მივხვდი შენს სათუთ გულს  
რა აწუხებდა,  
მაგ ლამაზ სახის გაღიმება

მე ვერ შევძელი,  
 და დარდიანი დამესიზმრე  
 ძილში ნუხელაც.  
 როგორ გიხდება საოცარი  
 თბილი ღიმილი,  
 მაისის წვიმა შენი თვალის  
 ცრემლი მეგონა,  
 ვინ გაგიმეტა, ვინ გაგივსო  
 გული ტკივილით,  
 სიცოცხლით მუდამ გაბრწყინებულ  
 ლამაზ მეგობარს?  
 მას შემდეგ ღამეს შფოთიანი  
 ძილით ვათენებ.  
 სული ბორგავს და კაეშანი  
 მოხრჩობას ღამობს,  
 შენზე ფიქრები ქარიშხლებმა  
 მთებზე ადენეს,  
 არ დამეჩაგრო დარდისაგან  
 პატარა ქალო.

**სინანული**

შუა ხანს გავცდი დიდი ხანია,  
 თეთრი თმითა და დაღლილი სახით,  
 თებერვლის გრძელი, მრუმე ღამეა,  
 ნისლებში ყვინთავს პატარა სახლი.  
 გარეთ, ხეებში ნიაფი დარბის,  
 ვერაფერს აკლებს გაყინულ რტოებს,  
 ოთახში ჩუმად შემოდის დარდი,  
 დრო შუალამის მონაკვეთს ტოვებს.  
 ჩამქრალ ბუხართან ცოდვილობს ფიქრი,  
 კუნაპეტ ღამეს უაზროდ მაცდენს,  
 ნისლიან გზაზე მერანი მიჰქრის  
 და ნაფლოქვრებში მიტოვებს განცდებს,  
 გუშინ რომ მქონდა, მერე წავიდა  
 და მოგონებად შემომრჩა მხოლოდ,  
 როგორ არ მინდა, ისევ თავიდან  
 შემომიბრუნდეს ტკივილი ბოლოს.  
 ჩანგი წარსულის აკორდებს უკრავს,  
 თვალწინ მიდგანან ჩემი ტოლები,  
 ვერ გავბრუნდები შარაზე უკან,  
 ბავშვობას ველარ დავეტოლები.

**ჰენ და ქურა**

დილა მზის ფერებით სამოსელს იღებავს,  
 როგორ ვნებიანი ღიმილი უჩანს მზეს,  
 გულის კარებები ბოლომდე იღება,  
 როცა შენ მოდიხარ ამ ფართო ქუჩაზე.  
 თან მოგდევს ღიმილი, კდემა და ღირსება,  
 თვალები მზის შუქის ფერებად გინთია,

შენით დეკემბერიც სითბოთი ივსება,  
 ცის ფერზე დანერილი რამდენი მითია.  
 წელამდე ჩამოშლილი მაგ თმების შარიშური,  
 ზღაპრული ფერიების ნარნარი მგონია,  
 თვალები გაცილებენ ვნებით და ზოგნი შურით,  
 ოცნებებს საზღვარი სულ არა ჰქონიათ.  
 ვიცი, სურვილები ნისლებად ჩარჩება,  
 წრფელი სიყვარული უკვალოდ ჩაივლის,  
 შენი ათინათი ჩემს გულში დარჩება,  
 როგორც გაღიმება ღამაზი ყვავილის.

**მზაპრი**

დამდევენებიან, პირალმა  
 ბილიკს ჩამავალს ფიქრები,  
 ნისლი მომდგარა ხევგალმა,  
 მალე მეც ნისლში ვიქნები.  
 ცა ემზადება სანვიმრად,  
 ღრუბლები ერთად შეჰყარა,  
 ირაო შეკრა არწივმა,  
 წვიმას მოელის ქვეყანა.  
 ვგრძნობ, მზე მთას იქით ჩავიდა,  
 ცა დამიმალავს მთვარესაც,  
 დღე სულ ნისლებში წავიდა,  
 ბნელს მომაჩქრებს ღამესა.  
 დაბლიდან ისმის ღრიალი  
 არაგვის შავი წყალისა,  
 ხეებს ანუხებთ წრიალი  
 მთიდან მონაბერ ქარისა.  
 ფრთხილად ჩავყვები ბილიკსა,  
 ამ გზად არა ვარ პირველი,  
 არ ვუსმენ მწუხრის ქილიკსა,  
 ვნება ჰკლავს გასაკვირველი.  
 განვიმდეს, თუკი განვიმდა,  
 ბევრის ვარ თქემის მხილველი,  
 ფრთებს გამოვიბამ არწივთას,  
 წინ სიყვარული მიმელის.

**იქ, დეკით გაჰენტილ ბაქოზთან**

ზიზო ბურდულს

მწვანეში ჩაფლულა ხეობა,  
 მთებს ღრუბლის ქულები ახურავთ,  
 ყორნების ამტყდარა ღრეობა,  
 მზე ადგას კომპეების სახურავთ.  
 ჭიმლაში შუადღე ჩამდგარა,  
 მზის სითბო ჭერხოშიც მივიდა,  
 ჭალაში ნისლია ჭალარა,  
 არწივი ბუინობს დილიდან.  
 ნიაფი მოცხართან ერთობა,  
 იღიმის ყვითელი იელი,

იქ, დეკით გაპენტილ ბექობთან  
გოგო დგას ლურჯთვალა იებით.  
ბუნება მზესავით ილიმის,  
წყარო რამ ხმაურობს ანკარა,  
მზე ტატნობს მიკეცავს ლილინით,  
ტაფობში ზურმუხტი დამდნარა.  
ჯერ არ ჩანს ფიქრების მთოველი,  
ჭალას კვლავ ნისლია ნადები,  
გული აქ გულისსწორს მოელის  
თავისი ხიბლით თუ დარდებით.  
დღეს კი ჯერ სავალი ეყოფა,  
მზე დნება სიმშვიდის ძიებით,  
იქ, დეკით გაპენტილ ბექობთან  
გოგო დგას ლურჯთვალა იებით.

### გული

ღრუბელი ცაზე შემოჯდა,  
ჩამოიშალა ცრემლადა,  
გულჯავრიანი მეჩვენა  
ისე ბორგავდა, ლელავდა,  
მეხს მეხზე სცემდა, გრგვინავდა,  
თვალის მომჭრელად ელავდა.  
მერე დამშვიდდა, დაწყნარდა,  
ცაზეც მზის თვალისც გაიღო,  
ღრუბელთან მთების გადაღმა  
ქარმა მსუბუქად წაიღო.  
მე რა ვქნა ცრემლი არა ვარ  
არც გრგვინვა, ჭექა-ქუხილი,  
რომ ჩამოვიხსნა მხრებიდან  
ამდენი დარდი, წუხილი.  
რა ვუყო გულის სატკივარს,

ვერ ვნახე მისი წამალი,  
ზოგჯერ სულაც არ მახარებს  
მზე ცაზე ამომავალი.  
გულო, ნუ გატყდი, ნუ ტირი,  
ჯავრი სიკვდილის ფესვია,  
იმას ნუ ველით სამკელად  
რაც ჩვენ არ დაგვითესია,  
ჭირს ყოფნა, მასთან ჭიდილი,  
რა ვქნათ, ცხოვრების წესია.

### გაზაფხულია

ნამი უხვად დაჰფენია მინდორს,  
დილის ცრიატს მზე გულდაგულ ალღობს,  
გული ცაში გასაფრენად მინდობს  
ვერხვის ტოტზე მოლალური ლაღობს.  
ალუბლის ხე იფოთლება, ყვავის,  
ტირიფის ქვეშ ნაკადული მღერის,  
კაბა როგორ დაუსველდა ყვავილს,  
სათიბებში ახმიანდა მწყერი.  
მზე მკერდს შიგნით შემოვიდა თითქოს,  
ჭალა შფოთავს და საკინძეს იხსნის,  
გაზაფხულის სასიამო სითბო  
და რძისფერად ჩანოლილი ნისლი.  
ხეობებმა ამოივსეს მკერდი,  
მზის სურნელი ადგას ჭერხოს კარებს,  
ნისლმა უკვე მოინაცვლა გვერდი,  
მთის წვერებზე მიაქვთ ნიაგ-ქარებს.  
ნამი უხვად დაჰფენია მინდორს,  
დილის ცრიატს მზე გულდაგულ ალღობს  
გული ცაში გასაფრენად მინდობს,  
გაზაფხული ბუბუნებს და ლაღობს.

### ანა ერისთავი

#### ალაპი

– ქვაზე რომ დაასახლო, სიბ ქვაზე, იქ შეძლებს  
ცხოვრებას, ისეთი ქალია ე, ჩვენი გრასტიუკა.

– აბა, აბა, ბოშო, რავარი მოვლილი ძროხები  
დეოუდის ჩემო ვანიჩკა, რო იტყვიან მაგათი ნაბანი  
არ დეიქცევა და ზურგზე სამართებელი გეილესე-  
ბაო, მაგან უნდა თქვას დედაკაცი ვარო.

– ახლა კაცო ყანას და ვენახს არ იკითხავ  
როგორი აქვს? ეგ რო ყანას თოხნის, რაც გინდა  
ზარმაცი იყო, კაცი მუშაობის იშტაზე მოგიყვანს,  
ჩემო კირილე.

– შარანდელ წელს ისეთი მოსავალი მიუღია  
რო სასიმიინდე ტაროს ვედარ იტევეს თურმე, ბედ-  
ელი გაძეძგილი აქვს ნაირ-ნაირი ხილით, ჩირითა



და თაფლში ამოვლებული ჩურჩხელებით, ცეცხლივით არაყიც გამოუხდია, – რო შეავლო თვალი მაგის ზვარს, კილოიანი მტევნები კიდა, იმისთანა ღვინოს აყენებს, უშანგია გადარეული იყო, ამას წინათ ამბობდა, ისე მომეკიდა, გრასტიუკას ღვინო, ძაღლს მამიდას ვეძახოდიო.

–ქალი მაგას ჰქვია, რო არ წაახდინა მარკოზუნას ოჯახი... ასეთ საუბარს ხშირად გაიგონებდით სოფელ საკეციის სანახმოზე, გერებით სავსე, ქვრივ გრასტიაზე.

ერთ დღეს, სოფელში ხმა დაირხა, გრასტიუკა თავის ნაფერავებ ათლიტრიან ძროხას კლავსო. ყველას ძალიან გაუკვირდა, რაფრა გეიმეტა, მაგისტანა მარჩენალიო, მაგრამ ყველაზე უფრო იმან გააკვირვა ხალხი, როცა გაიგეს: თავის გასვენებაში გვეპატიჟებაო.

ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „კი მარა, ე, ქალი არ მომკვდარა და რავა იხდის წინასწარ ალაჰსაო, ხო არ გადარია გამჩენმაო“.

არადა ხალხიც მართალი იყო, რომ უკვირდათ და გრასტია ცოცხალიც იყო და ყოჩალიც, გულში ამბობდა: – მინდა ჩემი თვალით ვნახო ყველაფერი და ჩემი ყურით გავიგონო რას იტყვიან ჩემზეო.

მეზობლები დარაზმა და ყველას მისცა დავალება: აბა თქვენ იცით, სოფელ-ქვეყანაში არ მომჭრათ თავი, დამაფასეთო.

– აბა ქალებო, კაი თონეულები დააცხვეთ, ისეთი სუფრა უნდა გავშალოთ ჩიტის რძე არ აკლდესო, რა ვიცი ჩემი გერები, ჩემი სიკვდილის შემდეგ რას იზავენო.

ყველაფერი მოაწესრიგა, მარა თამადის არჩევა გახდა ძნელი (ისეთი კაცი მინდა თამადათ, ჩემი განვლილი ტანჯვა-წამება კარქათ იცოდესო).

სამძიმარზე მისულებს „გარდაცვლილის“ სურათი გადიდებული დახვდათ, გრასტიას ახალგაზრდობაში გადაღებული, ებრაელი ფოტოგრაფი ბინოს გადაღებული შავ-თეთრი ფოტო, შავ ჩარჩოში ჩასმული, ზალაში დასვენებული: თვალებმაყვალა, ნაწნავებიანი ქალის სახეს ვინც კი შეხედავდა, ყველა სინანულით აქნევდა თავს... ენანებოდათ „გარდაცვლილი“. დაძახებულმა სტუმრებმა აღარ იცოდნენ: ეტირათ თუ ეცინათ, ისე, ყოველშემთხვევისათვის მაინც, ორიოდ კურცხალს იწმენდდნენ, ღრმად ჩაფიქრებულები...

ახლა ამაზე გედეირია გრასტია: იმხიარულეთ ხალხო, დრო გაატარეთ, როდისღაცა ხო მაინც მოვკვდებიო.

თამადათ არქიფუნა შეარჩია, – სოფლის ფოსტალიონი. არქიფუნა გამოცდილი თამადა იყო, მარა სუფრის დასაწყისი ძალიან გაუჭირდა, ენა დაება, ვინაიდან ასეთი შემთხვევისათვის გამოცდილება არ ჰქონდა. ძნელი იყო მისთვის, რანაირად ეთქვა შესანდობარი ცოცხალი ადამიანისა და ასეთი გამოსავალი იპოვა: „ცოცხლად გაუმარჯოს გრასტიუკას, რავარი ქალი იყო, გამრჯე, გულკეთილი

და მკვირცხლი, მტერ-მოყვარეში გამოსაჩენიო, კაი იყო დიდხანს რო ეცოცხლა, – ისევ აერია, – კორფილემ მხარი გაკრა და ბოლოს ასე შეასწორა: სადაც არის იქ გაუმარჯოსო, ორივე სოფელში ნეტარი იყოსო, შე ქალო, ქე რა გეჩქარება იქ წასვლაო – თან დაამატა.

გრასტიუკა ისეთი პირმცინარე იყო, თითქოს დაბადების დღეს იხდიდა. ნიავ-ქარივით დაქროდა და სუფრის ნევრებს მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა.

კაი პურ-მარილმა, ნატურალურმა ღვინომ გაჭრა და ოდნავ გაამხიარულა ხალხი.

ამ სუფრას, კაი სიმღერა დაამშვენებსო – გამოაცხადა „განსვენებულმა“. პირველად იუარეს, რა გვემღერება ბეჩა, რავარი ქალი დაგკარგეთო, მარა ძალიან შეუტია მეზობლებს: „რავა, მართლა კი არ მოვმკვდარვარ, ქე სადა მცალია სიკვდილისთვისაო, ჩემო საყვარელო ხალხო, დღევანდელ დღეს, ყველა სურვილი უნდა ამისრულოთ, თუ გინდათ, რომ იმ ქვეყნად ვცხონდეო“.

ღავრენტუნამ და ლუტუნკამ შემოუკიდეს სიმღერა: „რერო... სულ არ მოვალ ამ ქვეყანას, რერო, შენ რომ არ მეგულეობდე, რერო...“

ჩემო კარგო ჩემო მშვენიერო, რერო...

...სადღეგრძელოს სადღეგრძელო ცვლიდა, მართლა ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას. მასპინძელი სტუმრებს თავს ევლებოდა და ეალერსებოდა...

„ალაპის“ შემდეგ გრასტია ჯვრასავით დატრიალდა: მიხედ-მოხედა სახლ-კარს, მსხვილფეხსა და წვრილფეხს, გაგუზგუზებული ბუხრის პირას კი ნახევრად მთვლემარემ, გააგრძელა ფიქრი წუთისოფელზე, ვინაიდან წარსულზე ფიქრს მიჩვეული იყო, ან ვინ დაუშლიდა ფიქრს მიყუჩებულ სოფელში.

ამ ამბის შემდეგ, ორმოცი დღის მანძილზე სოფელში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, რალაცნაირად სოფელი ჩაფიქრებული და სევდიანი იყო.

ორმოცი დღის შემდეგ, ისევ მოიპატიჟა გრასტიამ სტუმრები. ისევ ახმაურდა სოფელი, ისევ დაიკლა საკლავი, ისევ დაეხმარენ მეზობლები, ისევ გაინანილეს საქმე ქალებმა, ხალხიც უფრო თამად და მხიარულად იყო, ორმოცზე დაირაც გაფიცხდა და გარმონიც გაინელა.

ყარამანა და მალრაფინა ოღრო-ჩოღროს ცეკვაში, ტოლს არავის უდებდნენ. საზეიმოდ გამონყობილმა გრასტიუკამაც კი გაშალა ხელები და ჩამოიციკვა.

...აი, ასე გაუთამამდა ეს კოპნია დედაბერი დაუნდობელ სიკვდილსა და წარმავალობას.

...შებინდებისას სოფლის შუკაში, კარგა ხანს ისმოდა სიმღერის ხმა: „წუთისოფლის სტუმრები ვართ რერო... ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება, რერო...“

...თავი რომ დაიმარტოხელა დედაბერმა, ცრემ-

ლები გადმოყარა, – რა ყოფილა ე ტიალი ნუთი-სოფელი? რა მოკლე და მტანჯველი... სიზმარი და სხვა არაფერი...

ისე, რავა მახვენია ამბაკუნამ, მზარეულობას ვერ გავწევო, არადა ყველას ქელეხში მაგია კაი ფლავისა და ხაშლამის მკეთებელი (ბეჩა ალბათ ძაან დავენანე). ეჰ, რავა გაქრა სიზმარივით და თვალსა და ხელს შუა დრო... შრომისა და ტანჯვის მეტი არაფერი მინახავს, მარა ეს დღე კი დიდხანს მემახსოვრება. ისე კი მგონია თავი არ შევირცხვინე, ყველაფერი კარგად ჩაატარა თამადამ, რავა ვყვარებივარ თურმე ხალხს, ისე ქე მისურვეს ამის მერე ას წელიწადს შეესწარიო, ასი ქვე რათ მინდა, ერთი ათი წელი რო მაცოცხლა მადლობელი ვიქნები ღმერთის, ახლა მივხვდი რა კაი ყოფილა, ე, მზიანი ქვეყნის ყურება. ისე წავალ იმ ქვეყნად, მომდურავი არავინ დამრჩება, ყველას ვაპატიებ თუ რამე შეუცდებათ ჩემ წინაშე. ი, უბრადა მყოფი თებროლიაც რო დემელაპარაკა, შემირიგდა და გადამკოცნა კიდეც, ცრემლიც ქე ქონდა თვალზე მგონი (ჩემი ქელეხის დამამშვენებელმა ძროხამ რო შეუჭამა ორჯერ ყანა, დემემდურებოდა აბა რა იქნებოდა).

– არა ისე კაცი გულდრძო და უბედური არ უნდა იყოს, ყველა დევნებით ამ დედამინის ზურგზე, ყველა უნდა ვეცადოთ, სანამ პირში სული გვიდგას, ერთმანეთს მივუტევოთ და გავაძლებინოთ.

ფიქრებში ჩაძირულს გვიან ჩაეძინა, ირიჟრა-ჟა თუ არა, მაგრამ მამლის ყივილზე, ისევე ფეხზე წამოხტა, საქმე უხმობდა... საქმე გამორჩეული, სევდიანიცა და ხალისიანი.

წინასწარ გადახდილი ალაპი!

წინასწარ დანთებული სანთელი, გზის გასაგრძელებლად, სიკვდილთან შეხუმრებული ქალისა.

არც გაემტყუნება, უნდოდა თავისი თვალთ ენახა ყველაფერი, რაც მოხდებოდა მისი ამ ქვეყნად არ ყოფნისას.

აცხონოს ღმერთმა, ხუთი წლის მერე მიიბარა მისი სული გამჩენმა, ხალხს კი გასაოცარი მოგონება დაუტოვა.

რა არ ხდება ამ ქვეყანაზე...

... მარადიულობის ჟამთაღმრიცხველი კი თვლიდა გულისცემას ნუთისოფლისას და სოფელში ცხოვრება გრძელდებოდა...

### ჭალარა ბავშვი

*„რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხვთ კერძო შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი“.*

*იოვანე თავი 10.1*

„მაშინ, რა იხილა ჰეროდემ, რომ მოტყუებულ იქნა მოგვების მიერ, ძალზე განრისხდა, წარგზავნა ხალხი და ამოანყვეტინა ყოველი ყრმა ბეთლემისა

და მთელს მის შემოგარენში, ორ-ორი წლისა და უმრწმესნი, თანახმად ასაკისა, რომელიც გამოიკითხა მოგვებისაგან. მაშინ აღსრულდა თქმული იერემია წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: ხმა გაისმა რამაში გოდებისა, ტირილისა და დიდი გლოვისა: რაქელი დასტირის თავის შვილებს და არა სურს ნუგეში, ვინაიდან აღარ არიან.“

– ბეთლემში ყრმათა ჟლეტაა, ჰეროდემ მხედრებს უბრძანა ყრმების შემუსვრა... რახელი ტირის და გოდებს, მხედრები თელავენ ცხენების ფლოქვებით ჩვილებს, ყრმათა ჟლეტაა... მამა სახარებას კითხულობს და მიკვირს რასაც ვისმენ, – რატომ ბრძანა ბოროტმა მეფემ, ყრმების გაჟლეტა? როგორ შეიძლება ბავშვები არ გიყვარდეს? ყველა ბავშვი ხომ ძალიან კარგია და საყვარელი, სულით წმინდა, უცოდველი, კითხვები მანუხებს, დედა გულში მიკრავს და მპასუხობს: – შვილო არიან ასეთი ადამიანები, რომლებიც სივერაგით ჰეროდეს ბაძავენ, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მათ ვერ შეძლონ, თავიანთი ბოროტი ზრახვების ასრულება, ხელი ვერ შეახონ ჩვენს მომავალ თაობას. გადავეფარებით მკერდით ჩვენს შვილებს და დავიცავთ. ეს უძველეს დროს იყო შვილო, ეს არასოდეს არ განმეორდება, ახლა არავინ არ დაუშვებს, რომ ეს მოხდეს, ახლა სხვა დროა... უფრო თბილია სამყარო.

მე ომის შვილი ვარ... ომმა დამაბერა, აი კვალი ომისა, ჩემი ჭალარა თმა, ...მე, მოხუცი ბავშვი ვარ.

– როდის დასრულდება ეს საშინელება?... ვკითხულობ, მაგრამ პასუხი არ ჩანს. წამებში ჩაიარა ჩემმა ბავშვობამ, ჩაიქროლა და აღარასოდეს დაბრუნდება, ...ომის დანყებიდან ორი კვირაა გასული, მეორე კვირაა რაც გავჭალარავდი, ამას სხვები მეუბნებიან, თორემ სარკე სადღა გვაქვს, ყველაფერი მტვრად და ნაცრად აქცია ურდომ. შესამუსრად და გასაჩანაგებლად, შემოჭრილმა მტერმა.

მასსოვს, შავსახიანი და დემონივით შეუბრალებელი, როგორ მიყურებდა უსულო საგანივით და ფიქრობდა ესროლა თუ არა ჩემთვის, რომ მალე გავეჩუმებინე, აღარ შენუხებულებიყო ჩემი ტირილით. სათამაშოებიც კი გაქვავდნენ, შიშითა და ელდით. ჩემს დათუნისას სისხლის შხეფებით დაენინკლა ფუმფულა ბენვი, ...ზღაპრებში გამიგია მხოლოდ ავი ძალების შესახებ, რომლებიც ღამით დადიან, რომ ბოროტი საქმეები აკეთონ, თვალეები მრისხანე და ცეცხლის მფრქვეველი აქვთ. ჭეჭა-ქუხილის მეშინოდა ყოველთვის, დედას ვეხუტებოდი, ახლა რაღა ვქნა, დედა ჯალათებმა წაიყვანეს, ...სცემდნენ, აწამებდნენ, ის კი ითმენდა, რათა მე არ შემშინებოდა და არ მეტირა.

რაც მათ ფეხი შემოდგეს ჩვენს სახლში, ყველაფერი თავდაყირა დადგა, დაიმსხვრა და შეიღება მენამული ფერით, დღისით, მზისით შემოცვივდნენ

და დაინყეს ტანჯვა, ვილაცას ეძებდნენ, აგინებდნენ, აბუჩად გვიგდებდნენ, მართალია ჭექა-ქუხილისა მეშინოდა, მაგრამ ეს უარესი იყო, თვალისმომჭრელი და ცეცხლოვანი, დამაზიანებელი, ცეცხლი ცვიოდა ციდან, არადა რა მშვენიერი და ზღაპრული იყო ყველაფერი მათ მოსვლამდე, განათებული ფერადი სახლები, ციმციმა ნაძვები, ტკბილეულით სავსე სუფრა, ოცნებების ასრულების მომლოდინე ბავშვები, თვალი არ მოგვიხუჭავს, თოვლის ბაბუამ საჩუქარებიც მოგვიტანა, ალბათ მაშინ, როცა ნამიერად ჩაგვთვლიდა, ...ღვთის მადლს ვინ მოიხელთებს, რომ თვალნათლივ ნახოს, იდუმალი და შეუცნობი.

ჩემს პატარა ლეკვსაც კი უხაროდა, ჩემს „გონჯას“, – ასე იმიტომ დავარქვით, რომ საოცრად შავი იყო, ნეტავ ახლა სად არის, ალბათ მასაც ჩვენსავით შია და ცივა, გავიდა ეზოში და აღარ დაბრუნებულა ...საერთოდ ვინც გავიდა გარეთ, აღარავინ დაბრუნებულა...

...მე ხელში ხატი მეჭირა, დედა მასწავლის, რომ ყოველთვის დამიცავს მისი მადლი. ვგრძნობდი რომ ხატის დანახვა უფრო აცოფებდათ.

ყვავილები დაჭკნენ, ჩიტები გადაიკარგნენ, წყალი აღარ გვექონდა, თოვა დაინყო, ყველაფერი გაფითრდა და თოვლით დაიფარა, – თოვლი გავადნოთო, მამამ თქვა, წყალზე წასული მოხუციც ჩაცხრილესო, – დასძინა... მამა მაინც წავიდა, ლოდინი დიდხანს გაგრძელდა, კარს მივჩერებოდით, მაგრამ ის არ ჩანდა. წყალი უკვე აღარც გვწყუროდა.

ხანდახან საშინელი, ავისმომასწავლებელი, სიჩუმე ჩამონვებოდა და გულს გვიღონებდა, განცდა გვექონდა, რომ მოკვდა ყოველივე ჩვენს გარშემო და სუნთქვა შეწყვიტა.

ჯარისკაცები არაადამიანურად ღრიალებდნენ, ვერ ვხვდებოდით რას ითხოვდნენ ჩვენგან. პური ვერ ნახეს, წყალი, სასმელი, დუჟებსა ყრიდნენ, ბრაზობდნენ და გვაგინებდნენ. ნახეს მხოლოდ დასათესად გამზადებული მზესუმზირა.

– მზესუმზირა ჩაიყარე ჯიბეში, შენ მაინც აქ მოკვდები და ყვავილი მაინც ამოვიდეს შენს სამარეზეო, – დედამ უთხრა ჯარისკაცს. ...გაცეცხლდა მოძალადე, ცოფებსა ყრიდა და თანაც არ ეშვებოდა ნანგრევებად ქცეულ სახლში, ნანგრევების ქექვას, ეძებდა: პურსა და სასმელს. ბრაზობდა, არაფერი რომ არ იყო საკბილოდ დარჩენილი, სახლში, დენტის სუნი იდგა.

– მე დავბრუნდები, შეიძლება დავბრუნდე წვიმად, თოვლის ფანტელეზად, დილის ცვარ-ნამად, დავბრუნდები და მოგეფერები ჩემო გოგონა, უფალს ებარებოდე, მტერს ებრძოლე. ჩემი ლოცვა შეგწევა, მჯერა, დადგება სიმვიდისა და ბედნიერების ჟამი. ...დემონის სახიანები სისასტიკეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, იარაღს აჟღარუნებდნენ და თმების თრევით გაჰყავდათ დედა, – ფაქიზი

და სათნო ადამიანი. მაშინვე გავიფიქრე, რომ მას ველარ ვნახავდი და გამშრალი თვალებიდან ცრემლი ჩამომიგორდა, ერთადერთი ცრემლი. ბავშვობა დასრულდა, აწი ჩემი თავისთვის უნდა მეშველა, მე უკვე ვიყავი დიდი, დედა ველარ წამიკითხავდა ზღაპრებს და ძილის წინ ველარ მიმღერებდა იავნანას, რომელიც ყოველთვის გულს მიჩუყებდა და მზესავით მათბობდა. წარმოვიდგინე, რამდენი ბავშვი იყო ქვეყანაზე ჩემსავით დაობლებული და სასტიკი ბედისწერის მსხვერპლი, ღიმილგამქრალი და მიუსაფარი, შიშის თვალებით მზირალი.

ყველაფერი ერთმა დღემ შეცვალა, მზეც ისე აღარ ეალერსებოდა ქალაქს, ბაღს სადაც ჩემი თანატოლები თამაშობდნენ და კისკისებდნენ ბედნიერები და ლალები, ბალი გაუჟაკრიელდა, ქუჩები გაფითრდა, ბავშვები უმეტესად დუმილში იყვნენ, ხმაამოუღებლად ისხდნენ, ერთმა ჭურვმა დააქცია ჩვენი ბედნიერება, შეაზანზარა ბედნიერი სახლები, დაანგრია, ნანგრევებიდან ცეცხლი და კვამლი ავარდა, ...დასრულდა უზრუნველი ბავშვობა, დაინყო ჩვეულებრივი, ტანჯვა -წამებითა და სევდით სავსე ცხოვრება, რომელიც უნდა გამეგრძელებინა და მცოდნოდა, ის თუ როგორ უნდა შემძლებოდა სიკეთის კეთება, დახმარება, სიყვარულის განაწილება, მტერ-მოყვარის გამოცნობა, გამაგრება, საკუთარი შესაძლებლობების შეცნობა.

ბიძაჩემ ალექსანდრეს უყვარდა ბავშვებისადმი განსაკუთრებული სადღეგრძელოს თქმა ლექსით, რომელიც კარგად დამამახსოვრდა:

„ღვთაებრივს უნდა გვაზიაროს ბავშვის თვალებმა  
სამყარო: მადლით, სიყვარულით განიმსჭვალება,  
არ მოაკლდებათ მამალმერთის გულმხურვალება,  
მხოლოდ მათშია უკვდავების იდუმალება“.

...მე ბავშვი ვარ, თმაჭალარა ბავშვი, რომელსაც ომმა დაანახა, რომ სამყარო უამრავი ბავშვის ღიმილზე დგას და არავის არა აქვს უფლება, ეს სიხარული და უმზაკვრო ღიმილი წაართვას ბავშვებს, რადგან მათშია „უკვდავების იდუმალება“.

...მე ჩემი გზით ვივლი, გადარჩენილი, სამყაროს ყვავილი, მზისკენაა ჩემი გზა, იმიტომ რომ მე ვარ ბავშვი... გამარჯვებული ბავშვი, რადგან სინათლის მოლოდინი, არ მომკვდარა ჩემს სულში „რაკი მზის ქვეშა ვარ იმედია, გავძლიერდები, გავძლიერდები გასაჭირში და ჩემს ქვეყანას, ჩემს ბაღს, ყვავილებს, ჩიტებს დავიცავ და გადავარჩენ. მზის გზას არასოდეს დავკარგავ. ცხოვრებას გავუღიმებ, ჭალარა ბავშვის ღიმილით...“

## ოთარ ფალიანი

\* \* \*

ქუჩებში სტვენენ, სტვენენ და სტვენენ  
და რუსთაველზე დგამენ პიკეტებს,  
ჩვენ ვისაც დღემდე ვსდიეთ და ვენდეთ  
კარები ერთხმად გამოგვიკეტეს!  
გადაგვიკეტეს წყალიც და ღონიც,  
გამოგვილაყეს, კირიც და ფუძიც  
და კვლავ ტყლაპოში მივდენით ღორებს  
და ღმერთმა უწყის სადამდე ვუძლებთ,  
სადამდე ვუძლებთ და მაინც თმენა,  
გვასწავლეს ჯორის, აქლემის, ვირის  
და შიგადაშიგ ვიქავებთ ენას..  
კი არ ვიქავებთ, ვდგავართ და ვყვირით!  
და თუმცა ყვირილს ავუღეთ ალლო,  
გავშალეთ მუხლი, აბრები მალლა!  
და მაგის მერე იმ  
ყინულს ვაღლობთ,  
რომელიც ვერას დიდებით გალღვა!  
მოვიმკეთ ბევრჯერ აპრილის სევდა,  
ხალხი ხელახლა გვახმეს თუ გვიხმეს,  
ზოგი ქალაქში გათბილისელდა,  
ზოგიც სოფლისკენ გაუყვა იხვებს...  
ქუჩებში სტვენენ, სტვენენ და სტვენენ,  
მოედნებს სისხლით, წითლად ტუშავენ,  
თუ ჩემი ძმა ხარ მოდი და ენდე!  
და ვირის მუშად წაიმუშავე!  
ქუჩებში სტვენენ, სტვენენ და სტვენენ...

## სახელეთიდან...

შავად მიბოლავს გუმანი,  
თვალის მინავლულ ქრილთან,  
აღარც სახლი და სტუმარი  
აღარც „ვარამი გმირთა“...  
გაბეცებულხარ დამბალო, –  
დილა-წყეულო ნამყოფ,  
ისევ „ყაშა და ლამბალო“,  
ისევ „ხიზნების ჯაყოფ“,  
ვინ მინას გაყრის საბარავს,  
გზანი უფლისა მოსრეს,  
განსაბანელი განბანავს,  
ყველა სახლსა და ბოსელს.  
შენ საღვთისმშობლე გარგუნეს  
მინა, კვართი, თუ ბზანი,  
სანამ ხარ მკერდში ბაგუნებ,  
შეუცნობელი გზანით...



ვიდრე ჰმონებენ, სანამ ფულს,  
თვალს სანამ აგიკრავენ,  
სანამდე, სულში ჩაგაფურ...  
ჯერ ხორციელად გკლავენ!  
ოლონდ არ ვიცი რა დანით,  
რა ჟანგიანი რკინით?  
„სხვა საქართველო სად არის“  
ყვირით, ყვირით და ყვირით...

**პუშკინის სკვერთან მღვარ  
პუშკინის ავთო ჩხაიძის ხსოვნას!**

ცარიელია პუშკინის სკვერი,  
დგას მარტოობა ბუკინისტალი,  
სად არის კაცი ქალარა წვერით,  
შენ ხომ არა ხარ, მგონი გიცანი!  
ბოდიშით სხვაში შემეშალეთ,  
ჰგავდით ზურგიდან,  
თქვენც წიგნებს ყიდით?  
დარდს ანათხოვრებთ?  
ის კაცი ყველას წიგნებს ჩუქნიდა,  
ჩუქება არა, ერთი მათხოვეთ...  
სად არის კაცი მოხრილი მხრებში,  
აქ რომ სახლობდა, წიგნებყდებიან,  
დარდებთან როგორც, მტრედები სხვენში,  
სახლობენ, მაგრამ მალე კვდებიან.  
ცარიელია პუშკინის სკვერი,  
დგას ობელისკი ყვავი ჩხავის ზედ,  
ხომ არ გინახავთ მოხრილი მხრებში,  
ჩია პოეტი ავთო ჩხაიძე...  
ხომ არ გინახავთ, სევდა მიგვრილი,  
კაცი რომელიც წიგნებს დაჩემდნენ  
და ტრამვაივით მიდის ხრიგინით,



სისხლი გულში რომ უნდა გაჩერდეს,  
სად არის კაცი მოხრილი მხრებში,  
უკვირს მაგ სკვერის საფლავლამპიონს,  
მგონია იქ დგას პუშკინის სკვერში  
და ორი ხელით ახრჩობს ყალიონს...

**მეგობრის მონაყოლი...**

*„როგორ უცნაურად ბიბინებდნენ მიხაკები  
სასაფლაოზე,  
მეგონა ხელს გვიქნევდნენ ჩვენი დედები,  
დედას ვფიცავარ...“*

ყველას უკვდება დედები,  
თანდათანობით, უცებ,  
გვიმთავრდებიან ცხედრები,  
გვეცლება ცაც და ფუძეც...  
და ეს სიჩუმე ნაგრილი,  
რა სიზმრად სხეულს იხაკს,  
დედისთვალეზე აპრილი,  
მოიღვივს ვარდს და მიხაკს  
როცა მოიზღავს ჟამი თან,  
ჯვარზე გაცემის ჟრჟოლას,  
სულს გაატანენ შაითანს,  
სხეულს მიხდვრების გროვას.  
მინასაც როგორ უხდება  
მინას დღედაღამ უცვლელს,  
მოვა და ჩაემუხლება  
დედის საფლავის მუცელს...  
ყველას უკვდება დედები,  
თანდათანობით, უცებ,  
გვიმთავრდებიან ცხედრები,  
გვეცლება ცაც და ფუძეც...  
მკვდრეთიდან სამახარებლო,  
ამნიალსამოსახლოდ,  
მოვა ღვთის სხივად გაკრთება,  
ჩემს სასთუმალთან ღვივის,  
მოვა ღვთისმშობლის ნაკვთება,  
ჩემი სამარის ღილი...

**დედის ოთახი...**

ძველი კარადა, ხის ბებერი მოაპირკეთეს,  
მაქმანებს, კაბებს, ძველ საქსოვებს  
სძინავთ დაკეცილთ,  
რომელთაც თითქოს ახსოვდი და ისევ  
ახსოვხარ...  
და ყელსაბამებს შენს მაგივრად  
სარკე იკეთებს...  
რაცა ბოლო დროს დასჩვევია ჩვევა ასეთი...  
შენი დუმილი

ჩაიგუბეს, ძველმა კედლებმა,  
და ყველაფერზე პასუხი აქვთ...  
ის აქ არ მოვა,  
ის აქ არ მოვა,  
ახლა ქარმა ისალამოვა,  
თითქოს სიჩუმეს გაეჩხირა ყელში ეკლებად  
ისევ ღიაა შეღებული ვინრო დარაბა,  
შენ რომ დატოვე, ჩიტუნათა შესაფარებლად...  
გარეთ ძალი ყეფს, თითქოს უყეფს დღეებს  
დანაბამს,  
და ყველა ერთად უშენობას შენ გაბრალებენ.  
მტკივა მაჯები, შესჩვევია დროის მხრაველა,  
რა მარტივია, როცა მძინავს თვალის ახელა,  
ვიდრე სიჩუმეს შემოვაკლდები,  
ვიდრე ცოცხალი მქვია სახელად...  
ამ ოთახს როგორც, ვინრო კიდობანს,  
სუნი მოაკლდა შენი შანელის  
და დილით გულმა ისევ გინდომა...  
და მე და გული შევიშალენით...  
და ეს უაზრო ძილის ლოგინი,  
თანდათან სიზმრებს ძალით მატენის,  
დავმსგავსებვიარ ბებერ ათეისტს,  
საკუთარ თავში, რომ დაბოგინობს...  
სადა ხარ, ვილას ესათუთები,  
ვერ ინთებიან ეს ნათურებიც...  
შენი სახლიდან როგორც ციხედან,  
პატიმარივით ავხმაურდები...  
და შენს ოთახში, შემოვიხედავ...  
შენ კი არა ხარ... და შენს სარკესთან,  
მძივად ასხმული ძონი, აქატი,  
რაც უსიცოცხლოდ ეგდო აქამდის,  
კვლავ სიმარტოვეს შეუხორცდება...  
და მე არ შემრჩა აღარც ოცნება,  
თუ, კი როდისმე ისევ გნახავდი...  
და ქუჩებს ქარი შემოელახათ,  
თანდათან კიდევ, უფრო დაღამდა,  
გეძებდი სახლში, მაგრამ ვერ გნახე...  
გეძებდი ყველგან აღმა დაღმა და...  
მე ხალხს ვხედავდი, თვალეზდაჭყეტილს,  
თვალეზდაჭყეტილს, ვერანდებიდან...  
უმნეობიდან, უმნეობამდე,  
მე ვგრძნობ, თუ როგორ ფერადდები და  
თანდათანობით საღამოვდები,  
ისვრება ხსოვნის მაღაროები,  
ქალიშვილების პერანგებივით...  
პესიმისტურად, პესიმისტების  
და საკუთარ თავს ვერ ვაგებინებ,  
რომ შევუერთდე მალა, რომელთაც,  
ღმერთი მფარველობს ათეისტების,  
ღმერთი ყოველთა მაღაროელთა...

**აპოკრიფები...  
იუდას პირველი აპოკრიფი...**

გაგახსენდება იესოსთან ბოლო პასეჟი,  
ცოდვის ამბორი, გათვალული მოგვთა ბაგიდან  
და ოცდაათჯერ დაიტირებ თუ მოაფიქრდი –  
სინანულს, ვიდრე საბოლოოდ შეენასკვები,  
შენი წარსულის უდღეური სარკოფაგიდან,  
მოჩანს დაღლილი შენი გული – ბნელი სენაკი,  
რომელიც ხშირად ეჭიდება ხსოვნის წერაყინს  
და მაინც შველას ელოდება აღარაფრისგან....  
დედის სიზმარი, ზღვა კუნძული და კიდობანი,  
ხსოვანში დიდხანს შენახული ბოლმის ნაჭდევი,  
თუ ქრისტემერთი გაცემული ვერცხლზე –  
ვაჭრები

და კაიაფას უგემური ცოდვის ბოდვანი...  
და შენი სახის პირვანდელი იეროგლიფი,  
ღარიბ თვალეში დაჩაგრული კაცის  
სინდრომი,  
რომელიც თითქოს უცნაურად არის  
მიმნდობი...

და უნდობლობა გამჯდარი აქვს სისხლში  
„ცოფივით“.  
თოკი, რომელიც შენი ხელით უნინ განასკვეს,  
განყვეტილია და შენ მაინც უნდა განასკვო,  
ვიდრე მზის სხივი აღმოხდება თვითონ  
დამასკოს,

ვიდრე მოგვები შელებავენ წითელ  
პარასკევს...

რა შეიცვლება შენი გულის ნაზავლმერთიდან,  
ცოდვები უნინ, ვალმოხდილი ნასაყდრალეები  
და გამხელილი ქრისტეკაცის ფართო თვალეები,  
დაელოდება შენს ჩამოსვლას „ნაზარეთიდან“...  
გაგახსენდება იესოსთან ბოლო პასეჟი,  
ცოდვის ამბორი, გათვალული მოგვთა ბაგიდან  
და ოცდაათჯერ დაიტირებ თუ მოაფიქრდი –  
სინანულს, ვიდრე საბოლოოდ შეენასკვები,  
შენი წარსულის უდღეური სარკოფაგიდან...

**იუდას მეორე აპოკრიფი...**

თუ არ ჩამოხვალ, ჩამოგხსნიან ცოდვის  
თოკიდან,  
როცა უფალი, – შენი გულის გამონაბოლქვი,  
დაგინყებს ძებნას და თიხისგან ისევ  
გამოგთლის...  
და შენც იმ მძიმე ცოდვებივით იმედს  
მოკვნიტავ  
და რაც ოდესღაც გიმძიმებდა ხორხს და  
სასულეს,

ჩამოიშორებ, მოიტოვებ, უფალს მიანდობ,  
მაგრამ უფალმა ჯვარცმა უნდა გამოიღაროს,  
რომ შენი შფოთვა სამუდამოდ გაუფასურდეს  
და შენი მზერა შეერიოს პეტრეს გოდებას!  
თუ კი მამალი დაიყვილებს, დაე დაიხრჩოს!  
რადგან აღდგომა შენვე უნდა „გაიჩალიჩო“,  
ვიდრე წითელი პარასკევი მოგაბობლდება –  
მუხლისთავეებზე, ხერხემალზე, უფრო კისერთან,  
როცა თვალეები მამალმერთით ამოივსება,  
მიუხედავად ყველაფრისა შენ დაღონდები,  
შენი სულივით ბეთლემში რომ ჩამოისვენა...  
აედევნები უსხოვარი დროის პარაკლისს,  
თანდათანობით შეეზრდები ყოფის „ლეგატოს“  
და ტვინში უნინ ჩაბუდებულ ცოდვის  
„გემატომს“

მიანდობ ქრისტეს შენი გულის მწიფე  
დანაკლისს...  
გაგახსენებენ ვერცხლს, ჰეროდეს, პონტოს  
პილატეს,  
უკვე დიდი ხნის დავინყებულ ხსოვნას –  
„სენოფილს“

და ჯერ ვერ აღმდგარ უფალს გულში  
„გაიკვირტავენ“,  
შენც გაგქირდავენ და თავებსაც გაიქირდავენ,  
მიგცემენ სიკვდილს, მაგრამ სიკვდილს ველარ  
ეყოფი...

თუ არ ჩამოხვალ, ჩამოგხსნიან ცოდვის  
თოკიდან,  
როცა უფალი, – შენი გულის გამონაბოლქვი,  
დაგინყებს ძებნას და თიხისგან ისევ  
გამოგთლის...  
და შენც იმ მძიმე ცოდვებივით იმედს  
მოკვნიტავ.....

\* \* \*

იყოს მოვეშვათ, გავიხსენოთ  
უერთმანეთო,  
რამდენი ღამე შემოვისხით მხრებზე  
ბოგანო,  
რა საერთო აქვს განყვეტილ გზას  
იმ სიშორესთან  
შენ რომ მოგაგნო...  
დაღლილ ტოტებზე იფოფრება ორქიდეათა,  
მუქი ბისერი,  
მეკობრესავით ამიჯანყდა  
ქარი დამრეცი,  
მე გადაღლილი უშენობით,  
ახლა ისე ვარ,  
თითქოს მოყინულ თოვლში დავეცი...

\* \* \*

ოთახი აბები საძილე,  
 ქარია, ზამთარმა იმატა,  
 მარტო ხარ, ოთახში აცივდა,  
 იცვლება, განწყობა კლიმატთან.  
 სასმელი, ოცნება, კანადა,  
 რადიო ბლუზი, თუ ქანთრი და...  
 არავინ არა დგას კართან და  
 არავინ შემოდის კარიდან.  
 ოთახი, აბები საძილე,  
 ფიქრები – სიტყვების თარაზა...

და მაინც რაღაცა გამძიმებს,  
 სიჩუმე თავს იხრჩობს ლამაზად...  
 ყველაფერს თანდათან აფასებ,  
 ოთახი სიჩუმეს გიძიძგნის,  
 მტრედები სხდებიან რაფასთან,  
 სხვადასხვა ზომის და სიმძიმის...  
 ოთახი აბები საძილე,  
 ქარია, ზამთარმა იმატა,  
 მარტო ხარ, ოთახში აცივდა,  
 იცვლება, განწყობა კლიმატთან

ნათელა ქურციკიძე

**ჩვენთან არს ღმერთი!**

ჩვენი ქვეყანა, ღვთითკურთხეული  
 გვექონოდეს, მუდამ სალოცავ ხატად,  
 უფალო, ღმერთო! ლოცვას აღვაფლენ, –  
 ჩემს სიყვარულში სულს და გულს ვატან.

საქართველოში, სამარადჟამოდ,  
 ენთოს სანთელი – ისმოდეს ლოცვა!  
 დედა ქართლისა გვფარავდეს მუდამ!  
 ერთ მუშტად ვიყოთ, გვეჭირდება როცა!

ისმოდეს ნანა – ტკბილი ქართული,  
 გვიყვარდეს ერი! დედა – მშობელი,  
 დაე, ყოველთვის უკუნისამდე  
 სამშობლოს ლამპრად ვენთოთ ყოველი.

ისმოდეს ყველგან „მრავალჟამიერ“,  
 ტკბილი სიმღერა, ზეცას რომ ერთვის,  
 იგუგუნოს და ძლიერად ჟღერდეს  
 საქართველოსთვის! – „ჩვენთან არს ღმერთი“!

**მზედ შეველევი**

მე ჩემი ქვეყნის სილამაზეს მზედ შეველევი,  
 მზედ შეველევი, მეყვარება ბოლო სუნთქვამდე,  
 მუდამ მანუხებს მისი ანმყო და მომავალი,  
 მისი ტკივილი მწვავს და მტკივა  
 სულით-ხორცამდე!

მე ჩემი ქვეყნის მოტრფიალე, ღვიძლი შვილი ვარ!  
 უფალ ღმერთს შევთხოვ, რომ სამშობლო  
 მიმყოფოს კარგად,  
 რადგან არ ვიცი სხვა სიცოცხლე, სხვა  
 სიხარული!



მე ვენაცვალე საქართველოს! სამოთხის ქარგას...

უფალ ღმერთს შევთხოვ, დამილოცოს მისი  
 შვილები,  
 ცხოვრების გზები – აღმა სვლებით ბოლომდე  
 ევლოთ!  
 ნაღდი ქართველნი – ძმა ძმისათვის ხელის  
 გამწვდელნი!  
 ერთმანეთისთვის არაფერი არასდროს ევნოთ!

მე ჩემი ქვეყნის სილამაზეს მზედ შეველევი!  
 მზედ შეველევი! ...მეყვარება ბოლო ნუთამდე,  
 მე ჩემი ქვეყნის ნაზ ყვავილებს მოვეფერები...  
 მოვეფერები, ვფიცავ, – ბოლო ამოსუნთქვამდე...

**სიყვარულს ვეძებ...**

სიყვარულს ვეძებ – სიძულვილო, გაინი –  
 განზე!  
 მე ვერ მომხიბლავს, შენი ავი, ჩუმი ზრახვები;  
 ვეძებ სიყვარულს, ვენაცვალე ყველა  
 სულმზიანს,  
 ვისაც აქვს გული სიყვარულით განახარები.

სიყვარულს ვეძებ... სიძულვილო გაინი –  
განზე...  
მე ვერ მომხიბლავ, წუთისოფლის დროებით  
სტუმარს...  
თუ, რამ დრო დამრჩა – ქვეყნად უნდა  
დავთესო კარგი!  
ვერაგინ მნახავს სიკეთისთვის ოდესმე  
მღუმარს...

სიყვარულს ვეძებ... სიძულვილო, გაინი განზე,  
სიყვარულია მშენებელი ყველაფრის კარგის!  
მაშ, გაუმარჯოს, მინდა მუდამ, – ყველა ისეთ  
კაცს!  
ვინც სიყვარულით სავსე, ქვეყნად ღვთიურად  
დადის!

სიყვარულს ვეძებ, რადგან იგი სიცოცხლეს  
მაძლევს,  
სიყვარულია – ჩემთვის მთელი იმედიც,  
რწმენაც!  
„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“,  
ლამაზად უთქვამს გალაკტიონს, –  
დიდებულ მწერალს!

### ვუქლჳნი ჩემი მშობლების ხსოვნას

მამა მყავდა კარგი, სანატრელი,  
თბილი გულით, სიყვარულით სავსე!  
სათნოებით, სულის სიდიადით,  
ხელს გვინვდიდა სულ ცხოვრების გზაზე!

ის ჩემს თვალში ყოვლისშემძლე იყო,  
შვილებისთვის შეუძლებელს სძლევდა!  
შრომობდა და ამ შრომაში მუდამ,  
გვერდით ედგა საყვარელი დედა!

მათ ფრთების ქვეშ უზრუნველად, ლალად,  
ვიზრდებოდით ბედნიერი გულით  
და მეგონა, რომ ლამაზად ასე,  
გვექნებოდა დრო, – ვარდებად რგული...

მოგონებებს ფიქრი ველარ იტევს...  
სხვა ფიქრებიც მომიძალა ნლებმა,  
ბევრი ტკბილი მოგონება დამრჩა,  
რასაც თან აქვს ნაღველი და სევდა!



ბიორბი ვარამაშვილი

### პეტრე კურიშკოს მკვლელი – გაბრიელ ცისკარიშვილი

(პ. კურიშკოს მკვლევლობის ახალი ვერსია)

გაბრიელ (გაბო) დიმიტრის ძე ცისკარიშვილი დაიბადა 1892 წელს ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრის სოფელ ზემო ალვანში, წოვა თუშების თემში, სახალხო მასწავლებლის ოჯახში; ეროვნებით ქართველი.

გაბრიელი სწავლობდა თელავის კერძო პანსიონში, შემდეგ დაამთავრა ტფილისის მე-3 ვაჟთა გიმნაზია.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, სადაც დაასრულა ბაკალავრის სრული ოთხი კურსი. სტუდენტობის პერიოდშივე – 1914 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკების ფრაქციის“ წევრი.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ მეფის ხელისუფლება დაემხო და გაბრიელ ცისკარიშვილი საქართველოში დაბრუნდა.

სამშობლოში დაბრუნებისას დაინიშნა თელავის სამაზრო ერობის გამგეობის მდივანად და ქალაქის საბჭოს ხმოსნად; მეცხვარეთა კოოპერატიული ამხანაგობა „მწყემსის“ გამგეობის წევრად.

1919 წლის 12 მარტს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით; იყო თვითმმართველობის და საბიბლიოთეკო კომისიების მდივანი, სამანდატო კომისიის წევრი.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების დროს რიგით ჯარისკაცად იბრძოდა ფრონტზე – თბილისის იცავდა წითელი არმიის თავდასხმისგან; ომის დროს ქიზიყში მოკლა რუსი ოკუპანტი პეტრე კურიშკო<sup>1</sup>, თავად ბრძოლაში მძიმედ დაი-

1 პეტრე კურიშკო მეთვრამეტე საკავალერიო დივიზიის



გაბრიელ ცისკარიშვილი

ჭრა და რამდენიმე თვის განმავლობაში იმალებოდა თუშეთში (ათწლეულობის განმავლობაში დედოფლისწუაროში პიონერებს პეტრე კურიშკოს ძეგლთან ფიცს ადებინებდნენ, ხოლო გაბრიელ ცისკარიშვილი დავინწყებული ჰყავდათ, თუ ვინმე იხსენებდა, ყველა

მოლაღატეს ეძახდა). გამოჯანმრთელების შემდეგ დაბრუნდა თბილისში და ჩაერთო წინააღმდეგობის მოძრაობაში. შემდეგ მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის – „წარმოკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობაზე. რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული მცირე ხნით. უკანასკნელად საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ („ჩეკა“) გაბრიელ ცისკარიშვილი დააპატიმრა 1923 წლის 30 მაისს თბილისში, კონტრრევოლუციონერობის ბრალდებით. ძიების მტკიცებით მას კავშირი ჰქონდა წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერთან, სტუდენტობისდროინდელ მეგობართან, გოგიტა ფალავასთან<sup>2</sup>, ხოლო მისი ბინა კონსპირაციული შეხვედრების ადგილს წარმოადგენდა. მიუხედავად დაპირისპირებისა მოწმესთან, რომელმაც დაადასტურა ძიების ვერსია, გაბო ცისკარიშვილმა კატეგორიულად უარყო ბრალდებები.

1923 წლის 26 ივლისს საქართველოს სსრ ჩე-

მეთაური, რომელიც 1921 წელს დედოფლისწუაროში შემოუძღვა წითელი არმიის ნაწილებს.

2 გიორგი (გოგიტა) ფალავა (დ.1895, ქუთაისი – გ.1924) – ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. გოგიტა ფალავა დაიბადა ქუთაისში, 1895 წელს. დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზია.

სწავლის პერიოდიდან ჩაბმული იყო სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში. 1913 წლიდან (ფორმალურად) იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკების ფრაქციის“ წევრი. 1913 წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის იურდიულ ფაკულტეტზე. პოლიტიკური საბაბით დააპატიმრეს 1914 წელს ქუთაისში, ასევე, რამდენჯერმე – მომდევნო წლებში, ადმინისტრაციული წესით. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ სწავლა განაგრძო; 1917 წლისათვის მუშაობდა მოსკოვის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში და ჩაბმული იყო ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საქმიანობაში. 1919 წლის 12 მარტს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად; იყო საკონსტიტუციო კომისიის წევრი. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირებისას მონაწილეობდა წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში; ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1922 წლიდან იყო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე. 1924 წელს დახვრიტეს სუბდალის პოლიტიბოლატორიდან ეტაპით გადაყვანისას, გაურკვეველ სადგურზე; დასაფლავების ადგილი უცნობია.



გოგიტა ფალავა

კას პრეზიდენტმა გაბრიელ ცისკარიშვილს დაუდგინა სსრკ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს განკარგულებაში გადაგზავნა მისი რსფსრ-ს რომელიმე საკონცენტრაციო ბანაკში სამი წლის ვადით მოსათავსებლად. აქედან მოყოლებული, ეტაპის მოლოდინში მოათავსეს მეტეხის №2 „გამასწორებელ სახლში“.

1923 წლის 29 დეკემბერს თბილისში, გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს ყოფილი პოლიტპატიმარი, არალეგალური პროფკავშირების მდივანი ილარიონ გიორგაძე<sup>3</sup>, რომელმაც პატიმრობისას განაცხადა, რომ თანაუგრძნობდა „ყოფილი მენშევიკების“ მოძრაობას. საბჭოთა ხელისუფლებამ მეორე დღესვე მკვლელობა დამოუკიდებლობის კომიტეტსა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტს მიანერა.

1924 წლის 17 იანვარს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ მძევლებად გამოაცხადა 38 პოლიტპატიმარი, მათ შორის – გაბრიელ ცისკარიშვილიც და დაიმუქრა, რომ „ყოველი მუშის და გლეხის“ მკვლელობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დახვრეტდა მათ.

1924 წლის 28 აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყების დანკების შემდეგ, გაბო ცისკარიშვილი სხვა პოლიტპატიმრებთან და მოქალაქეებთან ერთად დახვრიტეს თბილისში, სავარაუდოდ 30 აგვისტოს ღამეს.

ჩემი როგორც საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მონაწილეს მკვლევარის აზრით ილარიონ გიორგაძე მოკლეს ბოლშევიკებმა, რათა შემდეგ გაბრიელ ცისკარიშვილი და სხვა პატიმრები დაეხვრიტათ.



პეტრე კურიშკო

3 ილარიონ გიორგაძე მენშევიკების დროს თბილისის მუშათა წრეში და რკინიგზელებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. გასაბჭოების შემდეგ არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას აწარმოებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ, შემდეგ მათ რიგებში გადავიდა, შემდეგ კი 1923 წელს მოკლეს.



ნათო ყაბაშვილი

### იუბილე

დედამ ტორტი გამომიცხო.  
მოვიწვიეთ ნიკა, ლილე,  
ელენე და ალექსანდრე,  
დღეს ჩემია იუბილე.  
ტორტი იყო ძალზე დიდი,  
ლამაზი და გემრიელი.  
მე რომ მიყვარს დავახატე  
ბეტმენი და სუპერმენი.  
ვიცელებთ და ვითამაშეთ,  
ეზო სულმთლად აიბურდა.  
სტუმრები რომ გავაცილეთ,  
ჩემი ცუგა გაიბუტა.  
კმარა უკვე, ამ ეზოში  
არ იქნება ჩემი ფეხი.  
მეც მინდოდა იუბილე,  
გამომიცხვე ტორტი „ძეხვი“.  
დავპატიჟებ რექსის, პაკოს,  
ვიხტუნებთ და ვიყეფებთ.  
სანთელსაც კი ჩავაქრობ  
და ძეხვის ტორტს მივირთმევთ.  
დავუყვავე და შევპირდი  
„იუბილეს“ შემდეგ კვირას.  
ახლა ხტუნვით გადაქანცულს  
სავარძელში ტკბილად ძინავს.

### მერცხალი

რას ჭიკჭიკებს მერცხალი?  
გაიგონოს იკომო.  
ძალიან მომენატრეთ,  
ჩამოფრინდი მიტომო.  
თბილ ქვეყნებში მიფრინავ,  
როცა აქეთ ცივაო.  
იქ სამშობლოს გარეშე,  
გული ძლიერ მტკივაო.  
როგორც ცოტა დათბება

მოვიჩქარი აქეთო.  
გამომხედეთ, დაზრდილხართ,  
აბა, დამენახეთო.  
ისევ ისე დახვდა ბუდე,  
უხარია მერცხალს.  
ბაბუც ისევ ჯორკოზე ზის,  
ბებოც სარეცხს რეცხავს.  
დედ-მამასთან ერთად  
ბიჭი ბარტყებს ხატავს.  
როცა დაიჩეკებით,  
ყველას ერთად გნახავთ.  
არ შეშინდეთ, ამბობს იკო,  
არ გაექცეთ ზამთარს;  
როცა ისევ აცივდება,  
ჩემს ოთახში დაგსვამთ.

### ცუგები

ჩემზე ადრე დგებიან  
ბომბორა და ბარსიკა.  
ვიდრე ვისაუზმებდე,  
მომელიან კარს უკან.  
განა იქაც ისვენებენ?  
გაჩერება არ უნდათ.  
იციან, რომ ჯიბით ისევ  
სასუნთქებს გაფუტან.  
მერე ბებო ტუქსავს პაპას,  
შეშფოთდება ძალიან.  
არ გრცხვენია? ორცხობილა  
ბევრი შეგიჭამია.  
ხომ იცი, რომ ტკბილი ავნებს  
შენს შაქარს და წნევასო...  
პაპას ჩუმად ელიმება.  
კართან უსმენს ღრენასო.  
ფფიქრობ, პაპა დაიტუქსა  
„ბოსტნეულისჭამია.“  
ორცხობილას გაქრობა კი  
სულ ცუგების ბრალია.

\*\*\*

პაპა ამბობს დავბერდი,  
ვერ ვერევი წნევას.  
ბებოს წელი გაუკავდა,  
დედა ნუხს და ღელავს.  
ფისომ კუდი იტკინა და  
ცუგამ დრუნჩი დაინვა,  
ჩვენი ჭრელი ბოჩოლა  
დახტოდა და წაიქცა.  
მამამ ხელი გაიფხაჭნა,  
რომ ჩამოჭრა ჩინარი,  
გადავწყვიტე გამოვიდე  
ექიმ-ვეტერინარი.  
თორემ ველარ ვუყურებ  
ამ ცელქების ქცევას.  
„ისევ შენ თუ მიშველი“,  
დედა აღარ ღელავს.



გიორგი გოგოლაშვილი  
თამაზ ხმალაძე

**მე დროსა ვტირი...**

ათასწლეულთა მიჯნაზე ჩვენ, მწერალმა **თამაზ ხმალაძემ** და ენათმეცნიერმა **გიორგი გოგოლაშვილმა**, რადიო-დიალოგების სერია წამოვიწყეთ: ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მნიშვნელოვან მოვლენას ვაცოცხლებდით. მიზანი: წარსულის გახსენება სამომავლო ინტერესებისათვის... 90-იან წლებში დიალოგები გადაიცემოდა თამაზ ხმალაძის ყოველკვირეული საავტორო პროგრამით „ენაი შემკული და კურთხეული“ (რუბრიკით „ერთხელ საქართველოში“).

ერთ ასეთ მოვლენად, სამომავლო გაკვეთილის თემად რომ გამოდგებოდა, მივიჩნიეთ აკაკი წერეთლის მოგზაურობა კახეთში. აქ ბევრი რამ არის სადღეისოდ ღირსსაცოდნელი; მიგვიხვდება მკითხველი ჩვენს განაზრახს და დაგვემონშება... სათაურად გატანილ ფრაზას ერთ ქიზიყელ კაცს ათქმევინებს აკაკი...

მაშ ასე: მე-19 საუკუნის მიწურულს **აკაკი წერეთელი მოგზაურობს კახეთში...**

\*\*\*

**გიორგი გოგოლაშვილი** – თამაზ, სანამ უშუალოდ ჩვენს მთავარ თემას შევეხებოდეთ, ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო: ერთხელ აკაკი წერეთელს იმერლობა წამოაყვედრეს, იწყინა აკაკიმ და განმარტა: „იმერეთიც ისეთივე საქართველოა, როგორც ამერეთი და მიტომაც იმერლობას ნურავინ მიკიჟინებს. ღმერთმა ნუ მომიშალოს იმერლობა, რომელიც იგივე ქართველობაა: ქართველი მწერალი წერის დროს ჩემიან-შენიანობით კი არ უნდა სარგებლობდეს. უნდა ყოველი კუთხე ჰქონდეს მოვლილი, შესწავლილი და გამოკვლეული და, თუ რამე ქართული ნახოს, ამოკრიბოს და იმითი კი არ უნდა იხელმძღვანელოს, რომ ეს ქართული არ არის და სხვა კუთხეაო“... და აკაკი, ილია თუ იაკობი

სტუმრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში...

**თამაზ ხმალაძე** – სტუმრობენ, თუმცა, ეს არ არის სტუმრის სტუმრობა, სტუმრობა პირობითად შეიძლება ვუნოდოთ ილიას ჩასვლას იმერეთში, აფხაზეთსა თუ სამეგრელოში. აკაკის მოგზაურობას რაჭა-ლეჩხუმში, ქართლსა თუ კახეთში; იაკობი რომ ეწვია აჭარასა თუ აფხაზეთს...

**ბ. გ.** – კი, ჯობს, ალბათ, ასე ვთქვათ – მამულიშვილები მამულში მოგზაურობენ; ოღონდ, ერთია: ეს არ არის გართობას მონყურებული კაცის ჩასვლა ამა თუ იმ კუთხეში... ყველა ამგვარ ჩასვლას თავისი მიზანი და დანიშნულება ჰქონდა, თავად იმ კუთხისათვის ენიჭებოდა ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა და მერე – სრულიად საქართველოსათვის.

**თ. ხ.** – დღეს გვინდა გავიხსენოთ **აკაკი წერეთლის სტუმრობა კახეთში.**

**ბ. გ.** – ეს იყო **1897 წლის სექტემბერში**, მეორე ათდღიურში; აკაკის სამოგზაურო პროგრამა საკმაოდ დატვირთულია: 14 სექტემბერს იგი ალავერდშია და ესწრება ალავერდობას, 15 სექტემბერს მის პატივსაცემად თელავში ნადიმი იმართება, შემდეგ გაემგზავრა სიღნაღისაკენ და გზად მიმავალმა 18 სექტემბერს ღამე მღვდელ პოლიევქტ კარბელაშვილთან გაათია, 19-ში სიღნაღშია, ათვალიერებს ბოდბის მონასტერს, ჩადის ქვემო მაჩხაანში.

**თ. ხ.** – ისიც ვთქვათ, გიორგი, რომ ეს არ იყო აკაკის პირველი სტუმრობა კახეთში. **პირველად იგი 1882 წელს ეწვია კახეთს.** ამ ფაქტის გახსენება იმისთვისაც გვჭირდება, რომ ამჯერად აკაკი იმ შთაბეჭდილებას იხსენებს პირველმა ვიზიტმა რომ დატოვა. ნანახს 15 წლის წინანდელ ყოფას ადარებს და პირუთვნელად, დაუფარავად გამოთქვამს თავის გულისტკივილს... მაგრამ მეორე მოგზაურობას აკაკი საკმაოდ ვრცლად აღწერს... ჩვენც ამას ვემყარებით.

**ბ. გ.** – ამ ფაქტშიც კარგად ჩანს მიზანი და მნიშვნელობა ამგვარი მოგზაურობისა. აკაკის სიტყვა, აკაკის შენიშვნა, აკაკის დარიგება ქართველობისათვის სხვა ფასისა იყო.

**თ. ხ.** – ამ მოგზაურობის თაობაზე აკაკი თავის კრებულში („აკაკის კრებული“) ორ საგულისხმო მასალას გამოაქვეყნებს: ნოემბრის მესამე ნომერში იბეჭდება „სიტყვა თქმული თელავში სადილზე“ და მომდევნო, დეკემბრის ნომერში იბეჭდება საკმაოდ ვრცელი „კახეთში მოგზაურობა“.

**ბ. გ.** – დაინტერესებული მკითხველი თავადაც გაეცნობა ამ წერილებს, ჩვენ კი იქნებ შევძლოთ და ძირითადი აზრი და მიზანი გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ამ მოგზაურობისა. აი, ერთი ფრაგმენტი თელავში ნადიმზე წარმოთქმული სიტყვიდან: „იყო დრო, და მას აქეთ დიდ ხანსაც არ გაუვლია, რომ ჩვენი ხალხი, საერთოდ, ძილისაგან იყო წაღებული და გამოღვიძება ეჭირვებოდა. მესამოცე წლების ახალგაზრდობამ გამოაღვიძა ის ძალა მართლა და

ჩიჩინით, კიჩინითა და ჯანჯღალით. ეს ჩიჩინი იყო მაშინდელი მათი მჭერმეტყველება, სიტყვა-კაზმულობა და კეცა-კეცა, მრავალსართულიანი პატრიოტული სიტყვები. დღეს ესეები მაგდენად გამოსადეგი აღარ არის, რადგანაც, ცოტათ თუ ბევრათ, გამოღვიძებულ ერს სიტყვასთან საქმეც ეჭირვება და ეს რთული მოვალეობა კისრად აწევს დღევანდელ ახალ თაობას. მტერი მძინარეზე უფრო თამამად მიდის, ვიდრე მღვიძარზე, ფხიზელს თვითონაც უფროთხილდება, უფრო რთულ იარაღსა ხმარობს და თანვე ხერხს ეძალება, ამიტომაც დღევანდელი მტრის მოგერიება უფრო ძნელია ადრინდელზე და, რასაკვირველია, დღევანდელ ახალ თაობასაც უფრო მეტი სიფრთხილე და მეცადინეობა მართებს“.

**თ. ბ.** – გიორგი, ბარემ ისიც ვთქვათ, ამ სიტყვაში როგორ უკეთებს გულს აკაკი ქართველობას: „აქ სიტყვამ „ძილი“ მოიტანა და უდროო არ იქნება, რომ ამ „ძილზე“... ქართველების ძილზე ცოტა რამე ვთქვათ! ქართველებს რომ თითქმის ერთი საუკუნე, გვძინავს, ამის დაფიცვა აღარ მოხერხდება და ან კი რა საჭიროა?! მსოფლიო კანონი თანასწორად მოქმედებს ყველაზე! მისი კანონი დიდზე და პატარაზე ერთნაირად გარდაუვალია: რაც კი არსებობს და მოძრაობს ქვეყნად, იმან ხანდახან კიდევ უნდა შეისვენოს ხოლმე... ქართველების ძილიც კანონიერია და შემცდარი არიან ისინი, რომელთაც ეს ბუნებრივი მოვლენა სიკვდილის ნიშანი ჰგონიათ“.

**გ. გ.** – „ბაში-აჩუკიდან“ ის ადგილი მახსენდება, გველემშაპისაგან თავზარდაცემულ ხალხს ერთ-ერთი მეომარი რომ შესძახებს, სად ქართველი და სად გულგატეხილობაო... „ბაში-აჩუკი“ ვახსენეთ და მოდით, ახლა ერთი ადგილი ჩავიკითხოთ აკაკის მიერ კახეთში პირველი სტუმრობისას წარმოთქმული სიტყვიდან (1882 წ.):

„ჩვენს სამშობლოში მისთანა ადგილზედ ფეხს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენის წინაპრების ძვლებით არ იყოს დაპოხიერებული და მათის სისხლით დამბალი, – ისე ლუკმა პურს ვერ ჩავიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგვყვეს და წვეთ ღვინოს ვერ ჩავყლაპავთ ისე, რომ შიგ ჩვენი თავგანწირული გმირების სისხლიც არ ერიოს! ეს ლუკმა და წვეთი არიან ჩვენი „წმინდა-წმინდათა“, ზიარება ჩვენთვის, რომელიც სინმიდითა და სასოებით უნდა მივიღოთ ხოლმე და გვაგონებდეს წინაპართა ღვანლსა, და ჩვენც იმავე გზით მივემართებოდეთ, რა გზითაც მათ უვლიათ, მხოლოდ დროების შესაფრად კი...“

ახლა „ბაში-აჩუკიდან“ ბიძინა ჩოლოყაშვილის პასუხი მოვისმინოთ ჯანდიერის წინადადებაზე:

„ტკბილია თქვენი შარბათები, მაგრამ ვერ გავცვლი იმ ჩემს ღვინოზე, რომელიც ჩემი მამა-პაპის სისხლით არის წითლად შეფერილი!... გემრიელია თქვენი მურასა-ლავაშები, მაგრამ მე

მაინც ჩემი ქვეყნის პური მირჩვენია, ის პური, რომელშიაც ჩვენი ძვლების ნაწილები ურევია... დიას, ნაწილები!... ჩვენი საყანეები მათის ძვლებითა და ხორციით არიან დაპოხიერებული! მართალი არის ჩვენი გლეხკაცობა, როდესაც ღვინის დაღვევის დროს პირფვარს იწერს და, პურის გატეხის წინეთ, ჯერ პურს ემთხვევა!... ის წმიდა-წმიდათა, ზიარება ჩვენთვის... და ჩემს სამშობლოს რომ გავშორდე, სადღა მივიღო!...“

„ბაში-აჩუკი“ 1897 წელს გამოქვეყნდა; აკაკის კახეთში მეორე მოგზა-ურობამდე ცოტა ხნით ადრე...

**თ. ბ.** – და ის არის საგულისხმო, რომ მხატვრულ შემოქმედებაში, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ სიტუაციებში ერთი ჰქონდათ საფიქრალი და სადარდებელი. კვლავ თელავის ნადიმზე წარმოთქმულ სიტყვას რომ დავუბრუნდეთ, იქ მრავალი რამ ითქვა ღირსსაცნობი და ყურადსაღები.

**გ. გ.** – ეს იყო ქადაგება დიდი კაცისა – შეხსენება იმისა, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რა უნდა ვაკეთოთ; კვლავ აკაკის მოვუსმინოთ, ერთი ადგილიც ჩავიკითხოთ ამ სიტყვიდან: „ისტორიული სიმართლე მალაპარაკებს და არა პატრიოტული გატაცება, რომ ჩვენ, ქართველები, ვეკუთვნით რჩეულ ხალხს და ჩვენი წარსული გასაოცარია: უძველეს დროიდან დაწყებული მისთანა ხალხი არავინ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ ეძალებოდნენ... საქართველო იდგა, როგორც სალი კლდე ზღვის პირად, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ზედ ეხლებიან, მაგრამ დაუძღურებულნი და ქაფად ქცეულნი უკანვე იქცევიან... ჩვენმა მამა-პაპებმა გადინერეს პირფვარი, შესძახეს ერთმანეთს: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა“ და სარწმუნოებასთან ერთად შეხორცებული ეროვნულობა გაამტკიცეს, წმინდა ჯვარი ქრისტესი შეუბღალავად მოიტანეს XIX საუკუნის კარებამდე და სასოებით გადასცეს ერთმორწმუნე ერს... დღეს იღვიძებს ჩვენი ერი, რომ კვლავინდებურად იმოქმედოს, გაუმკლავდეს გასაჭირს და ებრძოლოს მტერს“.

**თ. ბ.** – გავიხსენოთ, 1897 წელია. სადაც არის გასრულდება XIX საუკუნე, XX საუკუნის კარიბჭესთან კვლავ დაისაჭიროებს აკაკი, შეახსენოს ქართველობას, რა გზით გვივლია, როგორ დაგვიცავს ჩვენი ეროვნულობა და ეს შეძახილია სამომავლო ბრძოლებისათვის მხნეობის შესამატებლად.

**გ. გ.** – პირდაპირ, შეუფარავად ამბობს აკაკი, თუ ვინაა მტერი და რომ დღევანდელი მტერი უფრო ვერაგია; ამის გააზრება და ისტორიის გახსენება რას გვაგვალდებულებს. მოვუსმინოთ: „მართალია, ძველათ რომ მტრები გვყავდნენ, ისინი დღეს აღარ არიან, მაგრამ მაგიერათ უფრო ძლიერი და უფრო საშიში მტერი კარზე გვიდგია...“

**თ. ბ.** – და ამ მტრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებს ქარ-თველობას: „საჭიროა ბრძოლა და,



თუკი ჩვენი ძველები, ცალი ხელით რომ ფარ-ხმალი ეჭირათ, მაინც კიდევ ახერხებდნენ მეორე ხელით სამეურნეო იარაღის აღებას, ჩვენ წინ რა გვიდგას“?! გიორგი, აქ იმას მივაპყროთ ყურადღება, რომ აკაკი ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერებას მიიჩნევს ერთ-ერთ მთავარ პირობად სამშობლოს გადარჩენისა და წინსვლისათვის.

**გ. გ.** – უაღრესად კომპეტენტურად საუბრობს აკაკი ამ თემაზე. ეს არ არის იმპროვიზებული საუბარი; დიდი ხნის ნაფიქრია და იგი დამაჯერებლად უსაბუთებს თავის თელაველ მსმენელს, რომ საჭიროა, ღვთისთბოძებული სიკეთე რიგიანად მოიხმარონ, გამოიყენონ. ისტორიასაც ამისათვის მოიშველიებს და მათი ყოველგვარი პესიმიზმისაგან განთავისუფლებას ცდილობს; იმაზეც მსჯელობს და იმასაც ჩააგონებს მსმენელსა თუ მკითხველს, რომ ქვეყანას, თემსოფელს უნარიანი, რიგიანი, ჭკვიანი თავკაცი სჭირდება. უამისოდ ქვეყნის საქმე წინ ვერ წავა.

**თ. ბ.** – ეს ადგილიც ჩავიკითხოთ, გიორგი, და დაფიქრდეთ, რას გვასწავლის აკაკი. საოცარია, როგორ სადღეისოდ ჟღერს საუკუნის წინანდელი შეგონება დიდი მოღვაწისა. ვის უნდა დავდვათ ბრალი ჩვენს ასეთ ყოფაში, კითხვას სვამს აკაკი და უპასუხებს: „ვის და თავადებს, – შემდეგ განაგრძობს, – მე აქ თავად-აზნაურობაზე კი არ მოგახსენებთ, იმ მეთაურებზე მოგახსენებთ, რომელნიც საქმეს თავში უნდა ედგენ. დღეს დრო იცვალა, საქმეც სულ სხვაგვარია და მეთაურებიც, ე. ი. თავადები სულ სხვანაირი გვჭირდება. ქვეყანა მზათ არის აღიაროს და მიენდოს მათ. ხალხისთვის სულ ერთია, რომელი წრიდანაც უნდა გამოვიდნენ ის თავადები, ოღონდ კი მეთაურობა შეიძლოს“.

**გ. გ.** – ჩვენს დღევანდელ საზოგადოებაშიც რომ დაიმკვიდრებდეს ადგილს ეს აზრი, არ იქნებოდა ურიგო. პარტიული ნიშნითა თუ სხვა რაღაც საპირადო, სუბიექტური მოსაზრებით არჩეულმა თუ დანიშნულმა „თავადებმა“, როგორც აკაკი იტყოდა, ქვეყანას რა სიკეთე მოუტანეს, ვნახეთ უკვე...

**თ. ბ.** – XIX საუკუნიდან გვაფრთხილებს აკაკი XXI საუკუნის ზღურბლზე მდგარ ქართველობას, რომ „გლახობით და მღვდლის შვილობით არავინ დაიწუნებს მათ (მეთაურებს), მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ვერსად ვხედავთ; დღევანდელი ჩვენი ინტელიგენცია სუსტია საზოგადოდ!... ქვეყნის წინ ნაძლოლა, მეთაურობა არ შეუძლია“.

**გ. გ.** – ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა აკაკი ინტელიგენციის როლზე ამახვილებს ყურადღებას, ინტელიგენციის საზოგადო, ეროვნულ ფუნქციაზე მიანიშნებს. ამბობს კიდევ, თუ რა ძირითადი უბედურება სჭირს ინტელიგენციას, რა თქმა უნდა, იმდროინდელს; თუმცა, ამ სენისგან არც დღევანდელი ინტელიგენციის ნაწილია თავისუფალი, მოვუსმინოთ: „აბა, მიბრძანეთ, რა მეთაურია და რა თავადი ხალხისა ის ინტელიგენ-

ტი, რომელსაც იმდენათ უყვარს სამშობლო, რამდენადაც ის მხოლოდ სასარგებლოა მისი პირადი კეთილდღეობისათვის და თუ ველარას გამოჩნა, წიხლსა ჰკრავს და ჩალაბზეზე გაცვლის! აბა, ის ინტელიგენცია, რომელსაც გონება ჯიბეში უდევს და გრძნობა კუჭში? ქვეყანას წინ ვერ წარუძღვება“.

**თ. ბ.** – ისიც მეფიქრება, გიორგი, დღევანდელ ინტელიგენტთაგან, დღევანდელი ხელისუფლებისგან არავინ შემოგვიწყრეს, ეს ჩემზეაო თქმული... ისე კი, სიტყვაში, რომელსაც წელან ქადაგება ვუნოდეთ, სხვაც ბევრი რამ არის საგულისხმო.

**გ. გ.** – თუნდაც ის, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს აკაკი ქართველ ქალს, როგორ აფასებს მის როლს ერის წინსვლისა და გაჯანსაღების საქმეში. თავმდაბლობის ეს ფაქტიც სამაგალითოა: იგი ზედმეტად მიიჩნევს პატივისცემას, რასაც მის მიმართ, აკაკის მიმართ იჩენენ და ამბობს: „ჩვენ, ქართველებმა, საზოგადოდ, გადაჭარბება ვიცით ხოლმე. აი, თუ გინდა, ჩემი პატივისცემა გადაჭარბებულია... მე ამდენის ღირსად არ მიმაჩნია ჩემი თავი და მხოლოდ თქვენსავე მაღლიერ გულუხვობას მივანერ“...

**თ. ბ.** – აქ არსებითი ის არის, რომ ამ საუბარს აკაკი ილიას ქებას მოაყოლებს და ამით საოცარ მაგალითს იძლევა იმისას, თუ თავის თანამედროვე მოღვაწეს როგორ აყენებს წინ.

**გ. გ.** – ეს თემა ცალკე მსჯელობის საგანია, თამაზ, აქ კი ის ვთქვათ, რომ კახელებს არ შეშლიათ, იცოდნენ ვის ხედებოდნენ, ვის მიაგებდნენ პატივს; მიზანი თელავში აკაკის სტუმრობისა ამ სიტყვიდანაც კარგად ჩანს: ერში ეროვნული სულის გამოფხიზლება, ცხოვრებისეული პრობლემების წარმოჩენა, შეფასება ავისა თუ კარგისა, რაც სამომავლო პერსპექტივებისათვის აუცილებელია.

**თ. ბ.** – თელავის შეხვედრა და ეს სიტყვა არ ამონურავს აკაკის კახეთში მოგზაურობის მიზანსა და მნიშვნელობას.

**გ. გ.** – კიდევ ერთხელ გავისხენოთ: აკაკი მოინახულებს ალავერდს, ეწვევა სიღნაღს, ბოდბეს... და ყოველივე ამის თაობაზე, როგორც ვთქვით, საკმაოდ ვრცელ მასალას გამოაქვეყნებს თავის კრებულში... და იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ეს სტუმრობა იმისთვისაც სჭირდება, რომ ნახოს, შეადაროს, რა შეიცვალა რით; მიდის წინ ქვეყანა თუ არა, უჩანს პირი უკეთესობას თუ არა. ასე რომ, არ იყო ეს სტუმრობა გართობა-დროსტარება. ეს კარგად ჩანს სწორედ იმ პუბლიკაციებში, „კახეთში მოგზაურობა“ რომ ჰქვია. აკაკი ჩვეული ლიმიტით თუ ირონიით იწყებს თხრობას: „კახეთისკენ მიმავალ დილიჯანში იარაღიანი კაცები ისხდნენ. ამან გამაკვირვა! ხოჯახნობა გადავარდა, შამილობა აღარ არის და ესენი რომ ასე საომრად გამონყობილან, რას ნიშნავს მეთქი; „გზაში ყაჩაღების შიშიაო“ – მიპასუხეს თანამგზავრებმა. დაგელოცოს ღმერთო, სამართალი! დიდებული

რუსეთის მფარველობის დროს?! ეს ამდენი ჯარი, ამდენი პოლიცია, სამაგალითო კანონი და სამართალი“...

**თ. ბ.** – ამკარაა ირონია არსებული ნყობილები-სადმი და ამ განწყობით მიდის აკაკი კახეთის მოსანახულებლად... და მთელი გზა, თელავისაკენ მიმავალმა, ამ ფიქრში გაატარა: რა დღეშია ქართველობა; მაგალითებიც საკმაო იყო. თუნდაც, გომბორის შესახებ მსჯელობა. აქ ჩამოსახლებულების დასახლება მიიქცევს აკაკის ყურადღებას, „პროსელენია“ რომ ჰქვია და ამას მსჯელობას მოაყოლებს, რატომ ცხოვრობენ ჩამოსახლებულები უკეთ და ადგილობრივი მოსახლეობა – ცუდად. ქართველებს ზარმაცებს გვეძახიან და მაგალითად სწორედ ეს ჩამოსახლებულები მოჰყავთო...“ იმ დალოცვილებს ავინყდებათ, რომ ქართველ მკვიდრს ორი ან სამი დღიურის მეტი არა აბადია და ისიც კიდევ სხვისი საზიარო და ჩამოსახლებულებს კი ასი და ორასი დღიური უჭირავთ ხელში“... ეს კრიტიკაა იმ ეროვნული პოლიტიკისა, რუსეთი რომ ატარებდა და რის შესახებაც მსჯელობა მაშინ არცთუ იოლი იყო, არცთუ უხიფათო.

**გ. გ.** – „გულნატკენმა გავიარე გომბორი“, – დასძენს ბოლოს აკაკი და განაგრძობს გზას თელავისაკენ. ეს გულისტკივილი, ფიქრი და დარდი უათკეცდება, რა შეიცვალა ამ თხუთმეტი წლის მანძილზე, რაც აკაკი აქ არ ყოფილა? ბევრი რამ და, საუბედუროდ, უარესობისაკენ. ალავერდისა და ალავერდობის ნახვა პოეტს ვერ დააყენებს სადღესასწაულო გუნებაზე. **იკარგება ძველი ტრადიციები, იცვლება და დავინყებას ეძლევა** საუკუნეებგამოვლილი **ადათ-წესები**, თავზე გვენგრევა დიდებული ტაძარი და ჩვენ ვღრეობთ და დიდი სასმისებით ვსვამთ ალავერდისა თუ ქვეყნის სადღეგრძელოს... ეს დასკვნა უნდა გავაკეთოთ, როცა წერილის ამ მონაკვეთს ვკითხულობთ.

**თ. ბ.** – გიორგი, მე მაინც ჩავიკითხავ ამ ადგილს და ჩვენი მსმენელის ყურადღებას იმას მივაპყრობ, რა ადარდება პოეტს საუკუნის წინათ და როგორ ეხმაურება თავისი დარდით დღევანდელობას, ალავერდზე საუბრობს: „ძველი ხელოვნება მოშლილია, აღარ სჩანან და საყდარი შიგნით და გარეთ თეთრად არის შეფეთილი. ზედ მისასვლელ კარებთან, სადაც ადრე „საქალბო“ უნდა ყოფილიყო, საყასბოა გამართული. იქ მიაქვთ ზვარაკის მხარ-ბეჭი და ცხვრის ტყავები და იქვე ვაჭრობაა გაჩაღებული. ადრე, – განაგრძობს აკაკი – ის ადგილი, სადაც საკლავი მიჰქონდათ, მოშორებით იყო ეკლესიაზე და დღეს კი ყველაფერი გადასხვაფერებულია, სახურავი გაფუჭებია ტაძარს, აღმოსავლეთის მხრით წვიმა ჩამოდის და შიგ ტაძარში ტბა დგება. გალავანს გარეთაც იმას ველარ ნახავთ, რაც ყოფილა...“

**გ. გ.** – და როცა ამის თაობაზე საუბრობს, ბოლოს იტყვის: „იმ ღამეს დიდი ლხინი იყო ყველგან გამართული, მაგრამ მოლხენას კი არა, უფრო

გლოვას ჰგავდა, აქა-იქ უსიამოდ ჭიჭყინებდა ზურნა, თითქოს ნაძალადევი“.

**თ. ბ.** – რა თქმა უნდა, ეს ლხინი ვილაცისთვის ლხინი იყო, მაგრამ აკაკისთვის და ამგვარად მოაზროვნეთათვის იყო გლოვა დაკარგული დიდებისა.

**გ. გ.** – გლოვა დავინყებული სიკეთისა, გლოვა ნაშლილი ისტორიისა... და დარდით ჰყვება: „ღიახ, ყველაფერმა იცვალა ფერი და დაჰკარგა უწმინდესი ხასიათი! ჭიდაობა რა არის, ჭიდაობა? ისიც კი უბრალო ხორხოცად და ჯიგლიგანობათ გადაქცეულა. მეორე დღეს გამართეს ჭიდილი და მაყურებელმა ერთმანეთი ჯიგლიგით გაასივეს. სრულმა უზრდელობამ იჩინა თავი. აღარც ძველებური უმცროს უფროსობა, აღარც დიდ-პატარობა და არც სქესობა“.

**თ. ბ.** – ერის ზნეობრივ-მორალური სახე უფრო მეტად აფიქრებს პოეტს, ვიდრე სხვა რამ... თუმცა, მაპატიეთ და, ასე არ დაყოფს აკაკი. ყველაფერი ადარდებას, ყველაფერს აქცევს ყურადღებას, ყველაფერი გულთან მიაქვს და მისეულ ანალიზს აკეთებს;

**გ. გ.** – კვლავ დიდი გულისტკივილი: „ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ერი ყოველთვის ზრდილობით ყოფილა ქებული და დღეს კი ველური ხალხის უზრდელობას აღარ ჩამოუვარდება მათი უზრდელობა და სიტყვა-პასუხი, აქაოდა, თანასწორობა შემოვიდაო და აღარც მღვდელი იცინა და აღარც ერი“...

**თ. ბ.** – ერთი წუთით, გიორგი: ასეთი გულისტკივილი აკაკისი სადღეისო უბედურებაც რომ არის, დამეთანხმებით. ერთი შემთხვევა გამახსენდა: ამას წინათ, წინა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ერთ-ერთ კანდიდატს ბრალი წაუყენეს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენაო მავანს. თავი იმართლა, ირონიულად: დღეს ცენზურა აღარ არსებობს და ამიტომ უცენზურო სიტყვებიც აღარ არისო...

**გ. გ.** – ესე იგი, მორალური და ზნეობრივი კანონები აღარ არის, აღარც სჭირდებათ ასეთებს. ეს ჭირი დიდი ხნისა ყოფილა. საუკუნის წინათ სტკენდა გულს აკაკის და ამხელდა მისთვის სულზე უტკებეს ქართველებს...

**თ. ბ.** მოკლედ, ალავერდობამ ბევრი ფიქრი დაუგროვა პოეტს, ბევრი ტკივილი მიაყენა. იტყვის კიდევ თელავისაკენ მიმავალი: „ამ სანახაობამ გული მომიკლა და მეც გამოვეშურე ისევ თელავისაკენ. გზაში ფიქრებმა წამიღო: ღმერთო ჩემო, ეს რა სიღარიბე ვნახე ამ დღეობაში?! რამ დაჩაგრა და დააქინა ყოველგვარად ეს ხალხი? სად არის ის ადრინდელი კახელობა, მე რომ სიყმანვილეში მინახავს? ჩოლოქის ომში რომ კახელობა დაესწრო, მის სანახაობას არა სჯობდა რა! თავადი, აზნაური, გლეხი – ყველა ერთი მეორეზე უკეთესი; მოხდენილად, მდიდრულად მორთულ-მოკაზმულები ძვირფას იარაღითა და ბედაურებით გამონყობილები“...

**გ. გ.** – ჩოლოქის ომში მონაწილე კახელთა ქე-

ბას აღავლენს აკაკი. არ არის შემთხვევითი ეს ფაქტი. კახელებს სხვა ომშიც უომიათ, უთვალავში, მაგრამ ამ ომის გახსენება მოისურვა აკაკიმ და არ მეჩვენება ეს ფაქტი შემთხვევითად...

**თ. ბ.** – ბარემ ჩავიკითხავ ბოლომდე: „კაცი იტყოდა, რომ ამათ მტერიც ვერ გაიმეტებსო! სადღა არიან?! ჩანს, რომ წასულან, იმავე ბედაურებით გასდგომიან გზას და თავის თავგადასავალიც აქ ზღაპრათ დაუგდიათ? ბევრ გვარად ვეკითხებოდი ჩემს თავს და მწარე პასუხი გულში მიკვდებოდა“...

**გ. გ.** – და ამ მწარე ფიქრ-კითხვებით დამძიმებული პოეტი მიდის თელავში. მაგრამ ეს მოგზაურობა აქ არ დასრულებულა. არც ამ სიტყვის თაობაზე გვიმსჯელია ყოველმხრივ, თელავში ნადიმზე რომ თქვა, არც პირველი მოგზაურობის დეტალები გაგვიხსენებია, რაც აუცილებელიც არის, ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები რომ გავიგოთ და გავიაზროთ...

**თ. ბ.** – ჩვენ ისიც ვთქვით, აქ, ამ და წინა სტუმრობის დროსაც, სრულიად საგანგებოდ წარმოჩნდა ილიას სახე, აკაკის თვალთ დანახული... ასე რომ, კახეთში აკაკის მეორე სტუმრობამ ბევრ რამეზე დაგვაფიქრა, ბევრი რამ გვასწავლა. სამწუხაროდ, ყველაფერზე საუბარი ვერ მოხერხდება ამჯერად...

**გ. გ.** – ბევრი რამ არის საგულისხმო აკაკის შთაბეჭდილებებიდან; თუნდაც ის რად ღირს, აკაკიმ ერთ **ქიზიყელს** რომ ათქმევინა: „**მე დროსა ვტირი და არა მარტო ჩემს თავს**“. ამ დროის ტირილს ჩვენც უნდა მივაყურადლოთ...

**თ. ბ.** – ჩვენ აკაკის მეორე – 1897 წლის სტუმრობაზე გავამახვილეთ ძირითადად ყურადღება... რადგან, როგორც ჩანს, თავად აკაკიმ მეორე მოგზაურობა ასე დანვრილებით იმიტომ აღწერა, ეჩვენებინა, რა ხდება, როგორ ვითარდება ქვეყანა... ამისთვის სჭირდება პირველ სტუმრობის გახსენება, რადგან ეს თხუთმეტწლიანი შუალედი, რაც პირველ და მეორე სტუმრობას შორის იყო, აკაკის შედარების კარგ საფუძველს აძლევდა – რა გაკეთდა ან ვერ გაკეთდა ამ ხნის მანძილზე; რა შეიცვალა და როგორ, საით მიდის ქვეყანა; უჩანს კი სასიკეთო პირი ცვლილებებს?... – ეს იყო მთავარი საფიქრალი პოეტისა...

**გ. გ.** – და ამიტომაც შეიძლება, ვინმეს ზედმეტად მკაცრად მოსჩვენებოდა აკაკისეული შეფასება ცალკეული ფაქტებისა თუ მოვლენისა...

**თ. ბ.** – მაგრამ, ღვთის მადლით, არ მომხდარა ასე. კახეთმა იცოდა, ვის მასპინძლობდა; კახელებმა იცოდნენ, რომ მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი საუკეთესო მამულიშვილი იდგა მათ წინაშე და ქება თუ დატუქსვა, შენიშვნა თუ სურვილი, მისგან თქმული, საგულისხმო იყო...

**გ. გ.** – სწორედ ასე აფასებს ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებების გამოქვეყნებას აკაკის ცხოვრ-

ბის მართალი მემორიე ლევან ასათიანი: აკაკის სიტყვა შემდეგ „დროებამ“ ხალხის საგულისხმოდ, ფართოდ მოჰფინა მთელ საქართველოს“. ამით ისიც გაიხაზა, რომ ეს მოგზაურობა და მისი შთაბეჭდილებების გამოქვეყნება ეროვნული მნიშვნელობისა იყო...

**თ. ბ.** – როგორც ვიცით, 1897 წელს აკაკი თავისი „კრებულის“ ორ ნომერში ორ მასალას აქვეყნებს ამ მოგზაურობის შესახებ. ერთია თელავში ნადიმზე წარმოთქმული სიტყვა და მეორე – ნერილი „მოგზაურობა კახეთში“.

**გ. გ.** – თავად აკაკი მოგზაურობას რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ამ პუბლიკაციებიდანაც ჩანს. ისიც გავიხსენოთ: პირველი სტუმრობა კახეთში, ამ კუთხის გაცნობა ასევე რამდენიმე ნერილის თემად იქცა. 1882 წლის 17 აგვისტოს თელავში წარმოთქმული სიტყვა სექტემბერში გამოაქვეყნა გაზეთმა „დროებამ“. შემდეგ, 1883 წლის თებერვალში გაზეთ „შრომაში“ იბეჭდება ნერილი სათაურით „სამგზავრო ნერილებიდან“ და იმავე წლის შემოდგომაზე – ნოემბერში, იგივე სათაურით „სამგზავრო ნერილებიდან“ იბეჭდება სხვა ნერილი – გაზეთ „დროებაში“. ორივე ამ ნერილში კახური შთაბეჭდილებებია.

**თ. ბ.** – „დროებაში“ გამოქვეყნებულ ნერილს ასე იწყებს აკაკი: „ჩვენი მხარე სულ დავლილი მქონდა, მხოლოდ კახეთი კი არ მენახა. ბევრი რამ მქონდა გაგონილი მის ედემურობაზე, მაგრამ ნათქვამს ნახულმა გადააჭარბა“.

**გ. გ.** – თამაზ, ამ პუბლიკაციიდან ერთი საინტერესო პარალელი შევთავაზოთ მკითხველს: „ეს პანიაში ერთი მაზრა არის, ისე მდიდრულად შემკული ბუნებისაგან, რომ უკეთესი მოუხერხებელია, მაგრამ ამ მშვენიერებასაც თავისი წუნი აქვს: საოცარი ცივება იცის, რომლის გამოც, შემდეგი არაკი დადის ხალხში: „ერთხელ, წმინდა იაგოს ღმერთმა უბრძანა: „რაც გინდა მთხოვე და აგისრულებო!“ იმანაც იფიქრა, იფიქრა და მოახსენა: „მე ჩემთვის არასა გთხოვ, მხოლოდ ამა და ამ მაზრაში ცივება მოსპეო!“ – ეგ კი არ შეიძლებაო, უბრძანა ღმერთმა: „იმ მაზრაში თუ ცივებაც მოვსპე, მაშინ აქ აღარავინ დამიდგება და ზეციდან ყველანი იქ გადასახლდებიანო“...

**თ. ბ.** – გასაგებია; აკაკის სურს, წუნზე ისაუბროს; ამბობს კიდევ: კახეთსაც რომ თავისი წუნი არა ჰქონდეს, მაშინ რაღა ზღაპრული იქნებოდაო.

**გ. გ.** – ამგვარ წუნად აკაკის ალაზანი მიაჩნია და წერს: „ძნელად სადმე მოიპოვება უხეირო მდინარე: უიმისოთაც ტყიან-ნოტიო მარცხენა მხარეს აწვება და აჭაობებს და მარჯვენა ნაპირი კი, ეს ამოდენა ტრიალი მინდვრები, უნაყოფოთ გამხმარნი“.

**თ. ბ.** – როცა ალაზნის აუგს ამბობს პოეტი, ყურადღება მივაქციოთ, საით უმიზნებს: „ერთ დროს კი, როდესაც ქართველს თავი ხელად ჰქო-

ნია, ეს მდინარეც დამონებული ჰყოლია: ჩაუყენებია ხელოვნურად კალაპოტში და მის ნებაზე არ უხტუნებია“.

**გ. გ.** – ზემოთ გავიხსენეთ, ერთ ქიზიყელს რომ ათქმევინა აკაკიმ, მე დროსა ვტირიო... და ალაზნის აუგიც დროის ტირილია აკაკისაგან. გლოვობს ანმყოს და მისტირის წარსულს. ამონარიდი ჩავამთავროთ: „დღესაც კიდევ შენიშნავს კაცი ძველს არხს, თამარის არხს რომ ეძახიან; ოდესმე მასზე უვლია ალაზნის და დედის რძესავით შერგებია მთელ მხარეს. – დღესაც რომ ისე მომდინარეობდეს ეს გიჟი, გულჩახვეული წყალი, კახეთს მეტი არა უნდა რა...“

**თ. ბ.** – ზოგჯერ გაგიკვირდება პირდაპირ, ისე უბოდიშოდ, მოურიდებლად მიახლის პირში სიმართლეს: „ალაზნის ისევე ძველს არხზედ გადაყვანას, მართალია, არც ღმერთი იწყენს და არც კაცი ვინმე დაუშლის, მაგრამ დავნაცარქექიავდით!...“ ალაზანი ერთი მაგალითია. მსგავსი სხვაც ბევრია; გამოფხიზლება, გამოღვიძება, გაბეჯითებაა საჭირო, თორემ...

**გ. გ.** – თორემ, მოვა უცხოელი, დაეპატრონება ამ ჩვენს სიკეთეს და ოდინდელ ბატონ-პატრონს დღიურ მუშად გაგვიხდისო, – ამას შეგვაგონებდა აკაკი საუკუნის წინათ...

**თ. ბ.** – ამას შეგვაგონებს იგი დღესაც, დიახ, მეცხრამეტე საუკუნიდან მოგვძახის ოცდამეერთე საუკუნის კარიბჭესთან მიმდგარ ქართველ ერს...

**გ. გ.** – ჩვენ რომ ზედმეტად არ ჩავერიოთ და არ გავაუფერულოთ აკაკისეული შეგონება, ამონარიდი ჩავიკითხოთ: „ბევრი რამ არის გასაკეთებელი და გასამართავი კახეთში. ისინი ოდესმე თავს იჩენენ, მაგრამ ვაი, თუ უცხოელებს ჩაუვარდეს ხელში და მაშინ დღევანდელი მეპატრონეები დღიურ მუშებად გადაიქცევიან. ეს, უთუოდ, ასე იქნება, მით უფრო, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მუშად არ არის მომზადებული და არც შემდეგისათვის ვინმე ამზადებს, მაგრამ თუ ღმერთმა ქნა და მოემზადონ როგორმე, კახეთის უკეთესს კუთხეს კი ვერსად ნახავენ ჩვენს ქვეყანაში სამუშაოთ. აქ ხალხიც ისეთია, თუ არ დაეხმარება, ხელს მაინც არ შეუშლის სხვებსავით, რადგან კახელები, ზნეობითაც, უფრო მაღლა დგანან...“

**თ. ბ.** – ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, აკაკი წერეთელი თავის დროს კი არ ტირის, ჩვენს დროს ეხმიანება და იმ პრობლემებს გვიცნობიერებს, დღეს რომ დგას ჩვენ წინაშე...

**გ. გ.** – თამაზ, როცა აკაკის, ილიასა თუ იაკობის პუბლიცისტურ წერილებს ვკითხულობ, ხშირად შიშის გრძნობა შემიპყრობს: საუკუნის წინანდელი პუბლიცისტიკა ასე სადღესოდ რომ ჟღერს, ბევრი ვერაფერი გვისწავლია ისტორიისაგან... წინსვლა სადღაა.

**თ. ბ.** – ერთ ადგილსაც წავიკითხავ, თუმცა, ამით, გულს კი ვერ გაგიკეთებთ, პირიქით...

შენს ტკივილს შევეხმიანები, სხვამაც მოისმინოს, გაიხსენოს ამ დიდი პიროვნების შეგონება და ვიფიქროთ, როგორმე თავი დავიხსნათ ამ უბედურებისაგან! აბა, მოვუსმინოთ: „ეს, რასაკვირველია, ბევრს არ მოეწონება, მაგრამ მე კი ჩემდათავად, ვიტყვი, რომ ქართველი მხოლოდ მაშინ არის საყვარელი, როდესაც მისი ქართველობა არ დაჰკარგვია... აბა, რაღა ქართველია ის, რომელიც დამპყლ საქონელს დაუნყებს გასაღებას და ღვინოს წყლითა სწყმენდავს, რომ ორი გროში მოპარვით გამოვრჩეო, არა, ჯერ კიდევ იმდენზედ არ მივსულვართ, რომ წურბელობა დავიწყოთ სხვებსავით და სხვისი მოტყუებით ვისაზრდოთ...“

**გ. გ.** – საუკუნის წინათ ეს საფიქრალი გაუჩინა აკაკის კახეთში სტუმრობამ; თუმცა, მაშინდელი მდგომარეობა არც მთლად უიმედოდ ერჩენა პოეტს: ჯერ კიდევ იმდენზედ არ მივსულვართ, რომ წურბელობითა და სხვისი მოტყუებით ვისაზრდოთო..., ეს საუკუნის წინათ იყო...

**თ. ბ.** – და რას იფიქრებდა, რომ საუკუნის შემდეგ, ამ ამონარიდის ჩამკითხველს ამგვარი კომენტარი დასჭირდებოდა – ეს საუკუნის წინათ დაინერაო, არ გეგონოთ, დღევანდელობაზე იყოს თქმულიო...

**თ. ბ.** – 1897 წელს თელავში ნადიმზე წართქმულ სიტყვას აკაკი ასე იწყებს: „ბატონებო! ჩვენი ძველების სიბრძნემ რუსთაველის პირით გვიანდერძა: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“.

და ეს გადმონაცემი ავგაროზათ უნდა გვედვას გულზე დღევანდელ ქართველებს, მით უფრო, რომ კარგათ ვერა გვაქვს გამოკვლეული, სად რა უნდა ვთქვათ ხოლმე და როდის რა აზრიანი ცხოვრება კი ყოველთვის მოითხოვს, რომ არა თუ საქმე, თვით სიტყვაც კი გარემოებასთან შენანონი, დრო და ვითარების საკადრისი უნდა იყოს...“

**გ. გ.** – არ იყო შემთხვევითი ეს დასაწყისი. აკაკიმ მართალი სიტყვა უნდა უთხრას იმას, ვინც მას ენდობა და იჯერებს მისას; იმას, ვის სიკეთეზე ფიქრში გაუღვია პოეტს თავისი ცხოვრების არცთუ მოკლე და არცთუ უეკლო გზა. იგი თავის მეორე სტუმრობისას ნანახს უდარებს ადრინდელს და ვერ მალავს გულისტკივილს: „მეორე დღესაც კიდევ თელავში დავრჩი, რომ ქალაქი დამეთვალყურებია და გამოვტყდები, რომ არ მეამა. ოცი წლის წინეთ რომ მინახავს, იმაზე თუ უკლია, თუ არა, არა უმატნია რა!...“

**თ. ბ.** – განვავრძობთ ეს ამონარიდი: „მთელი კახეთი ვაჭრებისა და ჩარჩების ყმებათ არის გადაქცეული. კახელების სიმდიდრე ვენახებია და ისინიც ხომ სომხებს აქვთ გირაოთ... არა თუ მარტო მამული, თვით მემამულეთა შრომაც კი. პატრონები მუშაობენ და მოსავალი კი მევალებს მიაქვთ!...“

**გ. გ.** – სამწუხაროდ, ხშირ-ხშირად გვიხდება შეხსენება, რომ ეს საუკუნის წინათ იწერება,

საუკუნის წინანდელი დარდია მამულიშვილისა.

**თ. ბ.** – უფრო წინანდელს მივტიროდით, – მტერმა ვაზი აგვიჩეხაო და თურმე, რა დღეში იყო კახეთი საუკუნის წინათ: „ვისაც ჯერ კიდევ შერჩენიათ მამული, ისინიც ველარ ასალებენ ღვინოს: ჩარჩებს პირობა აქვთ შეკრული და როგორც უნდათ, ისე მიაქვთ, თბილისში გამართულმა ამხანაგობამ ცოტათი კი გამოიხსნა ამ გაჭირვებისაგან მემამულეები, მაგრამ ვინ იცის, ბოლო როგორი ექნება?... ვაი თუ, მერე, როდისმე, ქართულმა ჭირმა – იმ შეჩვენებულმა უთანხმოებამ – გამოუაროს და მაშინ – კი მშვიდობით კახეთის მეღვინეობის საქმევ...“

**გ. გ.** – და გამოუარა ქართულმა ჭირმა, იმ შეჩვენებულმა უთანხმოებამ... ვაითუ აგვიხდეს აკაკის შიში – „მაშინკი მშვიდობით კახეთის მეღვინეობის საქმევ...“ თუმცა, სახვალოდ გულს ის მიკეთებს, რომ საუკუნის წინანდელი შიშია აკაკის შიში, გაუძლო კახეთმა...

**თ. ბ.** – როგორც პირველი, ისე მეორე სტუმრობისას აკაკიმ ქიზიყი მოინახულა. გავყვეთ მას ქიზიყისაკენ, ჩემი მშობლიური კუთხისაკენ და მისი თვალით დავინახოთ მაშინდელი სიღნაღი...

**გ. გ.** – რთველია კახეთში. თითქოსდა, უკეთესს რას ნახავს სტუმარი... მაგრამ აკაკი სხვა სტუმარია; მოვუსმინოთ: „თელავიდან სიღნაღზე წამოვედი და გზაში ბევრი სასიამოვნო არა მინახავს რა. ყველგან რთველი იყო გამართული, მაგრამ ღვინო და სარგებელი კი სხვებისა იყო: თავზე მოვალეები ადგენ ყველგან და პატრონებს – კი ყურძნის ჭამის ნებაც არა ჰქონდათ!...“ – მწარე, გულისტკივილი ახლავს ამ სურათის აღწერას...

**თ. ბ.** – მწარეა ის სიმართლეც, სიღნაღზე რომ ამბობს, სავაჭრო კაპიტალიზმს დაუმონებია სიღნაღი. აკაკის მოვუსმინოთ: „სიღნაღისთანა თავგასული და გაბრიყვებული ქალაქი სხვა აღარსად მეგულება. იქაურ ვაჭრებს ისე შეუკრავთ ერთმანეთში პირი, სექტანტებივით, რომ სხვას აღარავის იკარებენ. დელევანდელი გარემოებაც ხელს უმართავს მათ და ორიოდ მცხოვრები ქართველები მათში დიდ გასაჭირში არიან ჩავარდნილი და არა მარტო ეკონომიურადაც. მათი მონობიდან გამოსვლა თუ ვინმემ მოინდომა, იმას არ გაახარებენ“.

**გ. გ.** – ოციოდე წლის წინათ ასე არ იყო, ამას დარდობს აკაკი და დარდობს იმიტომ, რომ წინსვლას ვერ ხედავს ქვეყნისას; პირიქით, მისი „სახატე“ სხვისი ნება-სურვილით, სხვისი მცდელობით უკან მიექანება. ქართველები კი? ან ვერ ხვდებიან, ანდა სხვა გზა არა აქვთ; ერთი მაგალითი: „ხშირად გვესმის სიტყვა „ეკონომიური ბრძოლა“, მაგრამ განა შეიძლება იქ ეკონომიური ბრძოლა, სადაც იარაღი და ხერხი სულ სხვადასხვანაირია...“

**თ. ბ.** – და აკაკის ჩასვლა იყო საჭირო კახეთში, სხვისი ჩასვლაც იყო საჭირო, რომ შეჩვეული ჭირი ჭირად აღექვათ! დიდი კაცის შეძახილი იყო

საჭირო, მაგ შარბათში სანამლაგია შერეულიაო... შეიბრაღე თავი შენი, იცოდეთ...

**გ. გ.** – ამიტომაც ნატრობდა შეგნებული ნაწილი ჩვენი ერისა პროვინციებში დიდი კაცების ჩასვლას. ერი უკვე გამოღვიძებულია და როგორც აკაკი თავის თელავურ სიტყვაში იტყვის, „იმას უნდა ვეცადოთ, რომ მღვიძარი სხვა გზაზე დავაყენოთ და საქმეზე მივუთითოთ“.

**თ. ბ.** – ისიც ვთქვათ, გიორგი, რომ მთელი ამ მოგზაურობიდან წმინდა წინოს საფლავისა და მისი სახელობის მონასტრის ნახვამ გადწონა ავი: სწორედ გულმკვდარი დაგზრუნდებოდი კახეთიდან, რომ წმ. წინოს მონასტერი არ მენახაო, წერს და იწყებს იმ მშვენიერების აღწერას, თუმცა მის მართალ და დაკვირვებულ თვალს ისიც არ გამოჰპარვია, რომ დღეს სარწმუნოებაზე თანდათან გულგრილდება ქართველობა. „ამას, რასაკვირველია, მიზეზი აქვს და ამ მიზეზს რომ გამოიკვლევდნენ და ყურადღებას მიაქცევდნენ, მაღლია“.

**გ. გ.** – და მიზეზსაც ასახელებს. უფრო სწორად, ერთი მაგალითი მოჰყავს და დასკვნა შენ გააკეთე. მკითხველო: „წრეულ კახეთში, ერთ სოფელში, ახმეტაში, აღდგომა, კვირის მაგივრად, სამშაბათს გაუთენებიათ!... მხოლოდ სამშაბათს შემოუვლიათ ლიტანია, „ქრისტეაღდგაც“ მაშინ უთქვამთ და მაშინ გაუხსნილებიათ. ეს სამწუხარო და იმავე დროს სასაცილო საქმე ვისი ბრალია? მხოლოდ გარემოებისა და სხვისი არავისი...“

**თ. ბ.** – მხოლოდ გარემოებისაო, დაასკვნის აკაკი და, ცხადია, გარემოებაში რასაც გულისხმობს. გავიხსენოთ, რა ათქმევინა ერთ ქიზიყელს, – მე დროსა ვტირიო... თუმცა, დროის ტირილი სამომავლო იმედის მოცემაა და აკი იმედიანად გვამშვიდებს: „ჩვენი ეკლესიაც ისე ძველებურად ამაღლდება, იმედია, და ხალხიც არ დაკარგავს სარწმუნოებას!“.

**გ. გ.** – ეს იმ წერილის, „მოგზაურობა კახეთში“ რომ ჰქვია, ბოლო ფრაზებია და უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ საზოგადო იმედის მიცემაა, უკეთესი ხვალეს დაპირებაა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი. თამაზ, მოდით, თელავში პირველი სტუმრობისას წარმოთქმულ სიტყვას მივუბრუნდეთ.

**თ. ბ.** – ჯერ სიტუაცია გავიხსენოთ: 1882 წლის 17 აგვისტოა. აკაკის პატივსაცემად წვეულება გაიმართა თელავში. ვიცით, რომ ეს პირველი შეხვედრაა პოეტისა კახეთთან:

**გ. გ.** – 29 აგვისტოს გაზეთი „დროება“ ასეთ ინფორმაციას მიაწვდის მკითხველს: „16 მარიამობისთვის“...

**თ. ბ.** – გაზეთში მცირე უზუსტობაა გაპარული – უნდა იყოს 17 მარიამობისთვის.

**გ. გ.** – „თელავის საზოგადოებამ გაუკეთა წვეულება ჩვენს პოეტს – ვკითხულობთ „დროებაში“, – ხალხი მრავალი დაესწრო. ვახშამზე თამა-

დამ, ბ. ვანო როსტომაშვილმა შემდეგი სიტყვებით მიმართა ჩვენს პოეტს. „ბატონო აკაკი! დღეს ჩვენი ქვეყნის ყველა ნამდვილმა მამულიშვილმა ზედმინ-ევნით იცის, ვინ არის აკაკი და რა სურს მას ჩვენი ქვეყნისათვის... ეხლა, ვსვამთ რა თქვენს სადღე-გრძელს, ჩვენო საყვარელო აკაკი, გისურვებთ, ღმერთმან მოგცეთ ძალა, რომ თქვენი სიცოცხლის უკანასკნელ წამამდის სრულის უზაკვრობით და ჩვენის დავრდომილის ქვეყნის სასარგებლოდ მოხმარებულ იქნეს თქვენ მიერ ეგ ზეცით მონიჭებული ნიჭი პოეტობისა! ვისურვებთ, რომ თქვენის ნიჭით, საქმით და შრომით მუდამ ელტვოდეთ კაცთთანასწორობას“...

**თ. ბ.** – ეგ სიტყვა, ალბათ, ერთ-ერთი სანიმუშო ამგვარ სიტუაციაში წარმოთქმულ სიტყვათა შორის, და დასასრულსაც ჩავიკითხავ: „გისურვებთ, რომ ღმერთმან მოგცეთ სიცოცხლე გრძელი და ის, რომ ამ გრძელ სიცოცხლეში თქვენ მუდამ გვერდზედ ედგათ ჩვენს ხალხსა, – ლხინში ის მიგყავდეთ პირველი და ჭირში თვით წინაუძღოდეთ“.

**გ. გ.** – ბატონი ვანო როსტომაშვილი გულწრფელია აკაკის მიმართ და ცდილობს, საერთო აზრი გამოხატოს მასპინძლებისა. გრძნობს ამ სიყვარულს აკაკი... გრძნობს იმ მოვალეობასაც, რასაც თავისი მდგომარეობა აკისრებს მასპინძელთა წინაშე და ამიტომ მეტად მოზომილ, საქმიან, მართალ სიტყვას ეტყვის კახელებს (პირველ შეხვედრაზე ვამბობ); სიტყვა ასე დაიწყა: „როგორც მომეტებული ჯავრი და მწუხარება, ისე უზომო და გადაჭარბებული სიხარულიც ხშირად ენას უბამს კაცს და უნებურად ადუმებს. სწორედ ამ მდგომარეობაში გახლავართ ამჟამათ. და მადლობა ღმერთს, რომ ეს ასეა, თორემ, მეასედაც რომ შემეძლოს მისი გამოთქმა, თუ რა სიამოვნება მაგრძნობინა კახეთმა, მაშინ თქვენ ან პირმოთნეობად მიიღებდით ჩემს სიტყვებს, ან სიგიჟედ ჩამითვლიდით და ორივე შემთხვევაში კი შემეცდარი იქნებოდით...“

**თ. ბ.** – მოდით, ეს სიტყვა ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის შესანიშნავ მკვლევარს ნიკოლოზ კანდელაკს შევაფასებინოთ: „აკაკის ერთი შესანიშნავი სამადლობელი სიტყვა, თქმული თელავში, სუფრასთან ყურადღებას იქცევს ფართო თემატური დიაპაზონითა და გულწრფელი უშუალობით... ეს სიტყვა თავიდანვე იმორჩილებს მსმენელს მოხდენილად გამოთქმული და გამოცდილების სიბრძნით დამშვენებული აზრებით და ბოლომდე საკუთარი გავლენის ქვეშ ამყოფებს მას შეუნელებელი ზემოქმედების მეშვეობით. მთელი ნაწარმოები აზრთა ისეთ ერთობას წარმოადგენს, რომ ძნელდება რომელიმე ადგილის გამოყოფა...“.

**გ. გ.** – ამ სიტყვის მნიშვნელობის გასააზრებლად, მარტო ისიც იქნებოდა საკმარისი, ილიასეული შეფასება გაგვეხსენებინა და მოგვესმინა; სექტემბრის დასაწყისში გამოდის „ივერიის“ მე-9 ნომერი (1882 წელი).

ილიას სიტყვით, კახეთში აკაკის „წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი...“ ხოლო, რაც შეეხება სამადლობელ სიტყვას, ილიას თქმით, „ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულ ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ, არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს თუ აზრი სიტყვას, ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნების დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია...“

**თ. ბ.** – თუმცა, ილია, ამ შეფასების დროს ერთ თემას არ შეხებია, კერძოდ იმას, აკაკი თავის უნიკალურ სიტყვაში ილიას სადღეგრძელოს რომ ამბობს, ილიას როლზე რომ მიანიშნებს, მოდით, სრულად ჩავიკითხოთ ეს მონაკვეთი:

„ძველადაც საზოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები თავისის თავგანწირულ მამულიშვილობით ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან და მომავალშიაც, იმედია, თქვენი შვილები, თავის განთქმულ წინაპრებს არ ჩამოუჩრებიან. ჩვენ დროსაც მეთაური და მოწინავე იყო თქვენივე შვილი. თ. ილია ჭავჭავაძე, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ყოველი თქვენგანი სიამოვნებით და ამპარტავნობით იგონებს და რომლის სადღეგრძელოსაც ახლა მე გახლებით, იმედი მაქვს, თქვენივე თანხმობით, ვისურვოთ, რომ მალე გამრავლებულიყოს ჩვენში ნამდვილი მამულიშვილები...“


**თ. ბ.** – მამულიშვილობა ღვთითბოძებული ნიჭია, მაგრამ იმის თქმაც სურს აკაკის, რომ ეს ნიჭი რომ განვითარდეს, მამულს წაადგეს, ამისათვის დიდია ქართველი დედის მოვალეობა...

**გ. გ.** – ამგვარი მსჯელობა ილიას სადღეგრძელოს მოაყოლა აკაკიმ და ამით მათ უთხრა მადლობა, ვინც ილია ჭავჭავაძეში ღვთითბოძებული ნიჭი მამულიშვილობისა საქმედ აქცია; ეს ადგილიც ჩავიკითხოთ, ვნახოთ, ნამდვილ მამულიშვილთა გამრავლებას ნატრობს აკაკი და შემდეგ განაგრძობს: „და ეს ადვილად ასრულდება, თუკი ჩვენი დედები მოინდომებენ და თავის პანანა შვილებს ერთად ძუძუსთან შეანოვებენ მამულის სიყვარულს და ერთგულებას...“

**თ. ბ.** – დედის ძუძუსთან ერთად უნდა შეინოვოს ქართველმა მამულის სიყვარული და ერთგულებაც, რომ გვმოძღვრავს აკაკი, ვისმინოთ უნდა... ცოტა ადრე ამ თემაზე უფიქრია და უდარდია ბარათაშვილსაც:

„ჯანი გავარდეს ან შვილსაც, მამულს, ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს... რის ქართველობა, რა ქართველობა“...

ეს ბარათაშვილის დროინდელი დედების აზრია



და ეს უქადა დაღუპვას ქვეყანას.

**გ. გ.** – ამიტომაც, არა მხოლოდ აქ, მაგრამ აქაც, კახეთშიც ამაზე ამახვილებს აკაკი ყურადღებას. მამულიშვილის აღზრდა მისი თვალის ახელიდან იწყება და ქართველი დედის უდიდესი მისიაც ესააო...

**თ. ხ.** – თუმცა, აკაკი იქვე დასძენს და განმარტავს, რომ თუ აკვანში შეთვისებულ მამულის სიყვარულსა და ერთგულებას შემდგომში არ მიეცა სწორი განვითარება, მამულს მამულიშვილს დაუკარგავს...

**გ. გ.** – ეს უკვე მამების ვალიაო, არა თამაზ?

**თ. ხ.** – დიახ. აკაკი მამის როლზე საუბრობს და კიდევ განათლების მნიშვნელობაზე.

**გ. გ.** – გაუნათლებელი თაობა ქვეყანას სასიკეთოდ ვერ წაადგებაო.

**თ. ხ.** – ზემოთ ნათქვამს რომ დავუბრუნდეთ, კახეთში აკაკის პირველი სტუმრობისას თქმული სიტყვის შეფასებისას, ილია ჭავჭავაძე, რა თქმა უნდა, დაინახავს ყველა პრობლემას, ყველა საკითხს, ეთანხმება აკაკის; თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, თავად მის შესახებ თქმულს გვერდს აუვლის; უფრო მეტად აკაკის პიროვნებას წამოსწევს წინ, თითქოსდა, ერთმანეთის ქებაში ეჯიბრებიან ერთურთს.

**გ. გ.** – ილია იმ ფაქტს გაიხსენებს, აკაკის სადღეგრძელოში რომ უთხრეს: „ღმერთმა ჰქნას, შენ და შენისთანები მომავალშიც ბევრი გვყოლოდესო“, რაზეც აკაკის, თითქოსდა, უკმაყოფილოს უპასუხია: „ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი სიტყვა,

რასაცა დღესა ვსჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმე“-ო.

**თ. ხ.** – მე დღევანდელი დროის კაცი ვარ, სახვალეოდ უკეთესები ეჭირვება ერსა და ქვეყანასო... ესა თქვა, კი არ შეიფერა ქება...

**გ. გ.** – დიახ, და ამას მოჰყავს ილია ალტაცებაში. ილიასა და აკაკისნაირი კაცებისათვის დაუმსახურებელი ქება ძაგებაზე უარესია, ხოლო დამსახურებული ქებაც არ არის საჭირო; საჭიროა საქმე.

**თ. ხ.** – დღევანდელი დღის ქებით სახვალეო პრობლემები არ მივივინყოთ; დღევანდელმა თავმონონებამ სახვალეო საქმე არ გაგვიფუჭოსო...

**გ. გ.** – ამიტომ ამბობს ილია: „დიალ, ბატონებო, ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში... რაც არიან აწინდელი მოღვაწენი ჩვენის ერისა – ღმერთმა ამრავლოთ, დიდი დღე და გამარჯვება მისცეთ, მაგრამ, აკაკისა არ იყოს, ნუ ვიკმარებთ მას, რაც დღეს არის! ჩვენა გვჭირია ამათხედ ბევრად ძლიერნი, ბევრად ნიჭიერნი, ბევრად მოქმედნი...“

**თ. ხ.** – გიორგი, ნუ შევწყვეტთ აქ ამ დიდებულ მსჯელობას, განვაგრძოთ ილიას აზრი: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“ – დაუგვირგვინებია თავისი სიტყვა ბ-ნ აკაკის. ასეც უანდერძნიათ ჩვენს მამა-პაპებს, რომელთაც ჩვენთვის თავი დაუდვიათ, რომელთა ძვლებით ჩვენს ქვეყანას ზღუდე შემოვლებია, რომელთა სისხლით ჩვენი ქვეყანა მორწყულია. თუ ის დევგმირნი, რომელთ საქმენი სწორედ, რომ დაუჯერებელ-

ნი არიან, ამბობდნენ, რომ ის ურჩევნია მამულსაო, რომ ჩვენი შვილები ჩვენა გვეჯობდნენო, ჩვენ რაღა გვეთქმის, ჩვენ, რომელნიც იმათ წინაშე ქონდრის კაცებად თუ ჩავითვლებით!“...

**გ. გ.** – ისევ სამაგალითო თავმდაბლობა...

**თ. ბ.** – ისევ სამაგალითო წარმოჩენა სხვისი დამსახურებისა...

**გ. გ.** – ისევ სამაგალითო დაფასება წინაპართა ღვანლისა...

**თ. ბ.** – და ისევ სამაგალითო ხედვა მომავლისა!...

**გ. გ.** – როცა აკაკისა და ილიას ურთიერთ-დამოკიდებულებას წარმოვაჩინთ აკაკის პირველ მოგზაურობასთან დაკავშირებული პუბლიკაციების მიხედვით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მეორე სტუმრობის დროს აკაკის მიერ თელავში წარმოთქმული სიტყვებიდან იმას, თუ როგორ გამოხატა აკაკიმ კვლავ მადლიერება ამ კუთხის მიმართ, რომ აქ იშვა და გაიზარდა ილია...

**თ. ბ.** – სამწუხაროდ, აკაკის ამ სიტყვის შესახებ ნაკლები ითქვა; არ მისცემია ისეთი შეფასება, როგორც პირველი მოგზაურობისას წარმოთქმულს. არადა, მხოლოდ ამ ადგილის გამო შეიძლება ჩაითვალოს ეს სიტყვა ერთ-ერთ საუკეთესოდ აკაკის მიერ წარმოთქმულ სიტყვათა შორის.

**გ. გ.** – ნუ მოვახვევთ მკითხველს თავს ჩვენს აზრს, თავად შეაფასოს: „პატარა ცისარტყელა ვერც ათბობს, ვერც ანათებს, მხოლოდ თვალს იტაცებს და სჭრის, მაგრამ მაინც გამოდარების ნიშნათ არის მი-ჩნეული. გვალვის დროს ერთი პატარა ღრუბლის ნაგლეჯიც, სადმე ცის კიდეში გამოჩენილი, ქვეყანას ახარებს. შეჩერდებიან მუშები და ამბობენ: ღმერთო, შენს მადლს! კარგი ნიშანია: ამ პატარა ნაგლეჯს სხვებიც შეუერთდებიან, ცას დაფარავენ და მოგვევლინება წვიმა, ქვეყნის განმანათლებელიო. საკვირველია, მესამოცე წლებშიაც, როდესაც მამათა სქესის ახალთაობა გამოღვიძებას აპირებდა, გამოჩნდა და ის ღრუბლის ნაგლეჯებიც აქეთ დავინახეთ. რასაკვირველია, მიხვდებით, რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბ-ნი ილია ჭავჭავაძე. ახლაც კიდევ სადედათსქესო ნიშნებსაც აქვე ვპოვებთ. ჩანს, რომ ეს საქართველოს ყოველ კუთხეზე მეტათ წამებული კახეთი ჩვენთვის ახალ-ბეთლემად დაუნიშნავს განგებას და ღმერთმა ინებოს... ვისურვებ მის ბედნიერებას საზოგადოთ და კერძოთ თქვენთვისაც, როგორც მის მცირე წარმომადგენლებისას“.

**თ. ბ.** – ასე დაასრულა აკაკიმ თელავში ნადიმზე წარმოთქმული სიტყვა. მართლაცდა, პირველი სტუმრობისას წარმოთქმული სიტყვის ილიასეულ შეფასებას თუ მოვიშველიებთ, არ იცი კაცმა, აზრი დაამჯობინო სიტყვას, თუ სიტყვა დაამჯობინო აზრს. ეს ადგილი ხომ რამდენჯერმე მაქვს ჩაკითხული და მაინც პირველმოსმენის ამაღლებული განწყობილება მეუფლება, როცა ვისმენ...

**გ. გ.** – მაპატიე, თამაზ, ერთიც ვთქვათ: რო-

გორც ვნახეთ, პირველი (1882 წ.) და მეორე (1897 წ.) სტუმრობისას აკაკის მიერ წარმოთქმული ქება ილიას მჭევრმეტყველების ნიმუშად შეფასდა...

2001 წელს გამოიცა კრებული „უცნობი აკაკი“. ამ კრებულში დაიბეჭდა აკაკის სიტყვა, კახეთში მესამე მოგზაურობის დროს (1911 წლის 31 ივლისს) თქმული. აკაკის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე იური ჭავჭავაძემ აკაკი ადღეგრძელა. სამადლობელ სიტყვაში მგოსანმა ილია ადღეგრძელა. 12 აგვისტოს „სახალხო გაზეთს“ დაუბეჭდავს ეს მონაკვეთი აკაკის სიტყვისა სათაურით „ილია – მზე“.

ერთ გლექაცს ეგონა, მზე თავის სოფლის გორაკიდან ამოდიოდა და წავიდა მის დასაჭერად. მაგრამ დაინახა, რომ მზე მეორე გორიდან ამოდიოდა. გადავიდა, მაგრამ მზემ მესამე გორაკიდან ამოჰყო თავი. იქაც აბობლდა და კიდევ შესცდა. ბოლოს ერთ განდევილს შეხვდა, რომელსაც შესჩივლა... განდევილმა უპასუხა: მზეს ვერაფერს დაიჭერს: იგი ყველგან და ყველას ანათებსო. ასე დიდებულია ილიას სახელიც. მისი სამშობლოს – ყვარელის – გარდა, ყველგანაა და ყველასათვის ანათებს.

მწერალი რევაზ ინანიშვილი თავის ერთ ჩანანერში ფოლკნერზე საუბრობს. როგორ აქებს ფოლკნერი ჰემინგუის და დანანებით იტყვის: „**მაჩვენეთ ჩვენს მწერლობაში სხვის მიერ შექმნილით ასეთი გახარება და სიამაყეო**“... ბატონი რეზო, ალბათ, თავის თანამედროვე მწერლობას გულისხმობს... **თუნდაც ილიას და აკაკის თუნდაც ამ ნარკვევში წარმოდგენილი ქებანი** შეიძლებაოდა გაკვეთილად გამოეყენებინა...

**თ. ბ.** – როცა ამას ვისმენ, სურვილი მიჩნდება, ილიას აღტაცებული შეძახილი გავიმეორო: „გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღვანლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრათ და რომლის მშვენიერის ლექსებით არაერთხელ დაიტკობს ყურს და გრძნობას და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულისშვილობისათვის...“

**გ. გ.** – თამაზ, დიდად საგულისხმო ფაქტია: **აკაკი ილიას მაგალითით ესაუბრება ერს და მამულს; ილია – აკაკის მაგალითით...** ბედნიერნი იყვნენ ისინი, რომ ასეთი მაგალითები ჰქონდათ;

**თ. ბ.** – და ჩვენი ბედნიერებაც ეგ არის, რომ ორივეს ილიასა და აკაკის, მაგალითი შეიძლება დავიყენოთ წინ და ასე გავხედოთ მომავალს.

**გ. გ.** – მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს აკაკიმ კახეთში იმოგზაურა... ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა ამ მოგზაურობამ, ბევრი დარდი შეგვძინა და დიდი იმედიც ჩავვისახა.



ნანა ჯიჭინაძე

გივი სიხარულიძე – 80

სიხარულის დესპანი

„ურთიერთსა სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი!“ ეს ბიბლიური შეგონება გივი სიხარულიძეს პირდაპირ გულზე დააწერა უფალმა. თითქოს საკუთარი ჯვარი არ ჰყოფნიდეს, სხვისი სიმძიმეების მტვირთველია მუდამ.

„...იმვითად შემხვედრია კაცი, რომ ამართლებდეს გვარ-სახელს, გვარიც იგივე სახელია. გივი სიხარულიძე ჭეშმარიტად სიხარულის დესპანია ჩვენს საზოგადოებაში“. ეს ამონარიდი ეკუთვნის გივი სიხარულიძის წიგნის – „ანწყვეტილი სიცოცხლე“, რედაქტორს ვახტანგ ლლონტს.

2024 წლის 28 თებერვალს რუსთაველის ეროვნულ თეატრში გაიმართა გივი სიხარულიძის საიუბილეო საღამო, სადაც საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, მაცყალა გონაშვილმა, გივი სიხარულიძე დააჯილდოვა ოქროს მედლით და მიანიჭა საქართველოს კულტურის დესპანის წოდება.

იუბილარმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ ყოფილ მთავარ რედაქტორს თამაზ წივნივაძეს და აღნიშნა: ნოველები დავწერე, მივუტანე რედაქციაში და ვუთხარი, თუ არ მოგეწონა დახიე და გადააგდე; მან კი მიპასუხა, თუ მომეწონა თქვენი კოორდინატები დამიტოვებ და შეგეხმიანებიო. მართლაც რამოდენიმე დღის შემდეგ ღამის თერთმეტის ნახევარზე დამირეკა და მითხრა: თბილისური ნოველები ძალიან მომეწონა და „ლიტერატურულ საქართველოში“ დავბეჭდეო; შენ კი წერა გააგრძელო. 40 წლის ასაკიდან დავიწყე წერა და უკვე 27 წიგნის ავტორი ვარ, რომლებიც ნათარგმნია სხვადასხვა ენებზე. დღეს კი საზოგადოებამ ჩემი ახალი წიგნი – „საქართველო ძმობისა და მეგობრობის აკვანი“, იხილა.



გივი სიხარულიძის შემოქმედებით მოღვაწეობაზე და ახალი წიგნის შესახებ ვრცლად ისაუბრეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, ამავე აკადემიის აკადემიკოსმა ვალერი ასათიანმა. მისმა მეგობრებმა ერეკლე საღლიანმა, ლალი მოროშკინამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ბატონი გივი არის მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული: ქორეოგრაფი, მსახიობი, მწერალი, მოცურავე, მოთხილამურე და გამორჩეული თამადა.

ქალდების და ფაზისის აკადემიის აკადემიკოსმა გურამ კუპატაძემ ამ აკადემიის სახელით მიულოცა საიუბილეო თარიღი და უსურვა ჯანმრთელობა და 100 წლის იუბილის აღნიშვნა ამავე თეატრში. საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ რუსთაველის თეატრის მსახიობები: ნანული სარაჯიშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, მარინა კახიანი, მურმან ჯინორია, დათო კვიციხალია და სხვები.

საღამოს დასასრულს გივი სიხარულიძემ უღრმესი მადლობა გადაუხადა კახი კალაძეს, ფოლკლორის მოამაგე ვანო ჩხარტიშვილს, ასევე უახლოეს მეგობრებს და თეატრში მოსულ დამსწრე საზოგადოებას.

საიუბილეო საღამოს ფონად გასდევდა პოპულარული სიმღერები და ცეკვები. სამსაათიანი საიუბილეო საღამო დასრულდა ბასიანის მრავალჟამიერით.

საიუბილეო საღამოს ფონად გასდევდა პოპულარული სიმღერები და ცეკვები. სამსაათიანი საიუბილეო საღამო დასრულდა ბასიანის მრავალჟამიერით.



გივი სიხარულიძე

ექვევან ნამიდა დიდმონამე ქეთევან დედოფლის დაბადებიდან 450 და  
აღსრულებიდან 400 წლისთავს.



თემო ჭახნაძე

### ქეთევან ნამიდადის სახე-კონცეპტი ქართულ პოეზიაში

ვიდრე ქეთევან ნამიდადის ხსოვნისადმი ქეთევან ნამიდადის სახე-კონცეპტი ქართულ პოეზიაში

ვიდრე ქეთევან ნამიდადის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსებზე ვისაუბრებთ ისტორიული გადახვევა გავაკეთოთ XVI- XVII საუკუნის ტანჯულ საქართველოში.

ქეთევან ნამიდადი (ბაგრატიონთა შტო) დაიბადა მცხეთის სოფელ მუხრანში, დაახლოებით 1570 წელს. ის გახლდათ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა და მწერლის, ბაგრატ მუხრანბატონის შვილიშვილი.

ქეთევანი ცოლად შერთეს კახთა მეფე დავით I-ს, რომელთანაც ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი შეეძინა. მისი ქმარი ტახტზე ასვლიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა უცნობი სენით.

დაქვრივებული ქეთევანის გამაჰმადიანებულმა მამამ, კონსტანტინემ, შაჰ-აბასის ბრძანებით 1605 წელს მოკლა მოხუცი მამა და ძმა. ქეთევანმა პატივით დაკრძალა მამამთილისა და მამის თავმოკვეთილი ცხედრები.

ურჯულო კონსტანტინემ ქეთევანს ცოლობაც კი სთხოვა: „შეგირთავ ცოლად და შენც მორჩილ მექმენ, რამეთუ ესრეთ არს წესი და ჩვეულება სჯულად მაჰმადისაო“.

ქეთევან დედოფალმა კახეთის დიდებულები დაარწმუნა, რომ მათ უნდა დაეცვათ ქვეყნის ღირსება და მოეკლათ უღმერთო კონსტანტინე. მათ პირობა შეასრულეს და იგი აზერბაიჯანის ქალაქ შემახასთან მოკლეს.

შემდეგ ქეთევანმა შაჰ-აბასს დიდი ძღვენი მიართვა და სთხოვა, მისი ვაჟი, 16 წლის ქრისტიანი თეიმურაზი გამოეშვა საქართველოში და დაემტკიცებინა კახეთის მეფედ. ასეც მოხდა 1606 წელს. მომდევნო წელს მეფე თეიმურაზი დაქორწინდა მამია გურიელის ქალიშვილ ანაზე, რომელთანაც ორი ვაჟი შეეძინა. 1612 წელს დედოფალი ანა მოულოდნელად გარდაიცვალა. იმავე წელს შაჰის რჩევით მეფემ ცოლად შეირთო შორეული ნათესავი ხორეშანი.

1613 წელს ახალგაზრდა მეფე თეიმურაზ I იძულებული გახდა ერთგულების ნიშნად შაჰ-აბასთან მძევლად გაეგზავნა თავისი უმცროსი ვაჟი, 4 წლის ალექსანდრე, რომელსაც დედა – ქეთევანი გააყოლა. დედოფალმა თურმე წასვლის წინ გურჯაანის ყველაწმინდის ტაძარში ილოცა. ბებია და შვილიშვილი ჯერ განჯაში წაიყვანეს. შაჰმა თეიმურაზს შემოუთვალა თვითონაც ჩასულიყო სპარსეთში. დუშმანს განზრახული ჰქონდა სამეფო ოჯახის ამოხოცვა. მეფე არ წავიდა შაჰთან, რის შემდეგაც შაჰ-აბასმა დატყვევებული ქეთევან დედოფალი და მისი შვილიშვილი შირაზში გაგზავნა.

შაჰ-აბასმა 1613 წელს, შემოდგომაზე, კახეთს მრავალრიცხოვანი ლაშქარი შეუსია და გაუგონარი სისასტიკით ააოხრა. კახელების ორი მესამედი განყვიტა, შებიღნა ეკლესია-მონასტრები, ათასობით კახელი სპარსეთში გადაკარგა, ქვეყანაში კი მაჰმადიანები ჩამოასახლა.

გამწარებული და უიღბლო თეიმურაზ I ჯერ ოსმალეთის სულთანთან ჩავიდა დახმარების სათხოვნელად, შემდეგ რუსეთის ხელმწიფესთან, თუმცა ამაოდ. განაწყენებულმა ირანის შაჰმა 1618 წელს ურჩი პოეტი მეფის ვაჟები, 9 წლის ლევანი და 8 წლის ალექსანდრე ისპაჰანში წაიყვანა და დაასაჭურისებინა, რის გამოც ერთი მაშინვე გარდაიცვალა, მეორე გაგიჟდა. ამ დროს ქეთევან დედოფალი შირაზის ბეგლარბეგის იმამ-ყული ხან უნდილაძის სასახლეში ცხოვრობდა, ერთი ვერსიით, გათათრებულ უნდილაძეს ცოლად ჰყავდა ქეთევანის ქალიშვილი ელენე. დედოფალს არ უმხელდნენ შვილიშვილების ტრაგედიას. 1617-1624 წლები ტყვეობაში ამყოფეს დედოფალი. შირაზში მას თავისი სამლოცველო ჰქონდა, საეკლესიო

ნივთები, ხატები და წიგნები. შაჰმა მისი გამაჰმადიანება მოინდომა, შვილიშვილების შემზარავი ამბავი გააგებინა და ცოლობაც სთხოვა.

ნაქართველარ უნდილაძეს უბრძანა: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენ და თუ არ გათათრდეს, ანამე და სასჯელით მოკალიო“. უნდილაძემ შაჰს მოციქულის პირით შეუთვალა: „ბერი დედაკაცი არის და ახლა ეს არ გათათრდება, რას აქნევ ამის გათათრებას, თქვენთვის სირცხვილი არისო მისი სიკვდილი“.

ქართლის ცხოვრებიდან ვიგებთ, რომ კახეთის დედოფალმა რჯულის შეცვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა, რის გამოც ურჯულობმა წარმოუდგენელი სისასტიკით ანამეს იგი და მისი დაგლეჯილი სხეული მოედანზე დააგდეს მხეცთა საჯიჯგნად.

„უდრეკ იყო დედოფალი“ – ასე წერდნენ მასზე ფრანგი მისიონერები, რომლებიც ამ წამებას შეესწრნენ. სიკვდილის წინ სამი სიტყვა უთქვამს: უფალი... მამული... შვილი..., ეს მოხდა 1624 წლის 13 სექტემბერს, ცნობილი სპარსელი პოეტების, საადისა და ჰაფეზის მშობლიურ ქალაქ შირაზში.

გოის ავგუსტინელთა კოლეგიის ბერებმა ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილები სპარსეთიდან გაიტანეს. შემდეგ ეს ნაწილები ინახებოდა საქართველოში (ალავერდის ტაძარში, დაიკარგა 1723 წელს), ინდოეთში(გოა და-გრასის მონასტერში), რომსა (წმ. პეტრეს ტაძარში) და ბელგიაში(ნამიურის ტაძარში). 2013 წელს ინდოეთის შტატ გოაში მდებარე ტაძრის ნანგრევებში იპოვეს ქვის სარკოფაგი, რომელშიც მკლავის ძვლები ელაგა. დნმ-ის ანალიზით დადასტურდა, რომ ძვლები ქეთევან წამებულს ეკუთვნის. 2021 წელს ინდოეთის მხარემ დედოფლის წმინდა ნაწილები საქართველოს გადმოსცა.

ზუსტად 400 წლის წინ მომხდარი ეს საზარელი ფაქტი, ქეთევან დედოფლის სასტიკი მკვლელობა, შეუძლებელია არ ასახულიყო მსოფლიო და ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში. სიტყვაკაზმულმა მწერლობამ ვალი მოიხადა ქრისტესთვის მონამე სათნო დედოფლის წინაშე. მის გაუტყებლობაზე საუკუნეების წინ წერდნენ უცხოელი მისიონერები და ლიტერატორები: გრეგორიო ორსინი, პიეტრო დელა ვალე, ამბროზიო დუშ ანჟუში, ჟ. კრუზინსკი, კლოდ მალენგრი, ფიგეროა, გრიფიუსი. არც ქართველი მწერლები დარჩენილან გულგრილნი დედოფლის ტრაგედიისადმი. საეკლესიო მოღვაწემ, გრიგოლ დოდორქელმა 1703-1713 წლების შუალედში დაწერა ჰაგიოგრაფიული თხზულება: „წამებაი ყოვლად დიდებულისა მონამისა დედოფლისა ქეთევანისი“. ქეთევან წამებულზე პროზაული ნაწერები აქვთ: ანტონ კათალიკოსს, ფარსადან გორგიჯანიძეს, ვახუშტი ბაგრატიონს, ბერი ეგნატაშვილს, ალექსანდრე ყაზბეგს, ქეთევან ირემაძეს.

დედის – ქეთევან დედოფლის, წამებას თეიმურაზ I-მა სავარაუდოდ 1628 წელს 80 სტროფიანი პოემა („წამება ქეთევან დედოფლისა“) მიუძღვნა, რომელიც 1928 წელს დაიბეჭდა დამატებული სტროფებით. ეს არის ქართულ ენაზე დაწერილი პირველი ეპიკური ჟანრის პოეტური ნაწარმოები, რომელიც ქეთევან წამებულისადმი არის მიძღვნილი. მაჯამების დიდოსტატმა, რომელსაც გულში ტკივილის და ბრაზის ცეცხლი უგიზგიზებდა, რეალური ამბავი გალექსა. პოემა ექსპრესიულთან ერთად ინფორმაციულია. ჟანრობრივად დოკუმენტურ-მხატვრული პოეტური ტექსტია. პოეტი დედის სასტიკი წამების სიუჟეტს ასე დრამატულად აღწერს:

„მერმე გაუბეს ხელ-ფეხი, გაძაფეს განა მაჯები, გაზით დაგლიჯეს ძუძუნი, დადვეს მხურვალე საჯები, ბარები შუბლსა შემოსდვეს, ყველა ქმნეს მათი აჯები, აღმა ახეთქნეს კეფანი, ვა, თქმითა აქ ვისაჯები.“

თითქმის 200 წლის შემდეგ სამეფო ოჯახის წევრმა დიმიტრი ბაგრატიონმა (1746-1826) დაწერა პოემა – „წამება ქეთევან დედოფლისა“, რომელიც პეტერბურგში გამოქვეყნდა 1819 წელს. ეპიკური ნაწარმოების ძირითადი ნაწილი 96 სტროფისგან შედგება, ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს შემდეგი ფრაზა „წამება ქეთევან დედოფლისა ახლად თქმული თავადის დიმიტრი ბაგრატიონის მიერ.“ პოემა დაწერილია რუსთველური 16-მარცვლიანი სალექსო საზომით. 90 სტროფი დაბალი, ხოლო 6 სტროფი მაღალი შაირით არის დაწერილი.

ტექსტში ენობრივ-სტილური თვალსაზრისითა და სახისმეტყველებით უპირველესად იგრძნობა „ვეფხისტყაოსნის“ ეპიგონობის დონემდე მისული გავლენა, ხოლო სიუჟეტური მოტივი და კომპოზიცია თითქმის იდენტურია თეიმურაზ მეფის პოემის, შასაბამისად ორიგინალურობას მოკლებულია თემატური და მხატვრული თვალსაზრისით, მაგრამ ისტორიულ დროსა და სივრცეში კარგად გვამოგზაურებს.

ნავიკითხვით დ. ბაგრატიონის პოემიდან რამდენიმე სტროფი ივერიის დედოფალთან დაკავშირებით:

„შენ გევედრები ვინა ხარ, მის უჟამოსა ხანისა მათქმიო სპარსთგან წამება, დედოფლის ქეთევანისა თუცა ბუნებით ლბილისა, სიმხნითა ახოვანისა ქართულთა მანათობლისა, მთვარისა მონავანისა.“

„ქეთევანისა პატიჟთა, მე ვიტყვი მათდა მეტებით არვინ და ჰსჯილა დედათგან, მისებრივ გამომეტებით

ხორცს გლეჯდნენ ცხელის გაზებით, ლურსმებით  
ჩხვლეტდნენ მწვეტებით,  
მოქუფურით სისხლი სწოებოდა, ძარღვების  
დასანყვეტებით.“

„უნყალომ მძლავრიმან ძლიერმან, მეფემან  
სპარსეთისამან  
შაჰაბაზ სახელდებულმან, უარის მყოფმან  
ღმრთისამან  
იზრახა კახთა აღმოფხვრა, მნადემან დიდის  
სნისამან  
წარმოვლო გზანი მოწყვეტად, ბოროტმან ავის  
ზნისამან.“

„მსწრაფლად წირვიდა მასთანა, ნებით  
ხელშეუხებელად  
კახთ დედოფალი ქეთევან, სახვეწრად საოხებელად  
ნუთუ დაიცვას ქვეყანა, მტერთაგან უოხრებელად  
თავი გასწირა საკვდავად, უკვენსრად  
უოხვრებელად.“

„მიწად განართხეს გაუბეს, ზარიფნი ფერხნი  
ხელები  
ქვეშ გაუშალეს სალებად, ლურსმები განაცხელები  
საბნად დახურეს რკინენი, სანვავად განათხელები  
მით დააძინეს ქეთევან, აკვანს ურნებდენ  
მკვლევები.“

„მერმეთ მოიღეს მხურვალე, ცეცხლ მოტყინარე  
გაზები  
დახლიჩეს უცხო ძუძუნი, თეთრ გულსა  
მოლამაზები  
ტანთა დაავლეს შამფურნი, ზრო-წელთა მოსანაზები  
თავით ფერხადმდე არ დაშთათ, მათ ფარგლით  
მოუხაზები.“

გრ. ორბელიანის (1804-1883) საგმირო პოემა-ში „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომი ღამე, ლხინი ერევნის სიახლოვეს“, ვკითხულობთ ქეთევან წამებულისადმი მიძღვნილ ერთ სტროფს, რომელიც 1928 წელს დაიბეჭდა მწერლის ლექსებისა და წერილების სრულ კრებულში. აღნიშნული კატრენი მხატვრული ოსტატობით არ გამოირჩევა, მაგრამ მასში სჩანს პოეტის კეთილი დამოკიდებულება ივერიის დედოფლისადმი, რომელიც პოეტისთვის სულიერი სიმტკიცის სიმბოლოა.

„დრონი იცვალნენ... იხილეთ ქეთევან ნაზად  
აღზრდილი,  
მამულისათვის იტანჯვის, სარწმუნოების  
დამცველი,  
ხორც-დაგლეჯილი შანგებით, მკერდზედა  
ცეცხლ-ანთებული,  
სულის სიმალლეს გვიმტკიცებს ზეცად დიდებით  
აღმსვლელი!“

1946 წელს ლიტერატურულ ჟურნალ „მნათობის“ მე-4 ნომერში ანა კალანდაძის 12-მარცვლიანი ლექსი „ქეთევან დედოფალი“ გამოქვეყნდა. პოეტი დედოფალს მრავალტანჯულ საქართველოს ადარებს და რამდენჯერმე უსვამს ხაზს მის უდრეკელობას, რაც ლექსის პათოსს ამძაფრებს:

„თეთრი ხელი გულზე ედო დედოფალსა,  
ტინად იდგა დედოფალი...“

„ცხელი რკინა,  
საქართველოს გულს რომ კვეთდა.  
ლოცულობდა...  
როს ჩამოსწყდა ბაგეთ მისთა:  
„არასოდეს!“

ცეცხლით სწვავდნენ  
ტანშეძარცვულ დედოფალსა,  
უდრეკ იყო დედოფალი!“

ქართული ეკლესიის ისტორიკოსსა და ხატმწერს მიხეილ საბინინს(1845-1900) ქეთევან წამებულის წიგნი – „ლოცვანი“ მოუპოვებია და კავკასიის მუზეუმისთვის გადაუცია საჩუქრად.

გიორგი ლეონიძის 1947 წელს გამოცემულ წიგნში „ლექსები და პოემები“ ვკითხულობთ ლექსს „ქეთევანის წიგნი“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ავტორის სიტყვები: „საქართველოს მუზეუმში ინახება ხელნაწერი ლოცვანი, ქეთევან დედოფლის ტყვეობაში ნაქონი. წიგნის ფურცლებს დღესაც ატყვია ცრემლის ლაქები და ერთგან სისხლის ნაწვეთალი“.

გოგლას ლექსი 8-მარცვლიანია და 10 სტროფისგან შედგება. იწყება ფანტასმაგორიული სურათით. პოეტს დედოფლის აჩრდილი მოელანდება, რომელსაც ხელში ლოცვანი უჭირავს. მას სურს ხელი შეახოს წიგნაკს, მაგრამ რაღაც აფერხებს, მოწინებით დაჰყურებს. ეს ხომ ჩვეულებრივი წიგნი არ არის. მიაჩნია, რომ „ლოცვანი“ თილისმასავით იყო ქეთევან წამებულისთვის, რომელიც ძალას მატებდა და აძლიერებდა განსაცდელის ყამს. ლექსში გამოხატულია დედოფლისადმი თაყვანისცემა. წავიკითხოთ გ. ლეონიძის მიძღვნა:

„ღამეა. სულ წვიმს. განა ცას  
ამდენი უნდა ეწვიმა?  
გული შემიკრთო უეცრივ  
აჩრდილმა გადმოხვეწილმა.  
დედოფლის შესამოსელში  
ხელთ წიგნი გამოატარა,  
ვიცი, წიგნებში სიტკბოა,  
რად მწვავს ეს წიგნი პატარა?  
ან მისი ხელში აღება  
რამ უნდა გამაბედვინოს?  
ზედ ცრემლის ლაქა აცხია,

ვილაცას უნდა ეტიროს!  
 ვიცი, ვინც არის პატრონი,  
 ან წიგნი ვისაც ჰხლებია,  
 მისი მიმკრთალი ფურცლები  
 სიმწარით იკურცხლებიან.  
 რაც ვერ დანერა კალამმა,  
 ალბათ ცრემლმა თქვა მალულმა,  
 სამშობლოს ფიქრზე საკანში,  
 ირანს, ტყვედ გადაჩქმალულმა.  
 რა დაიტირა, რას გვეტყვის  
 დედოფლის ცრემლის ნაღვენთი? –  
 თუ მოინატრა შორიდან  
 თავისი ტკბილი კახეთი?  
 ამ წიგნზე თვალთა გიშრების  
 ყოველი დანამწამება  
 ფიქრით იწვოდა, ვით ზიდოს  
 მან მომავალი წამება.  
 შანთით, მარწუხით, დახლიჩეს,  
 გაზით უგლიჯეს ძუძუნი,  
 ყორნებს მიუგდეს საჭმელად,  
 ათას ხმლით გადაკუნული.  
 ათასი ელვის ნათელი  
 დედოფლის სახე ყოფილა.  
 ო, რა თვალეები... ქართლისთვის  
 სიკვდილით გადალობილან.  
 არ მასვენებენ, სულ მდევენ,  
 ის განიერი თვალეები...  
 პატარა წიგნი საუბე,  
 ზედ ცრემლის ნაწვეთალეები...“

1976 წელს ლიტ. ჟურნალ „მნათობის“ მე-9 ნომერში ვახტანგ ჯავახიძემ გამოაქვეყნა 14-მარცვლიანი და თოთხმეტ სტრიქონიანი ლექსი „ქეთევან წამებული“, რომელსაც განსხვავებული ფორმა და შინაარსი აქვს. პოეტი საუბრობს სპარსელთა პოზიციიდან და დედოფალს მიმართავს: ჩვენ დიდსულოვნება არ გვაკლია, დაგვთანხმდი რჯულის შეცვლაზე და რასაც ისურვებ ყველაფერს მოგცემთ, ცოცხალი დარჩებიო, თუ ქართული ხმის გაგება ისევ გასურს, თუ ისევ გინდა ალაზანს და ლიახვს გახედო, ბუმბერაზ მთებში დაბრუნდე, გვითხარი ერთი „დიახ“-ო. პოეტს მოსაზღვრე რითმებში, სარიტმო წყვილის ერთ-ერთ ცალად ყველგან ჩაფიქრებული აქვს დასტურის სიტყვა „დიახ“, თუმცა მის ადგილას წერს დედოფლის უარყოფით პასუხს – „არა“-ს. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ ბოლო სტრიქონები, სადაც სარიტმო წყვილი უნდა იყოს „ჩაიარა-არა“, თუმცა წერია „დიალ“, რაც ლექსს ორიგინალურს ხდის და შინაარსის აღქმას დიდი ემოციით ტვირთავს:

„თუ გასურს, გახედო კვლავაც ალაზანსა და ლიახვს,  
 თანხმობის ერთადერთი სიტყვა გვაღირსე!  
 – არა!“

– თუ გასურს, დაბრუნდე კვლავაც მათათა  
 მალალთა წიაღ,  
 ნულა წარმოთქვამ – არას, წარმოსთქვი ოდენ...  
 – არა!  
 – მაშასადამე, რჩევამ ამაოდ ჩაიარა,  
 აღარც მუდარამ გასჭრა, აღარც მუქარამ...  
 – დიალ!“

ჩვენმა ეროვნულმა გმირმა, მერაბ კოსტავამ 1985 წელს გამოაქვეყნა იშვიათი 9-მარცვლიანი საზომით დანერილი მელოდიური ლექსი: „ივერიის მნათობის ქეთევან წამებულისადმი“, სადაც ვკითხულობთ:

„და მოდის ის სულისკვეთება  
 დედებს რომ მიჰქონდათ აკვნებთან,  
 ეს გული იდუმალ აკვნესდა,  
 შენ გიხმობს ქართველთა აგნესავ,  
 იბერთა სასწაულქმედება,  
 წმიდაო მნათობო ქეთავან.  
 ნეტართა პარნასში რჩეულო,  
 ანგელოსთ იერით მღიმარევ,  
 სინმინდევე შენ მინანქრეულო,  
 შენ ჩვენთა ცრემლების მღინარევ.“

1987 წელს მედეა კახიძის ერთ-ერთ პოეტურ კრებულში დაიბეჭდა 8-მარცვლიანი ლექსი „ქეთევანი“, სადაც პოეტი წამებულის პოზიციიდან გვესაუბრება და სასიკვდილოდ განწირული წმინდა ქეთევანის განცდებს გვიზიარებს, რომელიც ყველაზე მეტად მის სიშიშვლეს განიცდის, თუმცა აბჯრად მაინც სიმშვიდე აცვია და ერთი გმნივა არ დასცდება ცეცხლმოკიდებულს:

„ცხელ შანთებს მადებენ მკერდზე,  
 დაფარონ სიშიშვლე ჩემი!“

„მე მტკივა მოჭრილი ძუძუ,  
 უფრო კი სირცხვილი მზარავს.“

„მე ვითმენ წამებას დიდხანს  
 და ყელში მობჯენილ კვილს,  
 რამეთუ ნაშენი ვიყავ  
 ქართული მიწით და კირით.“

საინტერესოა კახა შალამბერიძის 2014 წელს გამოქვეყნებული 14-მარცვლიანი ლექსი „წმინდა ქეთევან წამებული (შაჰ-აბასთან ამბად მიტანილი)“, რომელიც სტრუქტურულად დიალოგის პრინციპზეა აგებული. სიუჟეტი ვითარდება ქეთევანის წამების შემდეგ, შაჰ-აბასი შირაზიდან ამბის მოსაყოლად ჩამოსულ შიკრიკს ეკითხება: რა ამბავი ჩამომიტანე, შეშინებული თუ იყო დედოფალი? შიკრიკი აღფრთოვანებული ჩანს დედოფლის გამძლეობით და შაჰს აუწყებს, წამებისას ლოცულობ-

და და უშიშრად მიაბარა სული ქრისტესო, რაზეც აბასი გაუჯავრდება და თავის მოკვეთით დაემუქრება, – მითხარი, რომ მოთქვამდა და ელდისგან გაუსკდა გულიო, რაზეც პასუხობს: ტყუილს ვერ გკადრებთ, ერთადერთხელ ამოიგმინა, როდესაც ჯალათმა კაბა შემოახია და მკერდი გაუშიშვლაო. ამ ლექსში, რომელშიც პოეტმა შესძლო შაჰ-აბასის დამარცხება, ვკითხულობთ:

„– ნადი! გამშორდი!  
ალტაცებას ვერ მალავ, ბრიყვო!  
სასჯელს მიიღებ  
ამა ამბის შესაფერისსა...  
„ვერ მოვერიე, ვერ მოვკალი,  
ოხ, ეს რა მიყო!“...  
და ამის შემდეგ მოსვენება  
შაჰს არ ელირსა...“

და აქ გვახსენდება ერნესტ ჰემინგუეის ცნობილი ფრაზა: „ადამიანი შეიძლება გაანადგურო, მაგრამ ვერ აჯობო“.

სხვადასხვა დროს ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილი ლექსები გამოაქვეყნეს: ვ. გაბესკირიამ (1943), კ. კოზმნელმა (1956), ა. ჯალალოვმა (1957), ბ. შალვაშვილმა (1972), შ. ხოდაშნელმა (1973), ვ. დოლბაიამ (1977), ნ. შამანაძემ (1980), ა. გელოვანი (1984), ლ. გელენიძემ (1989), ლ. პაპუნაშვილმა (1989), ხ. ბერულავამ (1990), თ. მღვდლიაშვილმა (1990), მ. ფეიქრიშვილმა (1990), ალ. დიდუბაშვილმა (1991), სალომე შენგელიძემ (2000), გიული შალიკაშვილმა (2011), გიორგი ნიკოლეიშვილმა (2014), ანა ბეინაშვილმა (2014), თამარ შაინშელაშვილმა, ნანა ტრაპაიძემ, რობერტ მესხმა, ოთარ რურუამ, მირანდა ერისთავმა, ალექსანდრე ჯინჭარაძემ, ალბათ სხვებმაც.

ბოლოსთვის მოვიტოვე ედუარდ უგულავას შთამბეჭდავი ლექსი „ქეთევან წამებული“, რომელიც 2014 წელს დაიბეჭდა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარის“ ეგიდით გამოცემულ ანთოლოგიურ კრებულში, როგორც გამარჯვებული ლექსი. მისი მოცულობა 17 სტროფია. პოეტმა ბალადის დასაწერად შეარჩია 11/10 სალექსო საზომი, რომელზეც არის აგებული ლექსის კომპოზიცია, ჩემი დაკვირვებით აღნიშნული სალექსო მეტრი და მისი მუსიკა ყველაზე უფრო შესაბამა დედოფლის ამბის ლექსად გადმოცემას.

როგორც ჩანს, პოეტის გონებამ ამ ისტორიულ-ქრისტიანულ თემას დიდხანს უტრიალა, შედეგად კი მივიღეთ ოსტატურად, ორიგინალური პოეტური სახეებით, სადა და მკაფიო ენით აღწერილი ქეთევან წამებულის ამბავი. აღნიშნული ლექსი 2020 წელს „პოეზიარიმ განათავსა ალბომში „21-ე საუკუნის ჩემი ანთოლოგია“, სადაც ასობით ადამიანმა გამოხატა აღფრთოვანება და გავრცელდა ინტერნეტ სივრცეში.

პოეტი დრამატიზმითა და სიცხადით აღწერს იბერიის დედოფლის შირაზში წამების სცენას. იგ-

რძობა ავტორის შინაგანი დაძაბულობა, პოეტური ოსტატობითა და სიმძაფრით გვიხატავს გარემო-პირობებს, ცას მწველი მზით, სისხლისფერ ჯალათებს, თეთრკაბიანი დედოფლის მშვიდ მზერას, რომელსაც ქრისტეს გზა მყარად აურჩევია, ანუ წამების გზა, გოლგოთა; უშიშარს კი რწმენის მაღალ ალაცავს ვერც უზარმაზარი მაჰმადიანური ირანი და ვერც მისი მხდალი ლომი ვერ უზარავს. პოეტი თითქოს იქ დგას, რომელიმე მისიონერი ბერივით და გაცეხებას ვერ მალავს დედაკაცის გამძლეობითა და ღრმადმორწმუნისთვის დამახასიათებელი სიმტკიცით, რომელსაც ეკლესიასთან დაკავშირებულ საგნებს: ცეცხლმოკიდებულ ფრესკას და ანთებულ სანთელს ადარებს, რითაც ძლიერ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ე.უგულავა პათოსითა და მგზნებარებით აღწერს ყველა ნიუანსს და თითქოს ჩვენც ვხედავთ, თუ როგორ აცივებენ უსულგულო ჯალათები დედოფლის სისხლში ვარვარა შანთებს და როგორ შიშხინებს სისხლი ვარვარა ლითონთან შეხებისას.

ქეთევანის სიცოცხლე მისი ჭრილობიდან ნელ-ნელა ჟონავს, რა დროსაც იქ შეკრებილი ზღვა ხალხი ცერზე დგება, რომ კარგად უცქიროს დედოფლის სიკვდილს („სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას თუ ჰკვლენ ცქერა გვნადია“). რა სასტიკ გზებს არ მიმართავენ გამხეცებული ჯალათები და როდესაც ხედავენ დედოფალს ჯერ კიდევ ცოცხალს, ერთ-ერთი ხელებით სწვდება კისერში და გაგუდავს, რის შემდეგაც სული მტრედივით ამოფრინდება და ბინად ლურჯ ცას აირჩევს. ასე სრულდება საქართველოს სიმტკიცის და ნამუსის, ქეთევან წამებულის სიცოცხლე ლექსში, ხოლო ქართველთა ცნობიერებაში ოთხასი წელია გრძელდება და მარად იცოცხლებს, როგორც სიმბოლო რწმენის, სიმტკიცის და გამარჯვების!

ედუარდ უგულავა ხონის სოფელ გორდიდან არის. 6 პოეტური კრებულის ავტორია. მას სხვა შესანიშნავი ბალადებიც აქვს. ის ამ ჟანრის ოსტატია.

ნათელი და სრული წარმოდგენისთვის აქვე გთავაზობთ ედუარდ უგულავას ზემოთ განხილულ ლექსს.

## ქეთევან დედოფალი

მზე შირაზის ისე მწარედ ანათებს  
ლამის ახებს გამშრალ ქვიშას ლოყას...  
ისმის „მოჰყავთ“ და სისხლისფერ ჯალათებს  
იბერიის დედოფალი მოჰყავთ.  
რწმენა მისი სხვა სიმტკიცის ფასია...  
მზერა მისი სხვა სიმშვიდის არის...  
ყელაზიდულს თეთრი კაბა აცვია  
(ლამაზია დედა დედოფალი).  
არა, შაჰი მასთან ვერ მორიგდება,  
ის ურჩობას არ პატიობს მის მტერს:

ან მაჰმადი – პატივი და დიდება,  
 ან ნამება – ესე იგი ქრისტე!..  
 თუმც დედოფალს, ხალიჩაზე ამაყად  
 ქვენარმავლის სინეპივრით მწოლი,  
 ვერ უზარავს რწმენის მალალ ალაყაფს  
 ვერც ირანი, ვერც „ირანის ლომი“  
 და ხმა მისი, მტერიც ხვდება უგულო,  
 რა სიმტკიცეს და სიყვარულს იტევს:  
 – მხოლოდ ქრისტე! მხოლოდ ქრისტე, უგუნონო!  
 ჯვარცმული და ნამებული ქრისტე!  
 და სიჩუმე, თითქოს მშრალი თითებით  
 უფერულ თმას მგლოვიარედ იშლის...  
 ცხელ ჰაერში ფარფატებენ ჩიტები,  
 უცნაური ფერისა და ჯიშის.  
 ღმერთო ჩემო თავზე როგორ უბრალოდ  
 ახურავენ ადუღებულ მიტრას...  
 იწვის ხორცი და შენ უწყი, უფალო,  
 ამ საშინელ ტკივილს როგორ იტანს...  
 ლამის იქცეს ფერფლად ფრესკის სადარი,  
 სექტემბრის მზეს ოფლი დასდის სიმწრის...  
 დედოფალი, სანახევროდ დამდნარი,  
 ანთებული სანთელივით იწვის.  
 მერამდენედ, ღმერთო, უკვე რამდენჯერ,  
 თავზარდამცემ ტკივილების დამთმენს,  
 ფლეთენ, კვეთენ, მკერდს გაზებით აგლეჯენ  
 და სისხლშივე აგრილებენ შანთებს.  
 ეკარგება სხეულს ფერი სინედლის  
 და სიცოცხლე ჭრილობიდან ჟონავს.  
 უკვე ცერზე დგება ხალხი მილეთის,  
 რომ უცქიროს სურათს გაუგონარს.

– მხოლოდ ქრისტე! – მოძრაობენ ტუჩები  
 (რწმენა მისი ვერ ითქმება ამბად)  
 და ნაკვერჩხლებს ამოვსებულს ლურსმნებით  
 აფარებენ ცეცხლმოდებულ საბნად.  
 ოჰ, ეს ტანჯვა ათჯერ სიკვდილს ეყოფა  
 და ჯალათი, ნამითაც არ შემკრთაღს,  
 ყელში სწვდა და ხელით ახრჩობს დედოფალს,  
 ჯერაც ცოცხალს, ნამებისგან ვერ მკვდარს  
 და სულს, სხეულს მტრედევით რომ შორდება,  
 ცის სილურჯე რომ ირჩია ბინად,  
 ფრთებით მიაქვს საქართველოს გოდება  
 და ნამებულ შვილიშვილთა გმინვა...  
 ჯალათი კი, ღვარულ ოფლში გაბანილს  
 სისხლით იზელს ამობურცულ კუნთებს,  
 მერე ერთხანს ეჭვით დასცქერს და ბარით  
 მიცვალებულს შუბლს ყვირილით უმტვრევს...  
 ხოლო ხალხი – დაფანტულს და ფერაშლილს  
 ჰგავს მგლებისგან დაფეთებულ ფარას.  
 ბრბო ირევა და საშინელ ჯგლეფთაში  
 თავდახრილი ქართველები დგანან...  
 ო, დედოფლის თვალებს ღვთიურ სინაზის  
 შვენის ფერი – დარჩენილებს ღიად...  
 სხვის მიწაზე, ცოდვით სავსე შირაზში  
 გულისწამსვლელ ნაფლეთებად ყრია  
 ქეთევანი, – ასე უღვთოდ ნამუსრი,  
 სურვილს რწმენით რომ უზარავს ირანს...  
 საქართველოს სიმტკიცე და ნამუსი!..  
 დედოფალი – ორთავ სოფელს შინა!..

სასილია ერაპია

რეზო ჭეიშვილი – „მუსიკა ქარში“

„გაერევა ერთი ასში, მუსიკა რომ ესმის ქარში“...

„მუსიკა ქარში“ ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია, თუმცა ეს ტექსტი ბევრად მეტია, ვიდრე ჩეულებრივი, ყოფითი ამბების აღწერა. რეზო ჭეიშვილი სახელდაურქმეველი და სულში სინათლის შემტანი შეგრძნებების ადამიანია, ამიტომაცაა, რომ წიგნი ჰგავს რალაც ძალიან დიდისა და ადამიანურის გახსენებას, რომელსაც ყველა ამბავში, ყველა დეტალში პოულობს მკითხველი.

რეზო ჭეიშვილი ომის დროინდელ ქუთაისს აღწერს, თავის ოჯახს, მეზობლებს, ნაცნობებს თუ ნამიერად გამკრთალ ადამიანებს, რომლებმაც ბავშვის ცნობიერებას კვალი დაამჩნიეს.

„მოგონებანი ფერმკრთალდება და ნაზდება. დასასრულის შეგრძნება დასაწყისთან გაახლოვებს უჩვეულოდ. დასაწყისი და დასასრული



კი თანაბარი აჩქარებით მიისწრაფიან ერთმანეთისაკენ სიცოცხლის ერთ მონაკვეთში.“

გამორჩეულია წიგნის პერსონაჟთა გალერეა

– ამ ჩანაწერების მოქმედი გმირები ხომ სულიერთან ერთად, უსულო საგნებიც არიან: ნამყენი ქლიავის ხე; მეარლნე არტემი; დურგალი ილია – დაკარგული ადამიანი; დადუმებული, მშრალი ნისქვილი, რომელსაც არასდროს ღირსებია ამუშავება; დაცხრილული მურია; მოხუცი ნოვე, რომელსაც სწამს, რომ თავისი სოფლიდან ამოტანილი მუხევე წყალი მოარჩენს; გერმანელი ტყვე; ხე-ყვავილა; ფეხშიშველი მოცეკვავე არიან; ნივლიანე; ბიჭი, რომელიც შარავზის ყაჩალი ვერ გახდა; ტრიფოლიატი, დიტიკო ბასილაძე და მისი „სიკვდილის ცეკვა“; ჩრდილების შემგროვებელი მხატვარი თუ სხვები...

ალბათ, ყველას შეგხვედრია ერთხელ მაინც ივლიანესნაირი მუშა, ტვირთის ზიდვას რომ თავიკლავს; მანანას მსგავსი მეზობელიც გვყავს – ის ერთადერთი ადამიანი, რომელთან შეხვედრის შემდეგაც შეუძლებელია, ხიფათს არ გადაეყარო და, მთხრობლის მსგავსად, თქვათ, ყინულზე სრიალის დროს „უკუღმართად“ არ დაეცე...

„თავი შეაბრუნა ვაგონისაკენ და თვალენაჭურჭული მიაჩერდა ყავისფერ კედელს, ცეცხლის ალისაგან გაჩენილ მოთამაშე ლანდებს.

– რა გაცინებს, შე ბოთე?!

– აბა, ეს ვართ ჩვენ?

– ეს ვართ...“

თუ დააკვირდები, იქნებ „არაფერი არ არის ადამიანი“, საერთოდ არაფერი? ან იქნებ სულაც პირიქით, ისაა ყველაფრის თავიდათავი, იგია ანცა და ჰოეც?... „მუსიკა ქარში“ – ეს მელოდიური და კეთილი ნიგნი, ამ კითხვებზე გაგცემთ პასუხს.

ოთარ ჭილაძე წერდა, რომ ორმოციანი წლების თბილისში, თითქმის ყველა ბინაში იდგა პიანინო და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს თავად სახლები გამოსცემდნენ მუსიკის ხმას. რეზო ჭეიშვილის ფაქიზ სმენასაც სწორედ ამგვარი ჰანგები სწვდება – ქარში გაბნეული, შორეული მუსიკის, რომელიც ხან ფანჯრებიდან იღვრება, ხანაც ნიავს შორიდან, შორიდან მოაქვს და ბავშვობის მოგონებებს აცოცხლებს.

ავტორს არ ასვენებს ეფუთის პოვნის სურვილი, ნიგნის, სადაც ადამიანის სიცოცხლის დასაწყისისა და დასასრულის თავი და ბოლოა განსაზღვრული; განმარტებულია ადამიანთა მოდგმის არსებობის მიზანი და დანიშნულება. ეფუთი სიბრძნისა და ჭეშმარიტების ნიგნია, რომელსაც ვერც ერთი სულიერი ვერ აგნებს, რადგან „ცისქვეშეთის საიდუმლოს გასაღები დედამიწაზე არ არსებობს“...

რეზო ჭეიშვილის მგრძობიარე ბუნება, ყველა მოთხრობაში ჩანს, თუმცა ჩემთვის, განსაკუთრებით საინტერესო და დასამახსოვრებელი

იყო „ბიძინამ რომ ბოთლი გატეხა“. ნინუცას მაგალითზე, კარგად ჩანს, რომ ადამიანებს არ ესმით ერთმანეთის და არ ენაღვლებათ ერთმანეთის გრძნობები, მეტად კი – ბავშვების, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებათ მოსმენა და გაგება. ასევე აღნიშვნის ღირსია მოთხრობა „ბიძია“ და, რა თქმა უნდა, „ლურჯი ფრინველი“, რომლის იდუმალი, მელანქოლიური აჩრდილი ნაწარმოებს ფონად გასდევს.

„ის დღეები კი, ომის, ნგრევის, გაჭირვების, ადამიანთა აღზევების და სულმოკლეობის დღეები, ჩემი ყველაზე დიდი, თბილი და სანეტარო ზმანება იყო. როცა ეს უთავბოლო სიზმარიც დამთავრდება, ფარდების ჩამოშვების წინ, გაღვიძების ჟამს, ქარში დაფანტული მუსიკის ხმა რომ მოწვდება სმენას, როცა ლურჯი ფრინველი გააკეთებს ირაოს გლუვი გორის ზედაპირზე, ყორღანიდან განთავისუფლებული ჩრდილი როცა დაეცემა მიწას, მაშინაც მხოლოდ იმ დღეებს მოვიგონებ, გავისხენებ მუდარით ჩემკენ მზირალ, ყელმოღრეცილ, თეთრ თიკანს, მშვიდი სახის ბიჭს, ხელში რომ მზით განათებული, გადაშლილი ნიგნი ეჭირა“.

სახლი, რომლის მშენებლობა არასდროს მთავრდება, სიცოცხლის წრებრუნვის უტყუარი გამონახატულებაა, ხოლო „მუსიკა ქარში“ თავად არის ცხოვრება. ნიგნში თავმოყრილია უბრალო და გულითადი ამბები, ის სანუკვარი მოგონებებია აკინძული, რომლებიც მრავალი წელია გულს უთბობს მკითხველს და კიდევ უთვალავი წლის განმავლობაში, სულს ზუსტად ისე გაუნათებს, როგორც „მზეში გადაშლილი სურათებიანი ნიგნი“.


P.S. ერთხელ, ჭეიშვილების ოჯახში მისულ ინჟინერ მარლენს, სუფრასთან მორიგი ისტორიის მოყოლის დროს, სმენადქცეული მომავალი მწერლის შემხედველს უთქვამს – ამ ბავშვს მოერიდეთ, ყველაფერს იმახსოვრებსო.

ჰო, დაიმახსოვრა და თანაც როგორ...



რეზო ჭეიშვილი





ალფრედ ჰენშკე

ალფრედ ჰენშკე (კლაპუნდი) (1890–1928)

ალფრედ ჰენშკე გერმანელი პროზაიკოსი, პოეტი და დრამატურგი იყო. 16 წლისას მას ქრონიკული ტუბერკულოზი დაემართა. ის წერდა ეროტიულ და პაციფისტურ ნაწარმოებებს, რის გამოც ძალიან ბევრი ადამიანი გადაემტერა. ჰენშკე ცხოვრების განმავლობაში უამრავ მორალურ და პოლიტიკურ სკანდალში გაეხვია და ღვთის გამოცემის გამო მოკვლითაც ემუქრებოდნენ.

1928 წელს, 38 წლის ასაკში მწერალს ფილტვების ანთება დაემართა, მდგომარეობა უკიდურესად გაუართულდა და დავოსის საავადმყოფოში მეუღლის გვერდით საწოლზე დალია სული.

\*\*\*

შპალერზე სჩანს ერთმანეთში დახვეული გველები,  
წყლიდან ანეული კობრები და კალმარები,  
ზარის ყვავილები და ბოროტ ძალებთან მეტრძოლი დრაკონები.

მათ შორის არის წვრილი ვერცხლისფერი გვიმრები  
და თითუელი მათგანი შადრევანის მსგავსად უჩინარნი, უხმაუროდ, როგორც ძველი ჭა, ყველაფერს ირეკლავენ და ელოდებიან იმას, ვინც მათ სილამაზეს ფუნჯით გადაიხატავს.

\*\*\*

მარტოსული ერთ ღამეს გზარეული შევედი ბაღში

და იქ გადავირიე: ქალაქის შუქებისგან ოდნავ ვარდისფრად შეღებილი იყო ნაცრისფერი ცა.

ჩემ გვერდზე მდინარე როგორც ძალი ნკავენკავენს. გუბებში ფეხებს ვაბაკუნებ, ქარის ქროლვის ხმა მესმის.

\*\*\*

ქარი გამხმარ ფოთლებს საფლავზე ყრის, მე ვდგავარ, როგორც შიშველი ხე, მე ძალიან მაკანკალებს, მაგრამ არ ვიმჩნევ და ამ ავდარში, კენწეროს მსგავსად, თავი ამაყად მაღლა ანეული მაქვს. მე ვირხვევი ჩიტების გამო, რომლებიც ირგვლივ დაფრინავენ და რომელთა ბუდეები ჩემს ტანზეა.

\*\*\*

შეხედეთ ჩემი სხეულის ცახცახს, ეს ალიბეჭდით გონებაში და თქვენ თავებს კითხეთ: გინდათ თუ არა, ო-სენი<sup>1</sup> თქვენი და იყოს? თეთრი მტრედეები ტრიალებენ მაღლა ცის სილურჯეში.

მტრედის გული ნანახი გაქვთ? თქვენ შეიძლება გეიშა ნახოთ, მაგრამ მის ტანჯვით გამოწვეულ ტანჯვას ვერასდროს ნახავთ!

\*\*\*

მე ვგრძნობ, რომ შენი თვალები შორიდან მიცქერენ, მე ვხედავ, როგორ გამოვიყურები შენ თვალებში და რომ იქ სამუდამოდ ვრჩები.

რალაც უნდა დავთმო – მე ცუდი ვარ, შენ კიდევ კარგი, ან წარბები მაღლა ავნიო და გავჯავრდე, როგორც თავხედი ბავშვები იქცევიან.

\*\*\*

მე მეშინია ბნელი ღამის და შენ გინდა, რომ ამ ღამეში იქ გავიარო. თითქოს არაფერი, მაგრამ მაინც რთულია ჩემთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა შენი მკერდი მეხება.

\*\*\*

გაზაფხული კვლავ ამიყვავილდა! ოჰ, ბიჭო! ოჰ, ჰიაცინტ<sup>4</sup>! განწყობა მომემატა, რადგან სასტიკი სიკვდილისადმი ლტოლვა მაქვს, მაგრამ ცელი ნაგავში ეგდო.

თაიგულს შევიბამ  
და ყველა ქართან ერთად სიმღერით გადავხტები.  
ნამოდი ჰიაცინტებო!

ლურჯო, ნითელი, კარგო ბიჭებო, იყავით ჩემი  
მხლებლები!

\* \* \*

ახ, თეთრი ცირუსის ღრუბლები  
ცის საძოვარზე ძოვენ,  
ნელ-ნელა ერთ უზომო რაოდენობის რიგს  
მეორე უზომო რაოდენობის რიგი ნახირი  
ენაცვლება

და მზე მონყენილი იყურება.

ისინი ცის ყველა სილაჟვარდეს ყლაპავენ  
და ნაზ სხივებს, როგორც ბალახებს გლეჯავენ  
მანამ, სანამ სქელი და ნაცრისფერი არ გახდებიან  
და მათი მუცლებიდან წვიმა არ წამოსკდება.

\* \* \*

კიკუნოს მკლავებში ჩამეძინა და  
შებინდებისას რომ გამომეღვიძა,  
ვაი! მე მარტო შიშველი ვინექი.

(კიკუნოს<sup>5</sup> ჩემი მოსასხამი  
ტანზე მოეცვა, რადგან აღარ დევს და...  
ის ჩემ ყველაფერს ირგებს).

სიყვარულისგან ამას თავიდან ვერ ვხვდებოდი.  
ვაი! ძალიან ნასიამოვნები ვიყავი, მაგრამ  
მან მომატყუა.

\* \* \*

ქალაღდის ლამპრის ქვეშ<sup>6</sup>  
ნება მომეცი ვიცეკვო<sup>7</sup>! ნება მომეცი ვიცეკვო!  
შეხედეთ, თავად ბონზები<sup>8</sup> მიყურებენ,  
მთვარე და ვარსკვლავები შურით ბრწყინავენ.

როგორც რვაფხას, მეთევზეების დაჭერა მინდა,  
რომლებიც ბადეებით ჩემ დაჭერას ცდილობენ...  
საკე მომანოდეთ!

\* \* \*

მინა ნაზად ენებება ჩემ ნაბიჯებს,  
ვარდის ბურქი გოდებს,  
რადგან ერთი ყვავილი მოვჭერი.

ის ბრწყინავს ჩემ შავ თმებში,  
ცეცხლის მფრქვეველი თასი, გარდაცვალების დღეს  
მან სიცოცხლის სიტკბოება გაიგო.

\* \* \*

დილა თენდება  
კასამორის ლერწმის ქოხებში.

მაღე პირველი სხივი ჩემ შუბლს გახვრეტს,  
როგორც ბურღი.

მეშინია მისი.

რომ ავდგები,  
უნდა შევამოწმო  
ჩაი თუ არის ჭურჭელში,  
საკე თუ არის კასრში,  
ჩემი სიცოცხლე მე თუ მეკუთვნის?  
აჰ,  
რა მჭირს?!

\* \* \*

ისინი, როგორც კატები, ძაღლები და ირმები,  
ნითელი და მწვანე ნიღბით და  
ნაზი თათებით დატყაპუნობენ სისხლიან თოვლში.

მე ჩემი ნიღაბი, როგორც კუბოს გადასაფარებელი  
მტკივა.

მე შევიპარე მათ რიგებში  
და შიშისგან აკანკალებული მივდევი პროცესიას;  
მათ შორის ორი ჭრელი მოცეკვავე არის,  
რომლებიც როგორც დაღლილ დაქანცულს,  
როგორც ლეშს შემომერტყნენ.

ეხლა მე ისევ ჩუმად ვდგავარ,  
შეშინებული და გაღიმებული ჩემ გულს ვუთითებ<sup>9</sup>

\* \* \*

გაზაფხულზე ვოცნებობ  
წმინდა მომღიმარ თვალებზე,  
ახალგაზრდა ქალები ნაზად მღერიან:  
გაზაფხული ჯერ ჩემთვის არ დამდგარა  
პატარებო, რის გამოც ტირილი მინდება.  
მინდა, რომ მზესთან ერთად უფრო  
ახალგაზრდულად ვანათებდე,  
მინაც ახალი იყო  
და იქ ლურჯი ყვავილები ამოიზარდოს;  
ყვავილებო,  
სიკეთე  
და ხსნა ჩვენთვისაც გადმოიღვრება.  
საკეს კასრზე  
გარედან წასმულ ლაქზე  
მზის სხივები ბრწყინავს,  
სიყვარული საკმარისია!  
მზის შუქის ხომ არ უნდა შემრცხვეს?  
მხოლოდ სიბნელეში შეგიძლია ჩემთან იყო,  
დილის შუქზე ღვინო ამღვრეული არ გახდება?

\* \* \*

ჰარუნობუმ მიმატოვა,  
ტანაბას<sup>10</sup> დღესასწაულზე  
ვინ იქნება ჩემი კაცი?

როცა წყვილები

აბრეშუმის ქალაღდის ფერად ზოლებზე  
ღანერილ სურვილებს მშვიდად ლექსების სახით  
ამბობენ,

ბამბუკის ჯოხებზე  
წითელი და ლურჯი ქალაღდები ფრიალებს და  
როგორც ჩიტების ჭიკჭიკი ისმის ქარში:  
ტანაბატა! ტანაბატა!

რას ვწერ მე?  
ვინ გადაივლის გინგაზე  
და მოვა ჩემთან?  
მე დავწერ ამ ლექსს,  
ჩაის სახლზე დავკიდებ,  
რომ ყველამ წაიკითხოს.

ვინ დამამშვიდებს?  
ის, როგორც მათხოვარი მოვა,  
ამ დროს კი ჩემი კალთა მდიდრებზე,  
რომლებიც მინასაც კი არ სურს, გაჩუქებულია.

\* \* \*

ოჰ, ჩემო პატარა კუნძულო,  
რომელიც სიყვარულის ტალღებით  
გარშემორტყმული ხარ.

ვარდისფერი ნიჟარები<sup>11</sup> წყლის ქაღში ჰყვავის,  
ნაპირებზე ეხეთქება სიყვარულის აზვირთებული  
ტალღა

და ჰორიზონტზე დელფინები და ლამაზი  
ცხოველები მზინავი შავი ზურგებით ჩანან.  
ცოცხალ არსებათა უზარმაზარი ჯაჭვი  
შენი სიყვარულის მაცნეები არის,  
რომელიც ჩემ სიღრმეში დაიბადა.

სხვა ადამიანებთან მინდა კიდევ წასვლა.  
როგორ მივალწიე?  
ზღვაში და ქარში  
ფართო ზურგიანმა დელფინებმა მიმიყვანეს.  
ისინი შენ არ გამოგზავნენ?

\* \* \*

ისწავლე თავისუფლად  
თავისუფლად ტოტზე დაკიდება  
ნაყოფის, რომელიც  
მზეზე მწიფდება,  
ასევე მოითმინე, რომ წვიმა წამოვა,  
ჩიტები წვეტიანი ნისკარტით დაგეჯახებიან  
და ყინვა ნაზ საფარველს გაყინავს.

ერთხელ შეიძლება ისე მოხდეს,  
როცა ზაფხულის ქარები დაუბერავს,  
ერთი გოგო შენ შესახვედრად წამოვა,  
ხელებს ფართოდ გაშლის  
და თბილი სიო

შენი მკერდისკენ დაუბერავს.

შენ ნაყოფის ქვეშ  
ის უმწეო ჩრდილად იქცევა.  
გახსენი კალთა,  
კანკალს დაანებე თავი  
და მასთან სექსით დაკავდი.

\* \* \*

უნდა მძულდეს მათი სუნთქვა,  
რადგან ამაზრუნენია ჩემთვის.  
ამიტომ მინდა ადამიანებს უფლება მივცე  
ქვემოთ, ცხოველებთან ჩასვლის.

კატები ღმერთები არიან,  
როდესაც ისინი ბუნებრივად მოძრაობენ.  
არავინ გაბედოთ, სიგამხდრის გამო,  
მათი დაცინვა!

გთხოვ, დამგლიჯე! გამანადგურე!  
ტოიოჰოროს ვეფხვო!  
ვერცხლისფერო-მონითალო თვალებო,  
დამაღვარე მე შენი სისხლი<sup>12</sup>.

### ორის სიმღერა: დაშორებულები

ჰარუნობუ:  
როცა მუხლს მოხრი და  
პირით სიამოვნებას მიმალებიან,  
მაშინ ვიქნები კმაყოფილი!

ო-სენ:  
ოღონდ შენთან მამყოფე  
ჰარონუბო, ვიკვნესებ  
და ჩემ სურვილს ავისრულებ  
შენთან მამყოფე!

ჰარუნობუ:  
ჩემი თვალები ეღვარებს ცივად,  
გაცხელებული ხელები კანკალებს  
და მთელი ძალით რკინის ჭიშკარზე ძვრება.

ო-სენ:  
შენ ირგვლივ მინდა ვიტრიალო!  
რატომ არსებობს ოცნება და პირადი სივრცე?  
შეხედე, ტოტებს ფართოდ ვშლი  
და დედამინა ირყევა...

\* \* \*

ღმერთმა სამყაროს ნეტარება,  
რომელიც მან თავად შექმნა,  
ისურვა განვერცო,  
რასაც ადამის ძენი ეუფლნენ,

და ხორციელად მიწად ჩამოსული  
უკუნეთში რომ  
აღმოჩნდა,  
ტყეში ნავიდა,  
იქ, სადაც გეიმა კენკრას კრეფდა.

ის უყურებდა,  
მის ფეხებს შორის მოშინაურებული ხვლიკები  
ტრიალებდნენ და  
ლამაზ ქალწულის წინაშე თავის ნაბიჯებს  
ამონმებდა.

რადგან ვისაც ცხოველები ენდობიან,  
ამქვეყნიური წმინდანი არის  
და მას არ ჭირდება ცის  
სილაყვარდეში ფრთების გამოსხმა.

ქალწული იდგა გაოგნებული და ბედნიერი,  
მას გამბედაობა მოეძალა და გალმობიერდა.

შემდეგ გეიმა ხავსებში ჩაიძირა,  
მის წინაშე რომ მოხრილიყო,  
როგორც დიდი არწივი,  
და ზურგზე აცეკვდა.

\* \* \*

ჩემთან რომ ვინმე დაწვეს,  
არ არის საჭირო ჩემი მეგობარი იყოს!  
ყველა ბნელი გზები  
ლამით სიყვარულში ერთმანეთს უერთდებიან.

\* \* \*

ახლა ისევ ვდგავარ ჰიგურამის ხიდზე  
მიყრდნობილი.  
როგორც ყოველთვის, ეხლაც ჩემი სული არის  
მთებს შორის!

როგორც ჩემი ოთახის კედლები,  
ისინი თავაზიანები არიან ჩემდამი  
და ცაზე ლურჯ მოოქროსფერო სახურავს  
ჰქმნიან.

ხიდის მოაჯირო, იყავი მაგიდა და სკამი ჩემთვის!  
ფუნჯო, ტაეპი დამაწერიწე!  
ო, არ გადავარდე უცბად ტალღებში!  
სასონარკვეთილი ვიყურები ქვემოთ,  
სადაც ჩემი გული მკვდარ ჭრიჭინას ძირს აგდებს.

1) გეიმა ო-სენი რეალურად არსებობდა მეთვრამეტე საუკუნეში, უფრო ზუსტად 1745-1780 წლებში. ის ქალაქ კასამიროში ჩაის სახლში მუშაობდა და თავის სილამაზის გამო საკმაოდ პოპულარული იყო. მას ჰყავდა უამრავი საყვარელი, მათ შორის მსახიობი კიკუნოჯო, მეორე – ლამაზი იედოში, საკმაოდ პოპულარული ტკბილეულობის გარემოვაჭრე დოჰაი და მესამე – ხეზე კვეთის ოსტატი სუძუკი ჰარუნობუ, რომელიც გეიმას საკუთარ მოდელად იყენებდა. გეიმას ყველაზე მეტად

ეს უკანასკნელი უყვარდა. გეიმა ოსენის დაბადების და გარდაცვალების შესახებ არანაირი ცნობა არ არსებობს.

2) ეს მოკლე ლექსი კლაბუნდმა ოირან<sup>3</sup> ტსუტსაკის მიუძღვნა.

3) ოირანები – ამომავალი მზის ქვეყანაში ძველთაგანვე მრავლად იყვნენ პროფესიონალი მეძავი-ოირანები. იაპონია დანარჩენი სამყაროსთვის 1850-იანი წლებიდან „გაიხსნა“, თუმცა ამის შემდეგაც ათეული წლების მანძილზე მომავალი ეკონომიკური სუპერსახელმწიფო ძალიან ღირებულ ქვეყანად რჩებოდა. ცოტასლა ახსოვს ახლა, რომ „საექსპორტო პროსტიტუცია“ მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში იაპონიის ბიუჯეტში უცხოური ვალუტის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა. დაახლოებით 1900 წლისთვის, როცა ამ ბიზნესმა პიკს მიაღწია, მეძავი იაპონელების გადარიცხვებს მთელ სავალუტო შემოსავლებში მესამე ადგილი ეჭირა. იაპონელი მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონები, რომლებიც „კარაიუკი სან“-ის (ანუ საზღვარგარეთ გამგზავრებულების) სახელით იყვნენ ცნობილი, შრომობდნენ მთელს აზიაში, სიდნიდან ვლადივოსტოკამდე და შანხაიდან – სინგაპურამდე. ჩვეულებრივ, ისინი მუშაობდნენ იაპონელთა მფლობელობაში არსებულ ბორდელებში. როგორც წესი, მათ არ იცოდნენ ადგილობრივი ენები. მსგავსი დანესებულების სტუმრობის „ბედნიერება“ შორეულ აღმოსავლეთში ჰქონდა მწერალ ანტონ ჩეხოვს, რომელმაც იაპონელი „სპეციალისტის“ მომსახურების მაღალი დონე აღნიშნა.

4) ჰიაცინტი (ძვ. ბერძნ. Ἱάκινθος) – ბერძნულ მითოლოგიაში სპარტელი მეფის, ამიკლეს და დიომედის ვაჟი (მეორე ვერსიით პიერის და კლიოსი). მომღერალი, არაჩვეულებრივი სილამაზის მქონე ყმანვილი, აპოლონისა და ზეფირის საყვარელი.

ერთხელ, როდესაც აპოლონი და ჰიაცინტი დისკოს ტყორცნაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ეჭვიანმა ზეფირმა აპოლონის ნატყორცნი დისკო ჰიაცინტისკენ შეაბრუნა და თავი გაუპო. იმ ადგილას, სადაც ჰიაცინტის სისხლის წვეთები დაეცა, ამოვიდა ყვავილი ჰიაცინტი (ჰიაცინტი შრომანისებრთა ოჯახის ბოლქვიანი მცენარეა. მისი სამშობლო ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნები და აზიაა. მისი უამრავი სახეობა არსებობს, ულამაზესი ფერებით და გამორჩეული ფორმის ყვავილებით, საუკეთესოა როგორც ღია გრუნტში, ასევე სახლის პირობებშიც. სილამაზესთან ერთად ის საუკეთესო სურნელითაც გამოირჩევა).

5) კიკუნო მეორე. ისევე როგორც სხვა კიკუნოები, კაბუკის თეატრში ასრულებდნენ ქალის როლებს. კიკუნო მეორე ცნობილი გახდა პოეტი ქალის როლებით.

6) ამ სიმღერის ინსპირაცია 1730 წელს ნიჰიკავა სუკენობუს მიერ შექმნილი ნახატი „ქალაღდის ლამპრის ქვეშ მოცეკვავე“ არის.

7) ობონის ფესტივალი (お盆, ასევე ცნობილი როგორც ბონის ფესტივალი) არის ყოველწლიური იაპონური დღესასწაული, რომლის დროსაც ხდება გარდაცვლილი წინაპრების გახსენება. ითვლება, რომ მათი სულები ამ დროს ბრუნდებიან ნათესავების მოსანახულებლად. ამ დროს ეზოში ჩოჩინი (ქალაღდის) ლამპრები კიდია, რომლებიც, როგორც იაპონელებს სწამთ, ეხმარებიან გარდაცვლილებს ამ ქვეყნად საკუთარ ნათესავებთან მისვლაში და ლამპრების მოცეკვავეები ცეკვავენ სპეციალურ ცეკვებს (ლამპრის ქვეშ ცეკვა დიდ პატივად ითვლება). ობონის ფესტივალის დროს მთელი ნათესაო-

ბა იკრიბება საფლავზე, სადაც (შემდეგ სახლში) მიირთმევენ სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებულ საჭმელებს. ზოგიერთი მიდის მონასტერში და იქ ესწრება წირვას.

8) ბონზა იაპონიასა და ჩინეთში – ბუდისტების მღვდელი ან მონაზონი.

9) ალუბლების ყვავილობის დროს იედოში იმართებოდა ფესტივალი (ორგია), ქუჩის ადღუმი, რომელშიც მონაწილე ოირანები ლამაზად მორთულ-მოკაზმულები იყვნენ.

10) ტანაბატა და ჰიკობოში არიან ვარსკვლავები (მათი სახელები ქართულად ითარგმნება როგორც მქსოველი ქალი და მწყემსი), რომელთაც იაპონური მითოლოგიის მიხედვით ერთმანეთი უყვართ, მაგრამ ერთმანეთთან გინგას (რძის გზა, ანუ ირმის ნახტომი) წყალობით დაშორებულნი არიან და წელიწადში ერთხელ

– მეშვიდე თვის მეშვიდე ღამეს ერთმანეთს ხვდებიან. ამ დღეს აღინიშნება ტანაბატას დღესასწაული, რომლის დროსაც წყვილები აღთქმას თავიდან დებენ, შემდეგ ჭრელ ფურცლებზე წერენ სასიყვარულო ლექსებს, სიყვარულით გაჟღენთილ სიტყვებს, ბამბუკის ჯოხებზე კიდებენ, ამ ჯოხებს სახურავზე ამაგრებენ და როგორც დროშები ქარში ფრიალებს.

11) ვარდისფერი ნიჟარები იაპონურად Nadeshiko-gai, იხმარება მოულოდნელი ბედნიერების აღსანიშნავად, რომელიც ძნელად საპოვნელი არის.

12) ტოიპოროს ნახატის მიხედვით შექმნილი სიმღერა.

**გერმანულიდან თარგმნა გიორგი ვარამაშვილმა**

**მერიკა კოპიაშვილი**

**ალექსანდრე შავერზაშვილი – 105**

თარიღი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით (საპაატაიო თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი, თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე) გაიმართა ლია მაისურაძის მხატვრული ქარგვის ფერმწერის პერსონალური გამოფენა, რომელიც მიეძღვნა გამორჩეული ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის, კონსერვატორიის პრორექტორის, თვალსაჩინო პედაგოგის ალექსანდრე შავერზაშვილის 105 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს.

ალექსანდრე შავერზაშვილის შემოქმედებასა და მის ოჯახურ ფენომენზე ისაუბრა მუსიკოლოგიის დოქტორმა თამარ წულუკიძემ: „სიმბოლურია, რომ ეს საიუბილეო საღამო იმართება სწორედ ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, ბატონი ალექსანდრეს პიროვნება თავისი ღირსებებით შეესაბამება ამ გარემოს. ამაში იგულისხმება ინტელექტურობა, აკადემიზმი, კამერულობა, სისადავე. ალექსანდრე შავერზაშვილი გამორჩეული იყო თავისი პროდუქტიულობით, მუსიკალური ხელოვნების თითქმის ყველა ჟანრის ავტორი იყო: ოპერების, სიმფონიური ნაწარმოებების, ინსტრუმენტული კონცერტების, კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებების. სწორედ ეს უკანასკნელი გახდა მისი შემოქმედების მთავარი სფერო. სამწუხაროა, რომ დღეს ვერ ესწრება ა. შავერზაშვილის შემოქმედების მკვლევარი დოდო გოგუა, რომელიც თავის გამოკვლევებში აღნიშნავს, რომ მისი შემოქმედებითი გზა იმ პროცესებს ირეკლავდა, რაც გაიარა ქართულმა პროფესიულმა მუსიკამ 50-იანი



წლებიდან მოყოლებული 90-იან წლებამდე. დიდი წარმატება ხვდა წილად კომპოზიტორის ნაწარმოებებს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ: ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩეხეთში, რუმინეთში და სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1971 წელს გერმანიაში მისი სავიოლინო კონცერტი მარინა იაშვილის ბრწყინვალე შესრულებით.

ალექსანდრე შავერზაშვილის შემოქმედებასა და მის პიროვნულ თვისებებზე საინტერესოდ ისაუბრა მუსიკოლოგმა. ყურადღება გაამახვილა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარის ნანა ჭიჭინაძის მიერ გამართულ პროექტებზე ეროვნულ ბიბლიოთეკაში: „მივესალმები მის აქტიურ კულტურულ მოღ-



ალექსანდრე შავერზაშვილი

ვანოვას; ძალიან კარგ შინაარსიან სალამოებს გვთავაზობს. დღევანდელი საიუბილეო საღამო გამორჩეულია. დღეს ქალბატონმა ნანამ ქართული კულტურის ნარსული და აწყობა დააკავშირა. ორი მაღალი უნიჭიერესი მოღვაწის შემოქმედებას გვაზიარა. ნარსული დროის გამორჩენილი კომპოზიტორის ალექსანდრე შავერზაშვილის და ჩვენი დროის მხატვრული ქარგვის ფერმწერის ლია მაისურაძის ხელოვნებას, აღფრთოვანებული ვარ მისი ნაქარგებით, დახვეწილი გემოვნებით, ოსტატობით და ფერთა შესანიშნავი შეხამებით.

ალექსანდრე შავერზაშვილი დიდებული საკომპოზიტორო დინასტიის ღირსეული გამგრძელებელია. მისი მამა ვასილ შავერზაშვილი XX საუკუნის პირველ ნახევარში აქტიურად მოღვაწეობდა მუსიკალურ სფეროში. იგი ქართული მუსიკალური ესტრადის ფუძემდებელი იყო.

თამარ შავერზაშვილი ალექსანდრეს მამიდა ერთ-ერთი პირველი ქართველი კომპოზიტორი იყო. მისი სიმღერა რომანსები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ალექსანდრე შავერზაშვილის უმცროსი და ლილი შავერზაშვილი (ნოე სულაბერიძის დედა) ასევე ძალიან ნაყოფიერი კომპოზიტორი იყო. შავერზაშვილის ჩინებულ დინასტიას ღირსეულად აგრძელებს მისი შვილი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე გოგა შავერზაშვილი.

მოგონებებით გამოვიდნენ მუსიკოლოგი ლალი კაკულია, კომპოზიტორი თამარ ვაშაკიძე, რომელიც ა. შავერზაშვილის მოსწავლე იყო, საქართველოს სახალხო არტისტი, კონსერვატორიის პროფესორი და პედაგოგი ელდარ გენაძე; მან „ოქროპირის“ არია შეასრულა 44 წლის წინ დაწერილი ოპერიდან „ჭიაკონონა“, კონცერტმაისტერი – დარეჯან მახაშვილი.

საიუბილეო საღამოზე მოწვეული ხელოვანები, მეცნიერები, მელომანები, კონსერვატორიის პროფესორ-მოსწავლეები, დედოფლისწყაროს მნიგნობართა ასოციაციის წევრები დიდი ოვაციით შეხვდნენ იუბილარის შვილს გოგა შავერზაშვილს, რომელმაც მამის შემოქმედებიდან, როგორც ძველი, ისე ახალი საფორტეპიანო ნაწარმოებები შეასრულა. დიდი მონონება დაიმსახურა გოგა

შავერზაშვილს და პიანისტ ლანა გულდედავას მიერ ოთხ ხელში შესრულებულმა საფორტეპიანო ნაწარმოებებმა. ახალგაზრდა უმშვენიერესმა ვოკალისტმა ლასკალას სოლისტმა სოფო შალამბერიძემ იმღერა „ჭრიჭინას“ არია ოპერიდან „მარინე“, ალექსანდრე შავერზაშვილის ყოფილმა სტუდენტმა, კომპოზიტორთა კავშირის წევრმა ლია ორაგველიძემ თავისი ორი საფორტეპიანო ნაწარმოები პრელუდია „ნოსტალგია“ და რომანსი „მონატრება“ მომღერალ ნაზი სარჯველაძის შესრულებით მიუძღვნა თავის უსაყვარლეს მასწავლებელს.

დიდი მონონება ხვდა წილად გოგა შავერზაშვილის მიერ შესრულებულ ლირიკულ პიესას. მსმენელი სუნთქვაშეკრული უსმენდა იუბილარის ჰანგებით მოვარაყებულ მუსიკის ბრწყინვალეობას.

საიუბილეო საღამოს ფონად გასდევდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხატვრული ქარგვის დიდოსტატის, ნამდვილი ფერმწერის ლია მაისურაძის პერსონალური გამოფენა. იგი 24 ნამუშევრით ნარსდგა ეროვნულ ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში და წარუშლელი შთაბეჭდილობა დატოვა დამთვალიერებლებზე.

საიუბილეო საღამოს დასრულებამდე კომენტარი ვთხოვე გაზეთ „ბორჯომის“ კორესპონდენტს ქალბატონ **დალი ქურდაძეს**: ბორჯომში კომპოზიტორთა სახლში 70-იან 90-იან წლებში ჩამოდიოდა ალექსანდრე შავერზაშვილი, სადაც იმართებოდა მუსიკალური ფესტივალები. ერთმანეთს ხვდებოდნენ საკავშირო მნიშვნელობის კომპოზიტორები ბალტიისპირეთიდან, შუა აზიის ქვეყნებიდან; აქვე იმართებოდა გალა-კონცერტები, პირადად მაქვს მოსმენილი ალექსანდრე შავერზაშვილს სიმფონიური ციკლი „ხმა იდუმალი“ (ბარათაშვილის ლექსებზე). ეს იყო დაუვინყარი ოქროს ხანა ბორჯომისათვის.

**მაყვალა ხორბალაძე** – კომპოზიტორი: კონსერვატორიაში ჩემი სტუდენტობის პერიოდში ალექსანდრე შავერზაშვილი პრორექტორი იყო, მას უაღრესად თბილი დამოკიდებულება ჰქონდა სტუდენტებთან. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული პედაგოგის უსაყვარლესი მოსწავლეები იყვნენ: ბ. კვერნაძე, ვ. აზარაშვილი, ვ. გენაძე, და სხვები. მეამაყება, რომ ჩემი შემოქმედებითი საღამო კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის გოგა შავერზაშვილის და კომპოზიტორ მარიკა კვალაშვილის ძალისხმევით გაიმართა კომპოზიტორთა კავშირის საკონცერტო დარბაზში, სადაც შესრულდა ჩემი დაწერილი საგალობლები და საფორტეპიანო ნაწარმოებები ოპერის ნამყვანი სოლისტების: არმაზ დარაშვილის, სულხან გველესიანის, ელენე ჯანჯალიას და სხვების მონაწილეობით.

**ქეთევან მჭედლიშვილი** – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის „ხალხთა მეგობრობის“ მუზეუმის დირექტორი: ლია მაისურაძის ნაქარგებმა საყოველთაო აღტაცება გამოიწვია დამთვარი-



ნინო მესხი (გ. შავერზაშვილის მეუღლე), ლია მაისურაძე, გოგა შავერზაშვილი, ნანა ჭიჭინაძე.

ელებლებში. ლიას ოცნებაა გამთლიანებულ საქართველოში მის მშობლიურ აფხაზეთში მოაწყოს გამოფენა.

**ნანა ბროძელი** – ეკონომიკის დოქტორი, მელომანი: კლასიკური მუსიკის შესაძლებლობები ადამიანის სულისა და გონების განვითარებისთვის უსაზღვროა და ვერავითარი სხვა ფაქტორი ვერ შეედრება. ისინი ვინც სიამოვნებით უსმენენ ბახს, ბეთხოვენს, შოპენს, ლისტს და სხვა გენიოსებს, ფლობენ სამყაროსთან კონტაქტის უდიდეს უნარს.

მუსიკა განსხვავებული ენაა, ისე როგორც მწერლები და პოეტები სიტყვით გადმოსცემენ ადამიანის უფაქიზეს გრძნობებს, კომპოზიტორები მუსიკის საშუალებით ხატავენ სამყაროს; ამისი ნათელი მაგალითია ალექსანდრე შავერზაშვილი შემოქმედება, რომლის დახვეწილმა მუსიკამ თითოეულ მსმენელს უსაზღვრო სიამოვნება მოგვანიჭა ლია მაისურაძის პერსონალურ გამოფენასთან ერთად. ლიას შემოქმედებას ვიცნობდი ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯიდან“. მოხარული ვარ, რომ პირადად გავიცანი და ჩემი თვალთვინაზე მისი შესანიშნავი ნამუშევრები.

საიუბილეო საღამოს დასასრულ გოგა შავერზაშვილმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა პროექტის ორგანიზატორს, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ზურაბ ანჯაფარიძის პრემიის ლაურეატს და ოქროს მედლის მფლობელს ქალბატონ ნანა ჭიჭინაძეს, საიუბილეო საღამოს წამყვანს მუსიკოლოგიის დოქტორს თამარ წულუკიძეს, ნაქარგების დიდოსტატს, თამარიონის ენდელმის მფლობელს ლია მაისურაძეს, საიუბილეო საღამოში მონაწილე პროფესიონალ მუსიკოსებს და დამსწრე საზოგადოებას.



ნანა ჭიჭინაძე

**„საქართველოს გულგულს“  
დავინყება არ უნარია**

2024 წლის 15 მაისს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მზიურში“ გაიმართა სახელგანთქმული მომღერლის, საქართველოს სახალხო არტისტის ვანო სარაჯიშვილის საღამო, რომელზეც აღინიშნა მისი დაბადებიდან 145 და გარდაცვალებიდან 100 წელი.

პროექტის ხელმძღვანელი გახლდათ ივანე გალუაშვილი, რეჟისორი – ზაზა აგლაძე. საიუბილეო საღამოში მონაწილეობდნენ ოპერის ცნობილი წამყვანი სოლისტები: თემურ გუგუშვილი, არმაზ დარაშვილი, სულხან გველესიანი, რამაზ ჩიკვილაძე, მარიკა მაჩიტაძე, მაკა ასპანიძე, ირაკლი მურჯიკენელი, ალექსანდრე თიბელაშვილი, გიორგი მოციქულაშვილი, გურამ პაატაშვილი, დავით ჯიმშელიშვილი. კონცერმალისტერები: ირინა აივაზოვა, მაია რეხვიაშვილი.

საიუბილეო საღამო გაიხსნა ანსამბლ „რუსთავის“ წევრის მიხო ჯავახიშვილის სიმღერით „გასწიე ხარო გუთანო“, ვინც დარბაზიდან შემოვიდა ანთებული კელაპტრით, რომელიც დაამაგრა სცენაზე ვანო სარაჯიშვილის საგრიმირო ოთახში დადგმულ შანდალზე.

საიუბილეო საღამოს წამყვანი გახლდათ უმშვენიერესი მარი ბაგრატიონი, რომელმაც სამი საათის განმავლობაში გვაშთაბრუნა ვანო სარაჯიშვილის სამყაროში.

ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ ერთ-ერთ მკითხველს ვთავაზობ სცენარს, რომელიც წარმოგვიდგინა საღამოს წამყვანმა, ჟურნალისტმა – ქალბატონმა მარი ბაგრატიონმა; მისალმე-

ბის შემდეგ თავისი მომხიბვლელი ხმით განაგრძო: „როგორც ხედავთ, ჩვენ ვანო სარაჯიშვილის საგრიმიორო ოთახში ვიმყოფებით. ვანო სარაჯიშვილი ქართველი ხალხის უსაყვარლესი მომღერალი და ქართული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. იგი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა, ხალხმა მას „საქართველოს ბულბული“ უწოდა“. მარომ გრამაფონი ჩართო და სპეციალურად დამონტაჟებულ ეკრანზე შემოგვთავაზა ვანოს ჩანაწერი სიმღერა „მზე აღარ ბრწყინავს“.

ვანო 1879 წლის 1 მაისს დაიბადა ქალაქ სიღნაღში, პედაგოგის ოჯახში. იგი მე-11 შვილი იყო და როგორც ამბობენ ლაპარაკი და სიმღერა ერთად შეისწავლა. იგი თავის ძმებთან ერთად მგალობელთა გუნდში გალობდა. სწორედ გალობამ მისცა შემოქმედებითი ბიძგი, რომ მომავალში საკუთარი გზა გაეკვალა ხელოვნებაში და თვითმყოფადი ადგილი დაემკვიდრებინა.

ირაკლი მურჯიკნელმა ვანოს რეპერტუარიდან შემოგვთავაზა სიმღერა „ოდესაც გიცქერ“.

8 წლის ვანოს მამა გარდაეცვალა, ამიტომ მისი ოჯახი იძულებული გახდა სიღნაღიდან თბილისში გადასულიყო საცხოვრებლად. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისი მთელი კავკასიის მთავარ ქალაქად და მუსიკალური კულტურის ცენტრად იყო გადაქცეული.

1851 წელს თბილისში იტალიური ოპერის დასი დაარსდა იტალიელი მომღერლების და დირიჟორ ბარბიერის ხელმძღვანელობით. 12 აპრილს დასმა დიდი სანახაობა მოაწყო. პირველი განყოფილება კონცერტს დაეთმო, ხოლო მეორე კი – მეჯლისს. იტალიური ოპერის ხალხში პოპულარიზაციის მიზნით მეჯლისმა ორკესტრთან ერთად ქუჩებში გადაინაცვლა. სეზონი ნოემბერში გ. დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმურის“ ოპერით გაიხსნა, მას მოჰყვა ჯ. ვერდის „ერნანი“, ვ. ბელინის „ნორმა“, ჯ. როსინის „სევილიელი დალაქი“, ჯ. ვერდის „რიგოლეტო“. წარმოდგენები ქარვასლის შენობაში ანშლაგით მიმდინარეობდა. მთელი თბილისი იტალიურმა ოპერამ მოიცვა. ყარაჩოლელებიც კი იტალიურად მღეროდნენ იტალიურ რომანსებს. გადმოქართულების ინიციატორი მომავალში სწორედ ვანო სარაჯიშვილი გახლდათ.

ვანო სარაჯიშვილი 1887 წლიდან სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. აქვე მღეროდა მოსწავლეთა გუნდში. 1898 წელს შევიდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში (ჩელოს კლასი). 1898-1900 წლებში ქართული ხალხური გუნდის ხელმძღვანელი იყო ს. კავსადე. 1903 წელს ვანო მიემგზავრება პეტერბურგში და სიმღერას სწავლობდა ჯერ ი. პრიანიშნიკოვთან, შემდეგ პანაევ-კარცევასთან. სარაჯიშვილის დებიუტი შედგა 1907 წელს პეტერბურგში ჯ. ვერდის ოპერა „ტრავიატაში“. პარალელურად იტალიაში კასტელანოს ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ბელკანტოს ხე-

ლოვნებას. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ერთ-ერთ წვეულებაზე ვანოს ნამღერი ილია ჭავჭავაძეს მოუსმენია, გაოცებული ვანოს ხმით და პეტერბურგში სწავლის გაგრძელება შეუთავაზებია. ვანოს ფული არ ჰქონია; ილია ჭავჭავაძეს ბანკიდან დაუნიშნა სტიპენდია, პეტერბურგში გაამგზავრა და სწავლაც დაუფინანსა. პეტერბურგში ყოფნის დროს ვანო აკაკი წერეთლის ვაჟმა განთქმულმა იმპრესარიო ალექსანდრე წერეთელმა მიიწვია ახალი ოპერის დასში, სადაც მღეროდნენ იმდროინდელი ოპერის ვარსკვლავები, მათ შორის ფიოდორ შალიაპინი, რომელმაც ვანოს რეკომენდაცია გაუწია მილანის თეატრ ლა-სკალაში; შალიაპინი და სარაჯიშვილი ერთად მღეროდნენ თბილისისა და მილანის საოპერო თეატრების სცენაზე.

ვანომ შეისწავლა იტალიური და ფრანგული ენები და გასტროლებს მართავდა ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. იტალიელებმა იგი თავისიანად მიიღეს და სიყვარულით „სარაჯინი“ შეარქვეს. იტალიაში მისი თავბრუდამხვევი წარმატება მის იქ დარჩენას მოასწავებდა, მაგრამ ყველასათვის გასაოცრად ვანომ უარი თქვა უცხოეთში დარჩენაზე და თბილისის ოპერაში იმღერა ვერდის ოპერებში „ტრავიატა“ და „რიგოლეტო“ მთავარი პარტიები – ალფრედო და ჰერცოგი. ეს ერთ-ერთი საყვარელი როლი გახლდათ მის საოპერო რეპერტუარში. თავად ვანოც ხომ ჰერცოგს ჰგავდა...

ვანოს სპექტაკლებზე თბილისის ოპერის თეატრში ყველა წარმოდგენა სრული ანშლაგით მიმდინარეობდა. ერთ-ერთი სპექტაკლის დროს უბილეთოდ დარჩენილმა მაცურებელმა თეატრის ვესტიბულის მოაჯირი გადათელა და ტალღასავით შეიჭრა დარბაზში, რომ ვანოსთვის ესმინათ. სპექტაკლის შემდეგ აჟიტირებული პუბლიკა თავის კუმირს ქუჩაში ელოდებოდა, ხელში აჰყავდათ და სახლში მიჰყავდათ. ვანომ სიცოცხლეშივე საოცარი პოპულარობა მოიხვეჭა. მის თავყვანისმცემელ ქალბატონებს „სარაჯისტებს“ ეძახდნენ. გოგონებს მის დანახვაზე გული მისდიოდათ.

ოპერის მომღერლებმა ვანო სარაჯიშვილის რეპერტუარიდან შეასრულეს ის არიები, რომლებსაც თავად ვანო მღეროდა. დახვეწილი ვოკალური ოსტატობით იმღერა თემურ გუგუშვილმა ჯაკომო პუჩინის ოპერიდან „ტოსკა“ კავარადოსის პარტია. ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“ დუეტი შემოგვთავაზეს არმაზ დარაშვილმა და სულხან გველესიანმა. ამავე ოპერიდან ეთერის არია ბრწყინვალედ შეასრულა ულამაზესმა სოპრანო მაყვალა ასპანიძემ. ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერიდან „დაისი“ „თავო ჩემოს“ პარტიის უზადლო შემსრულებელმა არმაზ დარაშვილმა დარბაზი დაიპყრო. გულში ჩამწვდომი იყო ირაკლი მურჯიკნელის, მარიკა მაჩიტაძის, რამაზ ჩიკვილაძის, ალექსანდრე თიბელაშვილის და სხვების ნამღერი. მაცურებელი ხანგრძლივი აპლოდისმენტით აჯილდოვებდა თი-



თოეულ მათგანს.

ქალბატონმა მარი ბაგრატიონმა დამსწრეთ იმდროინდელ თბილისურ პრესაში დაბეჭდილი რეცენზიები გააცნო: „ქართული ოპერის შექმნის გამომწვევი მიზეზი ჩვენი საყვარელი ვანო სარაჯიშვილია“, – ამბობდა თურმე ზაქარია ფალიაშვილი.

„როცა მღერის ვარდის ფურცლის ხავერდი აქვს ხმაში. თქვენ საქართველოს ნამდვილი ბულბული ბრძანდებით“, – ეს სიტყვები აკაკი წერეთელს ეკუთვნის.

„სარაჯიშვილი განსაკუთრებული ხელოვანია, რომელსაც შეიძლება დაუსრულებლად უსმინო, იგი ესთეტიკურ აღტაცებას იწვევს მსმენელში“, – წერდნენ იმდროინდელი გაზეთები.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა, საქართველოს სახალხო არტისტმა, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ლეგენდარულმა მომღერალმა, ზ. ფალიაშვილის პრემიის ლაურეატმა – თემურ გუგუშვილმა დარბაზს ამცნო სასიხარულო ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ სიღნაღში წლების მანძილზე ვანო სარაჯიშვილის ყოფილ სახლმუზეუმში აფთიაქი იყო გახსნილი; ვანო სარაჯიშვილის ქომაგის, ცნობილი მომღერლის გელა ქოქიაშვილის დიდი ძალისხმევით აფთიაქს დააცლევინეს ის ფართი და იქ კვლავ ფუნქციონირებს მომღერლის მუზეუმი. ბატონმა გელამ გამოსცა წიგნი ვანო სარაჯიშვილის შესახებ, რომლიდან რამოდენიმე რჩეული ადგილი დამსწრეთ ბატონმა თემურმა გააცნო. მან მაყურებელს ასევე მოუთხრო იმ 40 პარტიის შესახებ, რომლებიც ვანო სარაჯიშვილის რეპერტუარში იყო.

„პირადად მე ვარ ვანო სარაჯიშვილის ფონდის ხელმძღვანელი, რამდენ ბიზნესმენს ვთხოვე თანხის ჩარიცხვა ფონდში, რათა ახალგაზრდა ვოკალისტებისათვის შეგვეწყობა ხელი კონკურსებში მონაწილეობისათვის, მაგრამ სამწუხაროდ ყველამ უარი მითხრა...“

თავად ვანო სარაჯიშვილს ისე უჭირდა, რომ პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად ვერ მიდიოდა, ვიდრე დიდმა ილია ჭავჭავაძემ მას სათავადაზნაურო ბანკიდა სტიპენდია არ დაუნიშნა...“

საიუბილეო საღამოს დასასრულს პროექტის ხელმძღვანელმა ივანე გალუაშვილმა მადლობა გადაუხადა სპონსორებს, თბილისის მერიას, კონცერტში მონაწილე ოპერის მომღერლებს, რეჟისორს, კონცერტმაისტერებს და დამსწრე საზოგადოებას.

კომენტარი ვთხოვე საიუბილეო საღამოზე სპეციალურად ჩამოსულ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელს ლალი გურასპაულს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნო-



ვანო სარაჯიშვილი

ბართა ასოციაციის პასუხისმგებელ მდივანს მარია პოპიაშვილს, რომლებმაც ოპერის ბაღში ყვავილებით შეამკეს „საქართველოს ბულბულის“ – ვანო სარაჯიშვილის საფლავი.

**ლალი გურასპაული:** ქართველი ხალხის უსაყვარლესი მომღერალი ვანო სარაჯიშვილის ვიდუკოლაჟს თვალს ვადევნებდი და მისმა დახვეწილმა ვოკალურმა ოსტატობამ და ნათელმა სცენურმა ნიჭმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში. იგი გადაღებულია ქართული კინოფილმში „მამის მკვლელები“ საქართველოს კინოვარსკვლავთან ნატო ვაჩნაძესთან ერთად. საამაყო რომ ორივე კახეთის მხარის ღვიძლი შვილები არიან, სიღნაღს ამშვენებს ვანო სარაჯიშვილის და გურჯაანს – ნატო ვაჩნაძის სახლმუზეუმში.

**მარია პოპიაშვილი:** საღამოს წამყვანმა მარი ბაგრატიონმა სცენაზე დამონტაჟებულ ეკრანიდან წარმოგვიდგინა ლონდონში აღმოჩენილი ანზორ ერქომაიშვილის ჩანაწერი. ამ დედნების მეშვეობით ნოდარ ანდლულაძემ ალადგინა პირველადი სრულყოფილი ხმოვანება, საკონცერტო დარბაზში ჟღერდა ვანო სარაჯიშვილის მიერ შესრულებული საოპერო არიები.

საიუბილეო საღამოში მონაწილე ოპერის მომღერლებმა სცენაზე ცეცხლი დაანთეს. მაყვალა ასპანიძემ და არმაზ დარაშვილმა, რომლებიც ვარდობის თვეში არიან დაბადებულები და მართლაც რომ ვარდის სურნელი ასდის მათ ხმას. XIX საუკუნეში თუ ვანოს ხმით იყვნენ მოხიბლული ოპერის მსმენელები, XXI საუკუნეში არმაზ დარაშვილის და მაყვალა ასპანიძის მიერ შესრულებული არიებმა ზ. ფალიაშვილის გენიალური ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ კიდევ ერთხელ უკვდავყვეს თავისი არაჩვეულებრივი ხმის ტემბრითა და შესრულებით.

## ნაზი ბალხამიშვილი

ილია ნიშნიანიძე –  
ღვანულმოსილი ხელოვანი

ჩვენო ძვირფასო მკითხველო, მინდა გესაუბროთ ღვანულმოსილი პიროვნების, რეჟისორის, ისტორიკოსის, ბიბლიოგრაფის ბატონ ილია ნიშნიანიძის შესახებ, რომლის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი სხვადასხვა სტატია, მონოგრაფია, პიესები... ასევე გახლავთ ავტორი წიგნებისა: „გარეჯის უდაბნო“, „ოკრიბა“, „ცუცხვათი“, „მინდა წამიკითხონ“ და სხვა. გამოსაცემად მზად აქვს არაერთი ნაშრომი. იგი წლების განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოღვაწეობდა: ტყიბულში, გარდაბანში, ნითელწყაროში (ახლანდელი დედოფლისწყარო) და თბილისში. მან თავისი შემოქმედებით ყველგან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა.



ილია ნიშნიანიძე

ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. არის ნიშნიანიძეთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე. სოფელ ცუცხვათში დააარსა ეთნოგრაფიული მუზეუმი. ბატონი ილია მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია. მან როგორც ისტორიკოსმა შეძლო ის, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2015 წელს ცუცხვათის ციხეს მიანიჭა ძეგლის სტატუსი. ეს ის ციხე გახლავთ, რომლის სარდაფშიც არგვეთის მთავრები წმინდა დავით და კონსტანტინე 10 დღის განმავლობაში ყავდათ ჩამწყვდეული.

ბატონი ილია გახლავთ დამდგმელი რეჟისორი სპექტაკლებისა: „წმინდანები ჯოჯოხეთში“, „პატარა კახი“, „ვაჟა-ფშაველა – ეტიუდები“, „ოთარაათ ქვრივი“, „ძუნწი“, „გაყრა“, „გამოკეტილი ჭიშკარი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „იტალი-



ური ეზო“ და სხვა. დღესაც სიამოვნებით იხსენებენ დედოფლისწყაროელები მის მიერ დადგმულ სპექტაკლებს და მის მოღვაწეობას. ილია ნიშნიანიძემ ნითელწყაროში (დღევანდელი დედოფლისწყარო) მოღვაწეობა დაიწყო 1972 წელს, როგორც წ/წყაროს კულტურის სახლთან არსებული თეატრალური დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა. პარალელურად კულტურის სახლთან ჩამოაყალიბა ხალხურ საკრავთა ანსამბლი. ასევე მუშაობდა სკოლა-ინტერნატში ქორეოგრაფად და პირველ საშუალო სკოლაში მუსიკის მასწავლებლად. 1974 წელს ნითელწყაროს რაიკომის მდივნის გ. ლოლაძის დავალებით რესპუბლიკაში პირველად ხორნაბუჯის (თამარის) ციხესთან ჩატარდა „შემოდგომის ზემი“, რომლის რეჟისორი და ხელმძღვანელი იყო ბატონი ილია ნიშნიანიძე. ამ ღონისძიებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია რესპუბლიკაში; ამის შემდეგ გადაიღეს და მიბაძეს სხვა რაიონებმაც. როდესაც გ. ლოლაძე რაიკომის მდივნად გარდაბნის რაიონში გადაიყვანეს, მისი თხოვნით ილია ნიშნიანიძეც იქ გადავიდა და ადგილობრივი მმართველობის ხაზით მუშაობდა 26 წლის განმავლობაში.

ქალაქ თბილისში სათნოების სახლ „კათარზისში“ ათ წელზე მეტია მიმდინარეობს მისი პროექტი სახელწოდებით „სუპერ ბებია-ბაბუა“. ამ პროექტში „კათარზისის“ ბენეფიციარებთან ერთად მონაწილეობენ საქართველოს ყველა რეგიონის წარმომადგენლები, რომელთაც შეუსრულდათ 70 და მეტი წელი. ამ პროექტის ხელშემწყობია ტელეკომპანია „იმედი“, ხოლო კომპეტენტური ჟიური გამარჯვებულს აჯილდოებს სოლიდური თანხით. „კათარზისიდან“ ბატონ ილიას მიერ წარდგენილმა მონაწილეებმა ოთხჯერ მოიპოვეს „სუპერობა“, ზოგმა სიმღერით და ზოგმა ცეკვით. წელს სუპერ ბაბუის ტიტული ერგო ბატონ ემზარ ნიკოლაძეს, რომელიც წელსვე „ნიჭიერში“ ლეზულობს მონაწილეობას და დაიმსახურა ოქროს ლილაკი. ფინალი ჯერ წინაა...

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბატონი ილია მრავალი წელია ქალაქ თბილისში აღმასრულებლის გამზირის 121-ში მდებარე სათნოების სახლში მოღვაწეობს. დგავს სპექტაკლებს და ატარებს კონცერტებს. ხელმძღვანელობს ქალ-ვაჟთა გუნდს და



ემზარ ნიკოლაძე

ასევე ვაჟთა გუნდს სახელწოდებით „ბერიკაცები“. წელს დადგა სპექტაკლი აზერბაიჯანელი მწერლის მეჯიდ შამხალოვის პიესის მიხედვით – კომედია „დედამთილი“, რომელმაც დიდი მონონება დაიმსახურა. რეჟისორი და ამავდროულად ერთ-ერთი როლის შემსრულებელიც და სპექტაკლში მონაწილე არაპროფესიონალი მსახიობებიც დროს და ენერჯიას არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ მათი მაყურებელი დადებითი ემოციებით აღვსილიყვნენ.

„კათარზისში“ იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მათ შორის პოეზიის ხუთი წუთი, სადაც ბენეფიციარები კითხულობენ როგორც ბატონ ილიას შემოქმედებას, ასევე სხვა პოეტების ლექსებს და საკუთარ შემოქმედებასაც.

ბატონი ილია, როგორც გუნდის წევრებს ასევე მსმენელსა და მაყურებელს გვიხალისებს ცხოვრებას, უფრო საინტერესოს ხდის მას. სიკეთე გადამდებია და ჩვენც სხვების გახალისებაზე ვზრუნავთ. ეს კი ძალიან კარგი საქმეა.

ჩვენი გუნდის სახელით მადლობას ვუძღვნი ბატონ ილიას ამ დაუღალავი ღვაწლისა და შემოქმედებისთვის. მისი შემართება მაგალითია თითოეული ჩვენგანისათვის.

ბატონ ილიას, რომელიც მარიამობას – 1946

ერთად. ღმერთმა დალოცოს და გაახაროს!

ბატონ ილიას ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და 3 შვილიშვილი; მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ბატონ ილიას მეუღლეს, არაჩვეულებრივ ქალბატონ მაყვალას, თანადგომისთვის, ოჯახის, ხელოვნების სიყვარულისა და ერთგულებისთვის. ბატონი ილიას წარმატებები გარკვეულ წილად მისი თანადგომის შედეგიცაა; რომ არა მისი ხელშეწყობა და ზრუნვა, ბატონი ილია ამდენ სიამოვნებას ვერ მოგვანიჭებდა თავისი შემოქმედებითი ნიჭით, როგორც კათარზისის წევრებს, ასევე, მისი შემოქმედებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას. გაიხარეთ, ქალბატონო მაყვალა, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

მადლობა სათნოების სახლის პრეზიდენტს, ბატონ ზაურ-ოლეგ ალადაშვილს იმ სიკეთისთვის, რასაც კათარზისის ბენეფიციარები ვღებულობთ სათნოების სახლში. რომ არა მისი კეთილი ნება, ჩვენი შემოქმედება არ იქნებოდა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. მადლობა მთელ მის კოლექტივს, სათნოების სახლის თითოეულ წევრს, გაიხარეთ!

წლის 28 აგვისტოს არის დაიბადებული გვინდა მივულოცოთ 78 წლის იუბილე, ვუსურვოთ ჯანმრთელობა დღეგრძელობა, შემოქმედებით წარმატებები, მშვიდობა ყველგან. მრავალჯერ მიგველოცოს თავის საყვარელ ოჯახთან, მონაგართან და მეგობრებთან




სცენა სპექტაკლიდან „დედამთილი“

ნანა ჯიჟინაძე

„ოტელო“ – ნიჭიერების საჯილდაო ქვა

იტალიელი კომპოზიტორი ჯუზეპე ვერდი 7 წლიდან სწავლობდა ორგანის დაკვრას. 12 წლის ეკლესიის ორგანისტი იყო. სასულე ორკესტრისათვის ქმნიდა უვერტურებს, საფორტეპიანო პიესებს, მარშებს. 1831 წელს გამოცდები ჩააბარა მილანის კონსერვატორიაში, სადაც არ მიიღეს, როგორც პროფესიულად შეუფერებელი. მიუხედავად ამისა მას ფარ-ხმალი არ დაუყრია და მეცადინეობდა „ლა სკალას“ თეატრის დირიჟორთან ლავინისთან, რომელმაც შეძლო ვერდის ნიჭის დაფასება და მისთვის სწორი მიმართულების მიცემა. პირველმა ოპერებმა: „ობერტო“, „გრაფი ბონივაჩი“ (1839), „ნაბუკო“ (1842), „ერნანი“ (1844), „მაკბეტი“ (1847), ვერდის ფართო აღიარება მოუტანა.

მსოფლიო სახელი მოუხვეჭა 50-იან წლებში შექმნილმა ოპერებმა „რიგოლეტომ“ (1851), „ტრუბადურმა“ (1853), „ტრავიატამ“ (1853); ამ ოპერებში კომპოზიტორის ყურადღების ცენტრშია უბრალო ადამიანების ბედი. 1871 წელს დაიდგა ვერდის ერთ-ერთი საუკეთესო ოპერა „აიდა“, რომელიც მიეძღვნა სუეცის არხის გახსნას.



ჯუზეპე ვერდი

რეალისტური ხელოვნების ბრწყინვალე შედეგია ოპერა „ოტელო“, რომელიც კომპოზიტორმა 1887 წელს 74 წლის ასაკში დადგა. ვერდი ყველა დროისა და ხალხის ერთ-ერთი საუკეთესო კომპოზიტორია. თბილისის და მსოფლიოს პრესტიჟულ საოპერო თეატრებში დადგმულია ვერდის ყველა ცნობილი ოპერა, მათ შორის „ოტელო“,

რომლის პრემიერა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა 2024 წლის 19, 20, 21, 26, 27 და 28 აპრილს; მონტე-კარლოს ოპერის თეატრის პროდუქცია, რომლის ექვსივე საპრემიერო სპექტაკლმა სრული ანშლავით ჩაიარა.

მთავარ პარტიებს მღეროდნენ მოწვეული და ადგილობრივი ოპერის სოლისტები: ოტელო – მარკო ბერტი (იტალია 19, 21, 28 აპრილს), ტეოდორ ილინკაი (რუმინეთი 20, 26 აპრილს), ვალერიან გამგებელი (27 აპრილს). დეზდემონა – იანო ალიბეგაშვილი (19 აპრილს), სალომე ჯიქია (20 აპრილს), ხათუნა ქოხონელიძე (21 აპრილს), ანა იმედაშვი-



ლი (26 აპრილს), ალექსანდრა დი ჯორჯო (იტალია 27, 28 აპრილს). იაგო – ნიკოლოზ ლაგვილავა (19, 21 აპრილს), ალბერტო ბაძალი (იტალია 20, 26, 28 აპრილს), სულხან გველესიანი (27 აპრილს). მილია – ირინა შერაზადიშვილი (19, 21 აპრილს), ივონ მანფრედა (20 აპრილს), ალბანე კარერე (საფრანგეთი 26, 27 აპრილს), მარიამ ბარათაშვილი (28 აპრილს). კასიო – ალექსანდრე თიბელაშვილი (19, 21, 27 აპრილს), გურამ პაატაშვილი (20, 26, 28 აპრილს). როდრიგო – ფილიპე ლაჭავა, გიორგი ხოფერია. ლოდოვიკო – ლეგი იმედაშვილი, გოჩა დათუსანი, ლევან მაკარაძე. მონტანო – ლევან მაკარაძე, ლევან თაბუკაშვილი, ვალერიან რობანიშვილი.

საპრემიერო სპექტაკლში მონაწილე მოწვეულმა და ადგილობრივმა სოლისტებმა, შექსპირის თითოეულმა პერსონაჟმა, ბრწყინვალედ გაართვეს თავი თავიანთ როლებს და ღირსეულად ასწიეს საჯილდაო ქვა, როგორც მათი დიდი ნიჭიერების დასტური.

როგორც ყოველთვის მთელ სპექტაკლს დიდ ხიბლს მატებდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი და სიმფონიური ორკესტრი, დამდგმელი დირიჟორი ბრწყინვალე მანესტრო – ზაზა აზმაიფარაშვილი, დამდგმელი რეჟისორი – ალექს აბილერა, რეჟისორის ასისტენტები – ზაზა ალლაძე, ლელა გვარიშვილი, სცენოგრაფი – ბრუნო ლავენერი, კოსტიუმების მხატვარი – ესტერ მარტინი, განათება – ლორან კასტენი, სადადგმო სამსახურის უფროსი – ამირან ანანიაშვილი, მხატვარ-მოდელიორი – თამარ ჩარგვიშვილი, სპექტაკლის წამყვანი რეჟისორი – მარინა ბურჭულაძე და სამხატვრო ხელმძღვანელი – ბადრი მაისურაძე – ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი.



სესილი პრაბია

ომა თქვა - „ღაჰმარცხდი“

„მომავალ წელს სოხუმში!..“ მიენერათ ძველი სამხედრო ნაწილის კედელზე. წარწერა, ზუსტად იმ ბინის,

ოთახისა და ფანჯრის წინ წამომართულიყო, სადაც რეზო ცხოვრობდა. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, თვალის ყოველ გახელაზე, ფანჯრის ყოველ შეღებაზე, წარწერა დილის სალამს აძლევდა კაცს. რეზო კი მკვეთრად გამოყვანილ ასოებს მუდამ ტკივილითა და ამ ტკივილითვე წასაზრდოები იმედით შეავლებდა თვალს. უცქერდა წარწერას და ის სიტყვები ახსენდებოდა, რომელიც სოხუმის დეტოვების წინა დღეს ამოკანრა საკუთარ საძინებელში...

ბევრი სირთულე და დაბრკოლება შეხვედრია ცხოვრების გზაზე, თუმცა ბევრიც საამურად მოსაგონარი დარჩენია. და მაინც, ყველაზე მტკივნეული ის იყო, რომ აფხაზეთთან დაკავშირებული წარსულის მოგონებები იმდენად მჭიდროდ იხლართებოდა ერთმანეთში, რომ სასიამოვნო მოგონებაზე ფიქრისას, შეუძლებელი იყო გადახსნილ იარაზე არ წამოეკრა ფეხი ან ჯერ კიდევ სისხლმდინარე გვამისთვის აექცია გვერდი. ომი... ეს შემზარავი, შინაარსისგან დაცლილი სიტყვა მის ბედისწერად და მარადიულ ტკივილად იქცა.

თითქმის ოცდაათი წელია, რაც სოხუმის დეტოვების შემდეგ რეზოს კომმარული, ერთი და იმავე შინაარსის სიზმარი დასჩემდა. რა არ იღონა, რა წამლები არ მიიღო, მაგრამ ვერაფერმა უშველა. სიზმარი კი, მეტისმეტად პასუხისმგებლიანი ვინმე აღმოჩნდა, მას ერთი ღამითაც არ მიუტოვებია რეზო, მასთან ახლოს, მისი ბალიშის ნაკვეცი დაიდო ბინა, იქ იყო მიმალული და ყოველ ღამით ელოდა, მრავალუბედურებაგადატანილი, ერთიანად გაჭალარავებული კაცის დამფრთხალ თვალის მოხუჭვას...

რეზოს წარმოდგენაში ენგურის ხიდი არა მარტო ნაპირებს აერთებდა, ერთგვარ ჯადოსნურ ადგილსაც წარმოადგენდა. ბავშვურად სჯეროდათ, რომ თუკი ენგურის ხიდის დასაწყისში სუნთქვას შეიკრავდნენ და ასე გადაირბენდნენ ხიდს ბოლომდე, ჩაფიქრებული ნატვრა აუცილებლად ახდებოდა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გადაურბენია რეზოს ეს ხიდი, რამდენჯერ შეუკავებია სუნთქვა! ალბათ, ხიდსაც ჰქონდა მართლა რაღაც ჯადოსნური. ამ რიტუალის სწორად ჩატარების შემდეგ რეზოს ხომ ყველა ნატვრა უსრულდებოდა...

ახლა კი... სიზმარი რისი სიზმარია, თუკი ყველაფერი არ ამოატრიალა. კაცი შფოთიან ძილს მისცემია და ხედავს: მირბის ქალარა რეზო

სუნთქვაშეკრული ხიდე. გულში ერთადერთი ნატვრა ამოუკვეთია – აფხაზეთში დაბრუნება! ისე უხმოდ მირბის, ვერც კი ქოშინებს. და ხიდი სულ უფრო მოკლდება. ორიოდ ნაბიჯიც და სახლში დაბრუნდება. აი, კიდევ ერთიც და...

ამხელა დატვირთვას ვეღარ უძლებს და მაშინ, როდესაც ხიდის დასრულებამდე ერთადერთი ნაბიჯიღა დადარჩენილი, გულისა და ფილტვის ტკივილით ამოისუნთქავს. ნაოჭებით დაღარულ სახეს ცრემლები უღობს. ამოსუნთქვას კი ხიდის ჩანგრევა მოჰყვება. ოდესღაც ჯადოსნური ადგილი შავი ლითონის გროვად იქცევა, რომელიც უფსკრულში მიექანება და თან რეზოსაც მიიყოლებს. რეზო უსასრულო სიღრმისკენ მიექანება, მიექანება და... ამ დროს ოფლში გახვითქულს ეღვიძება.

ამის მერე – დამამშვიდებელი წამლების სუნი და აჩქარებული პულსაციაა. კიდევ – გულის მტკივნეული გაკენწვლა და მწარე ქვითინი. ეს რეზოს ღამეული ცხოვრებაა.

\* \* \*

იმ წელს გასაოცრად ხვავიანი რთველი ჰქონდათ. ახალგაზრდები „ადესის“ შავ მტევნებს, მის უზარმაზარ მარცვლებს ხელსა და თვალს ავლებდნენ და მხიარულად კრეფდნენ. ბებია-ბაბუები კი, მცდელობის მიუხედავად, მღელვარებას ვერ მაღავენდნენ. მოხუცებს თავიანთი მშობლებისგან, მათ მშობლებს კი, უფრო ძველებისგან გაეგოთ, ცუდის ნიშანია, ყურძენს რომ დიდი მარცვლები აქვსო.

– ჩემს ბავშვობაში იტყოდნენ, ყურძნის დიდმა მარცვლებმა ომი იცის, ომის მომასწავებელიაო... – მღელვარედ ჩაილაპარაკა შავთავსაფრიანმა ქალმა და შიშით გახედა „ადესის“ გიპრისფერ, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილ უშველებელ მარცვლებს.

საერთო ყრიაშულში მეხვიით გავარდა ხმა ომის დაწყების შესახებ. ვითომ აბსურდულ წინასწარმეტყველებას, დედაბრის აკანკალებული ხმით წარმოთქმულს, არავინ ათხოვა ყური, მათ შორის, არც რეზომ... ეჰ, რარიგ ხშირად ახსენდებოდა ის საბედისწერო დღე და სიტყვები. ვინ იფიქრებდა, რომ მათი ყოფა, არც მეტი, არც ნაკლები, ყურძნის მარცვლის ზომაზე ან მსგავს წვრილმანზე იქნებოდა დამოკიდებული?!

ერთ დღეს, როდესაც მზიანი დარი იდგა და ჩიტები ჭიკჭიკებდნენ (ალბათ, ომისთვის მეტად შეუფერებელია ასეთი ამინდი), რეზოს სახლში შეიარაღებულმა აფხაზმა შეაბიჯა... ამ საშინელების დაწყებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე ვინმეს რომ ხაზი გაესვა საკუთარ ოჯახში აფხაზის სტუმრობისთვის, ხალხი გაკვირვებული შეხედავდა, ამაში ხომ საკვირველი არაფერი იყო. მაგრამ ახლა, საომარი მოქმედებების, შეთხზული ჭორებისა თუ რეალური ტრაგედიების ფონზე, აფხაზის სტუმრობა არცთუ სასიამოვნო განცდებს იწვევდა.

აფხაზი სახლში შევიდა, თავი დააქნია და შემფოთებულ ოჯახს გადახედა. რეზო დედასთან და ცოლთან ერთად შუა ოთახში იდგა. აფხაზმა რეზოს

თვალი თვალში გაუყარა, დაკვირვებით შეათვალიერა და ჰკითხა:

– ჯარში სად მსახურობდი?

რეზომ დაასახელა. აფხაზმა თავი კვლავ დაიქნია.

– ფოტოალბომი თუ გაქვს?

– კი... მიუგო მოულოდნელი კითხვით გაკვირვებულმა რეზომ, – როგორ არა მაქვს.

– გამომიტანე.

გაოგნებულმა რეზომ ერთი კი შეავლო თვალი გაფითრებულ დედასა და მეუღლეს და სწრაფი ნაბიჯით ჯარის ალბომის მოსატანად გაემართა.

აფხაზმა ოთახი მოათვალიერა. მკაცრი გამომეტყველება თითქოს ოდნავ შერბილებოდა. რეზო მალევე დაბრუნდა ალბომით ხელში. აფხაზმა ერთგვარი მონინებითაც კი გამოართვა ის, გადაშალა და რალაცის ძებნას შეუდგა. მერე ერთ ფოტოს, რომელზეც რეზო ჯარის ამხანაგებთან ერთად იდგა, დააკვირდა და თითქოს ერთ-ერთს დაადო.

– ამას იცნობ? – ჰკითხა ფოტოზე გამოსახულ, რეზოს შორიანხლოს მდგომ ბიჭზე.

– კი, ვიცნობ, უპასუხა რეზომ და აფხაზს თვალი გაუსწორა, – ჩემი ჯარის მეგობარია, ასტამურ ამიჩბა!

აფხაზმა გაიღიმა და სიყვარულით მოავლო თვალი ოთახში მყოფებს.

– უშუბზია, რეზო! მე ვარ. ასტამური ვარ.

გაოგნებულ რეზოს თვალები აუცრემლიანდა. ალბათ, ყველაფერს მოელოდა, მაგრამ არა – ამას! ლამის დაუჯერებელი სცენა გათამაშდა მის თვალწინ, თითქმის არარეალური. ეს ხომ ასტამური იყო! მისი მრავალი წლის უნახავი მეგობარი – სწორედ ასტამური!

– ნურაფრის შეგეშინდება, რეზო! შენ გვერდით მიგულე. გპირდები, სანამ აქ ხარ, უსაფრთხოდ იქნები. შენს სახლში არავინ შემოვა, მაგრამ სოხუმი აუცილებლად უნდა დატოვო. აქ გაჩერება მალე ძალიან სახიფათო გახდება. მოვაგვარებ ამ ამბავს, შენ კი ჯალაბი მოამზადე. ჩემი იმედი გქონდეს!

ასტამურის სიტყვების ჭეშმარიტება სულ უფრო ნათელი ხდებოდა. მეგობრის დახმარებით, რეზომ ოჯახთან ერთად, დიდი ტანჯვა-წვალებით დატოვა სოხუმი, ფოთში ჩავიდა და იმ დღიდან დევნილად იქცა.

რეზოს სახლში კი მისი აფხაზი მეგობარი დაფუძნდა, აქვე შეირთო ცოლი და ეყოლა შვილები, თუმცა მთელი ცხოვრების განმავლობაში, რეზოს სახლში მდგმურივით ცხოვრობდა. „ჩემი სახლი“, ფიქრშიც არასდროს გაუვლია. არასდროს შეუცვლია აზრი იმის შესახებ, რომ რეზო აუცილებლად უნდა დაბრუნებულიყო და დაბრუნდებოდა კიდეც, სახლი კი მას დაელოდებოდა. ასტამურს ეს გრძნობა კიდევ უფრო გაუმძაფრდა რეზოს საძინებელში აღმოჩენილი წარწერის შემდეგ.

ყველაფერი მზად იყო – მეორე დღეს სოხუმი უნდა დაეტოვებინათ. იმ ღამით ძილზე ფიქრი შეუძლებელი გახლდათ. რეზო უკანასკნელად მი-

მოდოდა ოთახებში, მზერით ეალერსებოდა თითოეულ ნივთს, იმახსოვრებდა მათ ფორმასა თუ მდებარეობას. ემშვიდობებოდა საკუთარ სახლს... თავის საძინებელში რამდენიმეჯერ შესულმა, ცარიელ კედელს მიაპყრო მზერა. კედლიდან ნახატი იყო ჩამოხსნილი და უჩვეულოდ გამოიყურებოდა. იატაკზე ლურსმანი ეგდო. რეზო დაიხარა, აიღო და კვლავ უტყყვ კედელს ახედა. მერე კი, ხელის კანკალით – სიტყვების ამოკანწვრა დაიწყო. ცოტა ხანში კედელს მოშორდა ღონემიხდილი და შორიდან შეათვალიერა ნაწერი. წარწერა შუა კედელზე, გამოსაჩენ ადგილას ისე იყურებოდა, თითქოსდა, ჩარჩოს საჭიროებსო.

„მე დაკარგულად ვერ ჩავთვლი იმას, რაც ჩემი ნებით არ დამითმია!“ – ხმამაღლა წაიკითხა რეზომ.

ლამის სიჩუმე მტკივნეულად გასერა ლექსის სტრიქონებმა. იმღამინდელი საკუთარი ხმა, და ხმასთან ერთად, კედელზე მიწერილი გულისნადები, რეზოს სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში.

დროის სრბოლა ასტამურს მკაფიოდ დაეტყო. თმა და წვერი გაუთეთრდა, იერი – კიდევ უფრო ფიქრიანი გაუხდა. ასტამურის ვაჟმა ცოლი შეირთო. ამ ღირსშესანიშნავი ამბისთვის „რეზოს სახლი“ შეაკეთეს, გაალამაზეს და გემოვნებიანად მოაწყვეს. ხელუხლებელი მხოლოდ საძინებელი ოთახი დარჩა. ახლად მოყვანილმა ვეროჩკამ ერთხელ იკითხა კიდეც, ის საძინებელიც რომ გავარემონტოთ და იმ ოთახში გადავიდეთო, თუმცა პასუხმა არ დააყოვნა:

– აბა, რას ამბობ, ვეროჩკა? ეგ, ძია რეზოს ოთახია და მის დაბრუნებას ელოდება.

– დაბრუნდება, კი? – ეჭვნეულად გაიქნია თავი ქალმა.

დაბალ სკამზე მჯდარ ასტამურს გულზე მოხვდა ქალის სიტყვები, და, ალბათ, გუნებაც მოეშხამებოდა, ვაჟის პასუხი რომ არა:

– რა თქმა უნდა, დაბრუნდება! წარწერა, რომელიც მან ოთახში დატოვა, მთელ მის ისტორიას ჰყვება – სწორედ იმ ისტორიას, ბედნიერი დასასრული რომ უნდა ჰქონდეს, და უეჭველად ექნება კიდეც!

ასტამურმა კმაყოფილებითა და ერთგვარი სიამაყითაც კი ჩაიღიმა. გულში სიხარული ჩაეღვარა. თითქოს ოცი წლით გაახალგაზრდავდაო, თვალები აუციმციმდა და წელში გაიმართა.

\* \* \*

იმ ღამეს ჩაბნელებულ საძინებელში შესულმა რეზომ უჩვეულო სიხარული იგრძნო, მის გულს სიმშვიდე დაეფულა. უცნაურია, მაგრამ ორივე მათგანმა, – ასტამურმაც და რეზომაც, – უეცრად იგრძნეს, რომ მარტონი არ არიან. ენგურს გაღმა და ენგურს გამოღმა ორი გონება ერთ ფიქრს უტრიალებდა: აფხაზი. ქართველი და არავითარი მავთულხლართი!

დადო თუ არა თავი ბალიშზე, რეზომ სიზმრების ქვეყანას მიაშურა. კაცს სძინავს, გონებას კი სიზმარი დაჰპატრონებია:

ხიდის დასაწყისში მდგარ ათიოდე წლის რეზოს მზერა აფხაზეთისკენ მიუმართავს. ბავშვური

მოუსვენრობით ცქმუტავს ერთ ადგილზე და ენ-  
გურის ხიდზე გადასარბენად ემზადება. აი, იკრავს  
სუნთქვას, ჩაიფიქრებს არაერთგზის ჩაფიქრებულ,  
მუდამ უცვლელ ნატვრას და...

მირბის! მირბის! მირბის! ხიდი უფრო და უფრო  
მოკლდება. რეზო კი მირბის თავგანწირვით, თავ-  
დაუზოგავად, უკანასკნელი ძალებით. მირბის და  
გონებაში ითვლის:

„რვა ნაბიჯიც და იქ ვიქნები!“

„ხუთი ნაბიჯიც და ნატვრა ამიხდება

„ორი ნაბიჯიც და ამოვისუნთქავ!“

„აი, ერთიც და...“

„გადავედი! შევძელი!“

რეზო გაბადრული სახით დგას და ფეხქვეშ დიდი  
ხნის უნახავი მიწის სითბოს გრძნობს.

**ბუბო**

კოკისპირულად წვიმდა ბებო რომ გარდაიცვა-  
ლა. ცა ფეხად ჩამოდიოდა. წვიმის წვეთებთან ერ-  
თად, ციდან თოვლის მსხვილი ფანტელები ცვიოდა,  
რომლებიც მიწასთან შეხებისთანავე წყლად იქცე-  
ოდა, ქუჩას ატალახებდა, გუბეებს ავსებდა, გარ-  
დაცვლილის ჩაჩუმებული სახლის კიბეს კი თხელ,  
ნახევრად გამჭვირვალე ფენად ედებოდა. „რა ცუდი  
ამინდი მოუწია ამ უბედურსო“ – ვიშვიშებდნენ მე-  
ზობლები და იქაურობას აწესრიგებდნენ.

ბებოს სიკვდილი უეცარი არ იყო. სიბერეს თავ-  
ისი ექნა და მოხუცი ბოლო რამდენიმე წელი საშინ-  
ლად იტანჯებოდა. ხან შვილთა რაოდენობა ერეო-  
და, ხან იღუმალი მზერით მისივე ქორწილის დღეს  
იგონებდა, ხან კი ავიწყდებოდა რომ სახლში მის და  
მოხუცი მეუღლის გარდა არავინ იყო... სახლის კე-  
დლები ჯიუტად დუმდნენ, მოხუცთა ხმას ირეკლავ-  
დნენ მხოლოდ და კვლავ ჩუმდებოდნენ.

ერთი შვილი ჰყავდა და ერთიც საფიცარი  
შვილიშვილი. ნაკითხი, განათლებული ბიჭის სახე-  
ლი ჰქონდა. ბებო ყოველ დილით იმდენად ადრე  
დგებოდა, რომ ჯერ კიდევ სიბნელეს მოეცვა არე-  
მარე. დგებოდა და ძროხას წველიდა, რათა საყვარე-  
ლი შვილიშვილისთვის გაღვიძებისთანავე ჭიქა რძე  
მიერთმია. მერე ნამუშევარი, გარჯას ნაჩვევი დამ-  
ჭკნარი ხელებით ყველი ამოჰყავდა და შვილიშვილს  
თან ატანდა. მისი ხსენებისას, ნაოჭებით დაღარულ  
სახეზე ღიმილი გადაეფინებოდა ხოლმე, თვალები  
ციმციმს იწყებდა და მათგან განუზომელი სიყვარუ-  
ლი გადმოიღვრებოდა.

ბებოს ბავშვები უყვარდა. გაზაფხულზე პირვე-  
ლი იები მის ეზოში ამოდიოდნენ. სიმწვანეში ჩაფლუ-  
ლი ყვავილები თავს მორცხვად ხრიდნენ და თან-  
დათან ყველა ხის ძირი, ყველა კუნჭული იისფრად  
ყვავდებოდა. „მოდით შვილო, იები დაკრიფეთო“  
შემოიპატიჟებდა ბებო შორიახლო მდგარ ბავშვებს  
და ისინიც ჟრიაშულით შედიოდნენ, უკან კი იების  
მომცრო კონით და ნაირფერი ტკბილეულით ხელ-  
დამშვენებული ბრუნდებოდნენ. გაზაფხულზე, მდუ-  
მარე სახლი ლამაზდებოდა.

ერთ ზაფხულს, ბებომ მეზობლის ბავშვების  
სახელები ვერ გაიხსენა, შემდეგ კი – ვერც იცნო...  
მხოლოდ შვილიშვილის სახელი დარჩა მის ფიქრით  
და დარდით გადაღლილ გონებაში, სხვა დანარჩე-  
ნი – უკვალოდ წაიშალა. შვილზე და შვილიშვილზე  
დარდით გაილია, დაუძღურდა და კაუჭივით მოიხ-  
არა ბებო. მოხუცი დახაზულ შპალერს სიყვარუ-  
ლით შეჰყურებდა ხოლმე. დიდხანს იდგა, მერე კი  
თვალებიდან წამოსულ ცრემლს ცხვირსახოცით ინ-  
მენდდა და კვლავ ფიქრებს ეძლეოდა. „სულ პატარა  
იყო ამ შპალერზე რომ დავიწყეთ მისი გაზომვა,  
ბებო ენაცვალოსო! – იტყოდა ხოლმე. „ყოველ ჩა-  
მოსვლაზე შპალერთან მირბოდა და ჩვენც ფერადი  
ფანქრებით მისი თავის გასწვრივ, კედელზე ხაზს  
ვავლებდითო“ – ტკივილნარევი ხმით იგონებდა  
ბებო.

ხაზები სულ მალა და მალა ინევედა, ბიჭი იზ-  
რდებოდა და ბოლოს იმდენად გაიზარდა, რომ ხაზის  
გასავლებად კედელს სიმაღლე არ ეყო. ბიჭი გაღე-  
ბულ კარს მიღმა დარჩა, გამზრდელი ბებია-ბაბუა  
კი – კარის მეორე მხარეს. ის დღე იყო და ის დღე,  
ბიჭს კარში ისევ შესვლა არც უცდია. გამობრუნდა  
და წავიდა... თან კი ორი წყვილი ატირებული მოხუ-  
ცის მზერა გაიყოლა..

ბებოს სიკვდილი არავის გაჰკვირვებია; ის უფრო  
უკვირდათ, ამდენმა დარდმა აქამდე როგორ მიიყვა-  
ნა, როგორ არ გათელა და შეინირა მწუხარებაში.  
შვილი წლებია არ ჩამოსულა დედასთან. ცოტა იცო-  
და ბებომ მის ცხოვრებაზე, შვილიშვილზე კი კიდევ  
უფრო ნაკლები – „სწავლობს, მუშაობს, არ სცალ-  
ნია“... ქალაქში წასული შვილების დაბრუნების იმე-  
დი საბოლოოდ გადაიწურა ბებომ და მეუღლესაც ამ  
აზრთან შეეგუება მოუწია... წლები გადიოდა, ბებო  
სულ უფრო უძღურდებოდა, მაგრამ შვილი მოუცლ-  
ელობისგან არა და არ ჩამოდიოდა – ხან სამუშაო,  
ხან გადაუდებელი საქმე... დღეები ერთმანეთს ემს-  
გავსებოდნენ, ერთფეროვნებაში ინთქმებოდნენ და  
ბებოსაც გონება აერია.

ბებო რომ გარდაიცვალა, სასთუმალთან არ-  
ავინ ეჯდა. შვილისა და მონატრებული შვილიშვი-  
ლის სახელი, ბოლოჯერ ამოიღულულა და მისი  
უკანასკნელი სიტყვები ოთახის შეუვალ სიჩუმეს  
შეერია, სულმა კი ბოლოჯერ გაიბრძოლა და სხე-  
ულს თავი დააღწია.

მოკვდა ბებო და ჩამოვიდა შვილი, რომლის  
ნახვასაც ასე ნატრობდა მომაკვდავი. ჩამოვიდა  
შვილიშვილი, რომლის მონატრებამაც შეინირა მოხ-  
უცი. გარდაცვლილს ძვირფას საფლავის ქვას და  
მუდამ დალაგებულ საფლავს შეჰპირდნენ და პირო-  
ბა შეასრულეს კიდევ.

ყვავილებით მორთულ ახლადგათხრილ სამარე-  
ში, მოხუცი ბებო წევს. ბებო, რომელიც, ვინ იცის,  
სამუდამოდ იცოცხლებდა შვილის ერთ მოფერებას  
და შვილიშვილის ერთ გულწრფელ გაღიმებას რომ  
ღირსებოდა...

## ლალი მახრიშვილი

## ორი ფაველის შემოქმედებით სალამო საქართველოს ეროვნულ გიზლიოთეკაში

შემოქმედება სულის უკვდავებას ემსახურება, რადგანაც ის შენი შინაგანი სამყაროს გარდა, კიდევ მრავალი ადამიანის სულს ასაზრდოვებს! ჟაკ ფრესკო ამბობს, – „ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, სადაც არავინ არაფერი იცის, მაგრამ სურს ჰქონდეს აზრი ნებისმიერ საკითხზე!“ – სწორედ აზრის ნაკითხვის, მისი ამოცნობის და ამოცნობილის გააზრებას ემსახურებოდა 26 ივნისს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებული საღამო, სადაც ორი შემოქმედის, ქვემო ქედელი ფერმწერის **ნოდარ დარძულის** ნახატების გამოფენა და ენათმეცნიერის, საზოგადო მოღვაწის **ქეთევან ჯერვალდიძის** ლექცია „რარიგ კარგია სამშობლო“ ერთმანეთს ულამაზესად შეერწყა.

შეხვედრას საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დედოფლისწყაროს ამადარი შვილი, მწიგნობართა ასოციაციის თანადამფუძნებელი, ჟურნალისტი, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე **ნანა ჭიჭინაძე** მასპინლობდა. სწორედ მისი ორგანიზატორობით, უკვე ათი წელია ამ დარბაზში მსგავსი საღამოები იმართება.

სალამოს წამყვანი გახლდათ ხელოვნებათმცოდნე ია ხურცილავა. საინტერესო და შემოქმედებითი რანგით საკმაოდ დახუნძლულ ღონისძიებას, თბილისის ელიტარული საზოგადოება, მეცნიერ-მუშაკები, მუსიკოსები, მხატვრები და საოპერო შემსრულებლები ესწრებოდნენ. ამ შეხვედრისთვის სპეციალურად ქალაქ ბორჯომიდან ჩამოვიდა გაზეთ „ბორჯომის“ ჟურნალისტი ქალბატონი დალი ქურდაძე. აქვე, საპატიო სტუმრებს შორის გახლდნენ საოპერო მომღერალი მაყვალა ასპანიძე, კონცერტმეისტერი, მუსიკოსი, ვოკალისტი მანონი ყუბანიშვილი, ჟურნალ „ხორნაბუჯის“ რედაქტორი გიორგი ნატროშვილი, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი ნინო პოპიაშვილი და თავად თანაორგანიზატორების ახლობლები.

ხელოვნებათმცოდნე **ია ხურცილავამ** სალამო ნოდარ დარძულის ბიოგრაფიით გახსნა, ლამაზი სიტყვებით შეამკო მხატვრის ნამუშევრები და თავად დარძულს გადასცა სიტყვა.

– „მოგესალმებით ძვირფასო საზოგადოება, მადლობა მინდა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის და ჩემი ნამუშევრების შეფასებისთვის, ჩემთვის ეს გამოფენა დიდ რამეს ნიშნავს, ხატვა ჩემი ცხოვრების ნაწილია, ვხატავდი ყველაფერს იმას, რაც ჩემს გარშემო ხდებოდა და გამოვიარე, ყოველთვის ვხატავ ისეთ ნახატებს, რომელსაც შინაარსობრივი ჩანვდომა სჭირდება, მინდოდა ხალხს წაეკითხა ჩემი ნახატები, რათა მათ გაეგოთ ჩემი პიროვნების



შესახებ, თუ ვინ ვარ და როგორ მოვდივარ. თოიძის სამხატვრო სკოლა მაქვს დამთავრებული, ვაპირებდი სამხატვრო აკადემიაში გაგრძელებას, მაგრამ ოჯახური პირობების გამო სოფელში მომიწია დაბრუნება, ამიტომ იქ, სოფელში გავაგრძლე ხატვა და მასში ჩავდე მთელი ჩემი გამოცდილება.“ – ამბობს ნოდარ დარძული, იქვე ის მადლობას უხდის ყველა ორგანიზატორს და დედოფლისწყაროს მერს, ბატონ **ნიკოლოზ ჯანიაშვილს**, საკრებულოს თავმჯდომარეს **ნუგზარ პაპიაშვილს** და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობას: დირექტორს ქალბატონ **დოდო ხუნაშვილს** და მოადგილეს **გაგა პატაშურს** გვერდში ასეთი დგომისთვის. სწორედ კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობამ უზრუნველყო მხატვრის და მისი 36 ნახატის ტრანსპორტირება ქალაქ თბილისში.

თემა „გალაქტიონისტიკა“, ანუ „სიმბოლიზირებული ქართლის ცხოვრება“ ენათმეცნიერმა **ქეთევან ჯერვალდიძემ** თავად წამოგვიდგინა: „მე არ ვარ განსაუთრებულად ცნობილი პიროვნება, უფრო მოკრძალებულად მიყვარს შრომა, მოკრძალებულად ვარ ჩაბმული ჩემს სამეცნიერო მუშაობაში, ჩავთვალე, რომ რაკი გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ უწოდებენ სიმბოლიზებულ ქართლის ცხოვრებას, რომელსაც საფეხურებრივად მოჰყვა ილიას „აჩრდილი“, რომელსაც უწოდებდნენ, პოლიტიკურ მანიფესტს, პოლიტიკურ ტრაქტატს, მე ის დავინახე მესიანისტურად, ამიტომ გამიჩნდა სერიოზული საფუძველი, რომ გალტიონის ლექსისთვის მწოდებინა „გალაქტიონისტიკა“ ანუ „სიმბოლიზებული ქართლის ცხოვრება“, – უთხრა საზოგადოებას ენათმეცნიერმა ქეთევან ჯერვალდიძემ და ამ სიტყვებით დაიწყო ლექციის ნაკითხვა.

შეხვედრაზე მადლობა გადაუხადეს და დიდი პატივისცემით მოიხსენიეს შეხვედრის ორგანიზა-



ტორი ნანა ჭიჭინაძე, რომლის ყველა რეგალიე იქვე მოიხსენიეს. ნამყვანმა ქალბატონი ნანა მოიხსენია, როგორც საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე, საქართველოს კულტურის ამაგდარი, თამარიონის ენდალმის და ოქროს ჯვრის მფლობელი, თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის მედლის მფლობელი, ზურაბ ანჯაფარიძის პრემიის ლაურიატი და ოქროს მედლის მფლობელი, ევროპის ბუნებისმეტყველების აკადემიის წევრი;

ბატონი ნოდარ დარძულის და ქალბატონ ქეთევან ჯერვალიძის შეხვედრაზე და შეხვედრის დასასრულსაც დამსწრე საზოგადოებამ ერთმნიშვნელოვნად გამოთქვეს აღფრთოვანება და კმაყოფილება ამ დღისადმი და იქვე გამოხატეს საკუთარი მოსაზრებები:

აი, რას ამბობს ნოდარ დარძულზე ექიმი, მუსიკოსი, ხელოვნების მოყვარული, ძირძველი თბილისელი, ექიმების ოჯახში აღზრდილი ქალბატონი **ეკატერინე მზარეულა**: აღფრთოვანებული ვარ ბატონი ნოდარის გაცნობით, პიროვნული ღირსებებით. ამ შემოქმედების ადამიანს არ შეიძლება რომ სხვანარი სული ჰქონდეს, ნამდვილად დახვეწილი პიროვნება გახლავთ, უდიდესი სიამოვნება და აღფრთოვანება მინდა გამოვთქვა, აჟიტირებული ვარ, ეს გახლავთ ჩამოყალიბებული, დახვეწილი, ფართო სპექტრის შემოქმედი, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ, საქართველოს დონეზე ასეთი მხატვრით. ის რომ იყოს საზღვარგარეთ, არ ვიცი რა დონეზე იქნებოდა დაფასებული. ჩვენ ცოტა მძიმე პირობებში გვიხდება ცხოვრება, მაგრამ სულიერებას ნამდვილად არ ვკარგავთ, ექიმების ოჯახში გაზრდილი ვარ და სულიერება ყოველთვის დომინირებდა ჩვენს ოჯახში, საამაყო პიროვნება გყავთ ნამდვილად, ფერთა გამა, ფართო სპექტრი, ცალკე პორტრეტები, მოგეხსენებათ ურთულესია პორტრეტზე მუშაობა, და ყოველი მისი ნახატი ანტიდეპრესანტია იმდენად გვამშვიდებს, საამაყო მამულიშვილი ბრძანდება, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ, შემოქმედებით ზრდას და ერთი თხოვნა მაქვს, ნუთუ არ შეიძლება, რომ ბატონი ნოდარი ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურობდეს და ასწავლოს, გადასცეს

ცოდნა?!”

**დალი ქურდაძე** – „ნოდარ დარძული არის მხატვარი, რომელიც გადმოსცემს თავის შინაგან სამყაროს და თქვენ დააკვირდით, როგორი კარგი ნახატები აქვს დედის, მამის, თუნდაც მეუღლის პორტრეტი, გაშუქებული აქვს მთელი თავისი კუთხე და თავისი სამყარო, ღმერთმა დალოცოს, ღმერთმა ჯანმრთელობა მისცეს და კიდევ ბევრი ნახატები შექმნას და გვაჩუქოს საზოგადოებას.“

**ნანა ჭიჭინაძე** – „ბედნიერი ვარ ამ დღით, დღევანდელი დღე ლომისობას დაემთხვა და ქვემო ქედის ბევრი ადამიანი არ ესწრებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ამ საღამოს ესწრება ჟურნალ „ხორნაბუჯის“ გამომცემელი გიორგი ნატროშვილი, როდესაც მე ჟურნალ „ხორნაბუჯში“ ვაჟა აზარაშვილის საღამო გავაშუქე, ჟურნალი პირადად მიუუტანე ბატონ ვაჟას, ჩემს თვალწინ ნაიკითხა და თქვა დიდი მადლობა დედოფლისწყაროელებს ასეთ თბილი სიტყვებისთვისო, მადლობა რედაქტორ-გამომცემელს, იგი ქართულ საქმე აკეთებსო. დღეს ათი წლის საიუბილეო დღეა, რაც მე ამ დარბაზში ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვატარებ ღონისძიებებს, პირველი ასეთი საღამო გახლდათ „საუკუნის ლეგენდის“ ნომინანტების დაჯილდოვების ცერემონიალი, მაშინ მედია ამირანაშვილის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, რაც ყველას ძალიან კარგად დაამახსოვრდა. დიდი ხელოვნება დავინახე ბატონი ნოდარის ნახატებში, მადლობა ყველას, ვინც მოვიდა და დააფასა ეს ორი ხელოვანი“.

**თამარ წულუკიძე**, მუსიკოლოგიის დოქტორი: – „ქალბატონი ქეთევანი მნიშვნელოვანი და საინტერესო მეცნიერი გახლავთ, მისი დამოკიდებულება სრულიად განსხვავებული არის თითოეული მოვლენისადმი, იგი განსაკუთრებით ლიტერატურულ მოვლენებს ეხება და დღევანდელ მაგალითზე რომ ვთქვათ, გალაქტიონის ერთი ლექსით თვალწინ გადავიშალა მთელი ქართული პოეზია, ლიტერატურა და საქართველოს ისტორია. იგი ფართო ხედვის მეცნიერია და ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა ყოველთვის მისი ნააზრევნი“.

**მარიკა ჯიქია** – ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის გამგე: „ნოდარ დარძულის შემოქმედ-



გიორგი ნატროშვილი, დიანა გაბისონია, ნოდარ დარძული, ია ხურცილავა

ბა ჩემთვის აღმოჩენა იყო, ფანტასტიკური ხედვა აქვს, არაჩვეულებრივად სუფთა ტონალობაში წერს, ძალიან გამოკვეთილია, ყველა ჟანრში არის ძალიან მაღალი დონის მხატვარი. უნდა გითხრათ, რომ იგი არის არაჩვეულებრივი პორტრეტისტი, არაჩვეულებრივი პეიზაჟისტი და არაჩვეულებრივი ნატურმორტისტი. სრულიად შემთხვევით გადავეყარე მის მიერ შესრულებულ ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილ კომპოზიციას, შევიცანი პოეტი და 4 ოქტომბერს დიდი ღონისძიება არის ტერენტი გრანელისთან დაკავშირებით და იმ ღონისძიების მესვეურთ დავუკავშირდები და ისინი ბატონ ნოდარს აუცილებლად მონახავენ და მოინვევენ ამ ღონისძიებაზე.“

**ქეთევან ჯერვალიძე**, ენათმეცნიერი: მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ორი ფშაველი შევეყრილვართ. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ლექცია გალაქტიონის უმარტივეს ლექსზე „რარიგ კარგია სამშობლო“ ამ ძვირფასი ნახატების ფონზე მიმდინარეობდა, ნარმატებები და შემოქმედებითი წინსვლა მინდა ვუსურვო ბატონ ნოდარს. არ ვარ მხატვრობის მოყვარული, მაგრამ ასეთი კარგი ფერები, ემოცია იშვიათობაა, მე სწორედ ამ სტილის მხატვრობა მიყვარს, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მხატვარს, ძალიან მომეწონა. აღმოჩნდა, რომ ის ფშაველი ყოფილა და აი ორ ფშაველს მიგვეყავდა ეს საღამო, ერთს ფერწერით, მეორეს სიტყვით, მადლობა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა ნანას, მადლობა დედოფლისწყაროს, რომელმაც პირველმა მიმინვია აი ამ ლექციით და მათი მონაწილეობა გახდა საფუძველი ამ საღამოსი“.

P.S. ჟურნალი „ხორნაბუჯი“ უდიდეს ნარმატებებს უსურვებს, ორივე შემოქმედს.

აქვე გთავაზობთ ორივე შემოქმედის მინოდოსიეს:

**ნოდარ დარძელის** მინი დოსიე იხილეთ ყდის მე-3 გვერდზე.

**ქეთევან ჯერვალიძე**, მინი დოსიე: დაიბადა 1954 წლის 15 ოქტომბერს საქართველოში, თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯერვალიძეებში. დაამთავრა თბილისის მე-60 სკოლა, 1973 წელს სწავლა გააგრძელა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1975 წელს შექმნა ოჯახი; 1981-1983 წწ-ში მუშაობდა მოსწავლე – ახალგაზრდობის სასახლეში, სადაც ასწავლიდა ქართულ ლიტერატურას გეოპოლიტიკური ომების ქრილში. 1993 წლიდან მთარგმნელობით საქმიანობას მოჰკიდა ხელი. ნათარგმნი აქვს ლუკიანოსის 4 თხზულება, ქსენოფონის „ნადიმი“, იულიანე განდგომილის 25 წერილი ძველბერძნული ენიდან შესავალი წერილებითა და კომენტარებით – ყველა თარგმანი გამოქვეყნებულია. 2012 წელს გამოსცა კრებული „სიმპოზიონი“ – 7 ნადიმი ერთად.

ასევე ნათარგმნი აქვს სამეცნიერო სტატიები რუსული ენიდან: ს. ს. ავერინცევის „ადრებიზანტიური ლიტერატურის პოეტიკა“ რამდენიმე თავი გამოქვეყნებულია. ბევრი საერთაშორისო და რესპუბლიკური კონფერენციის მონაწილეა. კითხულობს საჯარო ლექციებს და აგრძელებს სამეცნიერო ლიტერატურის მთარგმნელობით საქმიანობას.



ზის ქალბატონი ქეთევან ჯერვალიძე



## ნოდარ დარძული

დაიბადა 1962 წლის 7 ივლისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედში, დაამთავრა თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. ხატვა ბავშვობიდან დაიწყო, სერიოზულად ამ საქმეს მას შემდეგ მოეკიდა, რაც თოიძის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა. ერთხანს სამხატვრო აკადემიაში აპირებდა გაგრძელებას, მაგრამ ოჯახური პირობების გამო მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და აქ განაგრძო შემოქმედებითი წვა. დახატული აქვს ორასზე მეტი ნახატი. მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრში, ასევე საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ნოდარ დარძულისთვის ხატვა არის უდიდესი შვება, – „ხატვის დროს მავინყდება ყველა გაჭირვება და სხვა განზომილებაში გადავდივარ“, – ამბობს იგი.


რაც შეეხება სამშობლოს, ნოდარ დარძულისთვის სამშობლო ყველაფერია, რომლის გარეშეც ვერსად ვერ წარმოუდგენია სიცოცხლე.



ტერენი ბრანელი



დედა საქოვთან




ავტოპორტრეტი



ბასიანის ბრძოლის წინ



დედაგვილოზა



ვაჟას შემოქმედება



მეუღლის პორტრეტი



კაკტუსი